

14/15

# ՄԱՐԿՆԵՐ

PARIS  
1933

# მკედარი

## Mkedari

ქართველ მხედართა ოგზანო

REVUE MILITAIRE GEOGIENNE

მეთოტხმებტე—მეთუტხმებტე  
რკვეული

პარიზი, აპრილი-ივლისი, 1933 წ.

PARIS

1933

## თავი II

### კავშირის გეზი.

1. იუნკერთა კავშირი სდგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე.

2. როგორც კავშირი, ისე მისი ორგანო, სრულიად დამოუკიდებელია.

3. კავშირი ყველა თავისი საშუალებებით ემსახურება ქართული საზოგადოების გაერთიანებას და ყოველგვარ დადებით მუშაობას, წარმოებულს საერთო ეროვნული მასშტაბით.

### **ზოგიერთი მუხლი კავშირის ორგანო**

#### **„მხედარი“-ს წესდებიდან:**

#### მიზანი:

1. შექმნას ქართული სამხედრო ლიტერატურა, მისცეს საშუალება ქართულ საზოგადოებას, გაეცნოს სამხედრო ხელოვნების დღევანდელ ვითარებას.

2. მოაწყოს სპეციალისტთა აზრების გაცვლა-გამოცვლა.

3. ემსახუროს ქართული სამხედრო დოკტრინის ჩამოყალიბებას.

I. როგორც სტატუტის ამონაწერიდან სჩანს, იუნკერთა კავშირის ერთ მთავარ მიზანთაგანს წარმოადგენს დამუშავება ქართული სამხედრო აზროვნებისა (დოკტრინისა). ეს საკითხი მეტად სერიოზულია.

დოკტრინის შემეცნება, პირველი შეხედვით, მეტად განყენებულად მოგვეჩვენება, მაგრამ ახლო დაკვირვებისას დავინახავთ, რომ ეს შემეცნება დაყრდნობილია სავსებით რეალურ ელემენტებზე, როგორც ერის და ტერიტორიის განსაკუთრებულ თვისებებზე და სხ.

ძირითად პირობას კი, რომელიც უნდა იყოს დაცული სამხედრო აზროვნების დამუშავებისას, წარმოადგენს შეგუება დოკტრინისა ერის ისტორიასთან და, ვიტყვიტ მეტსაც, არის უშუალო შედეგი ისტორიის განხილვისა.

ეს პირობა უდავოდ მიგვაჩნია.

რაკი დავრწმუნდით ამ პირობის უდავობაში, ექვს გარეშეა, იძულებული გავხდით მიგვემართა ჩვენი ანალიზის იმ დასაყრდენ წერტილისათვის, რომელშიაც გამოიხატება ისტორიული წყაროების დაგროვება და შემდეგ მათი, რაც შეიძლება, ობიექტიური განხილვა.

ვინაიდან მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენი ისტორიისა, რომელიც გარდაიშალა ჩვენს თვალ-წინ 1917-1921 წლებში, როდესაც, ჩვენის აზრით, საქართველო ჩაყენებული განსაკუთრებულ ხელსაყრელ პოლიტიკურ-სტრატეგიულ და მატერიალურ პირობებში, ვერ ახერხებს სახელმწიფოს აღდგენას, გვაიძულებს ვეძიოთ სხვა ელემენტები ჩვენი დამარცხებისა, რათა ცნობილი და უტყუარი მეთოდით, წარსულ შეცდომების შესწავლით, მოვძებნოთ აზროვნული ჭეშმარიტება, რითაც მივცეთ მძლავრი ნიადაგი მომავალ ქართულ მხედრობის აღორძინებას.

II. იუნკერთა კავშირის საინტერესო წყაროდ მიაჩნია: პირველ ყოვლისა წერილობითი დოკუმენტები (ბრძანებანი, პატაკები და სხვა) და იმ პირთა მოგონებანი, რომელთაც რაიმე როლი ითამაშეს ქართული ჯარის ორგანიზაციაში და უფროსობაში, როგორც მშვიდობიან დროს, ისე ბრძოლის ველზე, უფროსობის საფეხურის განუზრუნვლად.

მამასაღამე, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს და ისიც პირველ-ხარისხოვანი, სხვადასხვა პირების დაკვირვება-დაფასებას იმ მომენტებისა, რომელთაც უშუალოდ დაესწრენ. წყაროების შეგროვება ნაგულისხმევი გეგმონდა ზემოხსენებული პრინციპის დაცვით და ამიტომაც თავის დროზე „მხმლარი“-ს რედაქციამ მიმართა ქართულ საზოგადოებას მოწოდებით, სადაც შემდეგი აზრი იყო გამოთქმული: მწყობრის უფროსმა აღწეროს თავისი და მისი ნაწილის მოქმედება, მინისტრმა კი მინისტრის ფარგლებში (რესორტში). ვფიქრობთ, რომ ამისთანა პრინციპზე აგებული მუშაობა ალბად დადებით ნაყოფს მისცემდა ჩვენს საქმიანობას.

სანიმუშოდ მივუთითებთ ღენერალ ჩხეიძის მოგონებებზე, რომელიც ძირითად თემას, „სამხედრო სკოლის ისტორიას“, უძღვნის თავის შრომის 95%, ხოლო თუ კი 5% ეკუთვნის საერთო საკითხების აღწერას, ეს მარტო მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს მთავარი თემის გაშუქების საჭიროება. ძნელია მართლაც შრომის 5%-ით ამოსწუროს ავტორმა ისეთი რთული და ვრცელი საგანი, რასაც წარმოადგენს 1921 წელში მომხდარი კატასტროფა.

III. „მხმლარ“-მა მიიღო მთელი რიგი საპოლემიკო (საპასუხო) წერილებისა. ამის შესახებ საჭიროა ცოტა რამ ითქვას:

აუცილებელია პოლემიკის ტონი შენელებულ იქნას და წერილებს მიეცეს საქმიანი ხასიათი და ისიც მხედრული ეთიკის დაცვით.

„მხმლარი“-ს რედაქცია მოათავსებს მიღებულ საპასუხო წერი-

ლებს, რათა: 1) არავის მიეცეს საბუთი დაგვწამოს ცალმხრივობა და 2) რაც უმთავრესია, მიეცეს დასაწყისი ჩვენი სამშობლო ისტორიის დიდათ მნიშვნელოვან 1917-1921 წლების გაშუქებას.

IV. რაც შეეხება გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველო“-ში მოთავსებულ წერილს ღენერალ ჩხეიძის მოგონებათა შესახებ, ხელმოწერილ ვინმე მოხალისეს მიერ, ცხადია, „მხმდარ“-ს რედაქცია მას პასუხს არ გასცემს. რადგანაც, ჩვენის აზრით, მისი კრიტიკა, როგორც შინა-არსით, ისე ფორმით უვარგისია (მოკლებულია საბუთებს, — ეს შეეხება შინაარსს, მოკლებულია ზრდილობას, — ეს შეეხება ფორმას).

იუნკერთა კავშირის გამგეობა.

### პარტიველ მხმდართა საყურადღებოდ

საჭიროა. შესაძლებლობის ფარგლებში, ეხლავე შევეუდგეთ ქართული სამხედრო მეცნიერების შექმნის საქმეს. მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში, ოფიცრობა, ჩვენი ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის შესახებ გარკვეული აზრით უნდა ჩავიდეს. 1918 წლის მარტში აღარ უნდა მოგვიხდეს: ისტორიულმა ბედმა თავისუფალი საქართველო ჩაგვაბარა და ჩვენ კი არ ვიცოდით არც სახელმწიფოს ბუნება და მისი მოწყობის საქმე და არც საქართველოს განსაკუთრებულ პირობებთან შეგუებული არმიის ორგანიზაცია. ამ გარემოებამ დალუბა ჩვენი ქვეყანა. დღეს ეს ეროვნული უბედურება გაკვეთილად მაინც გამოვიყენოთ.

ჩემის აზრით ეხლავე უნდა შევეუდგეთ შემდეგი საკითხების დამუშავებას:

I. უნდა დამუშავდეს ქართული მხედრული მეცნიერული ტერმინოლოგია. ეს უპირველესად ყოველისა. ერთი მხრივ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ძველი ტერმინები და მეორე მხრივ, შესაფერისად ვსთარგმნოთ ევროპიული.

II. საქართველოს სამხედრო ისტორია.

III. მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ორგანიზაცია. ამის შესახებ შე მაქვს დამუშავებული გეგმა და თუ „მხმდარ“-ს მკითხველისათვის საინტერესო იქნება, გამოვაქვეყნებ. რასაკვირველია ეს გეგმა შედგენილია მხოლოდ ზოგად და მთავარ ხაზებში და მისი საბოლოო დამუშავება უნდა კოლექტიური შრომის ნაყოფი იყოს.

**IV. სამთო ტაქტიკა.** ამ საკითხის გაშუქება დიდად საჭიროა ჩვენი არმიისათვის. ამ მიზნით უნდა შესწავლილ იქმნას მეტადრე შვეიცარიის მხედრული ლიტერატურა.

**V. მთის არტილერია და მისი ტაქტიკა.** ამ საკითხის შესწავლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული ავსტრიისა და იტალიის სამთო არტილერიის ტაქტიკას მსოფლიო ომის დროს.

**VI. საქართველოს განსაკუთრებული პირობები სამხედრო თვალსაზრისით:** ეროვნული თვისებები: გეოგრაფიული მდგომარეობა: შემოსევის საშიშროება: ჩვენი სატახტო ქალაქის განსაკუთრებული საშიშო ტოპოგრაფიული მდგომარეობა და სხვა.

**VII. ცხენოსანი ჯარის როლი ომში.** ჩვენთვის ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია: საქართველოს აღმოსავლეთით ომის ბედის მთავარი გადამწყვეტი კიდევ დიდხანს ცხენოსანი ჯარი იქნება. 1921 წელს ორი ათასი ცხენოსანი რუსის ფრთას სავსებით შემოფარგლავდა.

ჩემის აზრით, ეს გეგმა პრაქტიკულად შემდეგნაირად უნდა განხორციელდეს: რამოდენიმე პირმა თავს უნდა იღოს ერთ-ერთი საკითხის შესწავლა და მაზედ წერა „მხმდარ“-ში. ამნაირად უნდა განაწილდეს ყველა ზემოდ მოყვანილი საკითხები. ამ პირებმა რედაქციას უნდა აცნობონ თავისი ვინაობა, მისამართი და ის საკითხი, რომლის შესწავლას კისრულობენ. შემდეგ ამ პირთა რედაქციასთან შეთანხმებით უნდა ამორჩეულ იყოს ერთი მცოდნე ოფიცერი, რომელიც იკისრებს მათ ხელმძღვანელობას. მწერლები ხელმძღვანელს თავის ნაშრომებს წარუგზავნიან და „მხმდარ“-ში დასაბეჭდათ იგი გაანაწილებს ამ მასალას. მოსალოდნელი და საჭიროცაა, რომ ზოგი ერთი თხუხულება მოზრდილი იყოს. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელის მოვალეობა იქნება მათი სქემატური გადმოცემა „მხმდარ“-ში დასაბეჭდათ, იმ მომენტის მოლოდინში, როცა ნივთიერი მდგომარეობა შესაძლებელ ჰყოფს მათ მთლიან წიგნად გამოცემას. ხელმძღვანელსვე წარუგზავნიან იმ ბიბლიოგრაფიას, რომლით მწერლებმა ისარგებლეს და ცნობას, თუ რომელ ბიბლიოთეკაში არიან ეს თხუხულებანი. ხოლო ამ ბიბლიოგრაფიულ სიებს ხელმძღვანელი „მხმდარ“-ში დაბეჭდავს.

ესეთია ჩემი მოსაზრება და იმედია სხვები უკეთეს გეგმას წარმოადგენენ, რისიც მე დიდად მოხარული ვიქნები.

## ქიმიური მრეწველობის განვითარების

### შესაძლებლობა საქართველოში

ქიმიური მრეწველობა არის უმთავრესი ნაწილი მრეწველობისა და დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო უწყებისათვის, ვინაიდან მისგან ძლიერ დამოკიდებულია ომის წარმოება მტრის წინააღმდეგ. ქიმიურ მრეწველობას ეკუთვნის: ასაფეთქებელი მასალები, დამუშავება წამლებისა, სხვადასხვა პრეპარატებისა, მშრალი დესტილაცია ქვანახშირისა, ხისა, ტორფისა, ნავთისა, დამუშავება ხელოვნურ ნებვისა (მიწის სასუქისა), მეტალურგიის მრეწველობა ე. ი. მადნიდან რკინის გადმოდნობა ქიმიური პროდუქტებითა, ქაღალდის, შაქრის, სპირტის, საღებავების, კერამიკის და შუშეულის მრეწველობა — სულყველა ეს შეადგენს ქიმიურ მრეწველობას, თუმცა-და, რამოდენიმე ზემო-აღნიშნული ცალკე არის აღებული, როგორც წარმოება.

თუ მომავალი ომი იქმნა ქიმიური, მაშინ მიხვდებით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დარგის შესწავლას და მისი მრეწველობის განვითარებას. ექვს გარეშეა, რომ მომავალ ომში ქიმიურ მრეწველობამ უნდა ითამაშოს დიდი როლი ომის გამოცხადებაში და მერმე მის წარმოებაში. გერმანელებს რომ ქიმიური მრეწველობა კარგად დაყენებული არა ჰქონოდათ, ვერ იგრძნობდნენ თავის უპირატესობას და ომსაც ვერ გამოუცხადებდნენ საფრანგეთს. გერმანელებისათვის რომ არ დაეკეტათ სელიტრის შემოტანა, რომელიც 900.000 ტონი შემოჰქონდათ, და ან მათ რომ არ აემუშავებინათ აზოტის ქარხნები, ომი, რომელიც 4 წელიწადი გაგრძელდა, შესაძლოა რამოდენიმე თვეში გათავებულიყო.

ქიმიურმა მრეწველობამ მისცა საშუალება გერმანელებს ომი 4 წლის განმავლობაში გაეგრძელებინათ.

ქიმიური მრეწველობის საშუალებით შესძლეს გერმანელებმა სხვა და სხვა სუროგატების (ნედლი მასალის მოადგილენი) შექმნის საკითხის მოწესრიგება. ქიმიური მრეწველობა უპირველესად ყოვლისა დამოკიდებულია გონებრივ შემოქმედებაზე და მრეწველობის არავითარ

დარგში მეცნიერებას არა აქვს იმოდენი მნიშვნელობა, როგორც ქიმიურ მრეწველობაში. ქიმიური მრეწველობის, სახელმწიფო თავდაცვისათვის, მომზადება ნიშნ ავს არა მარტო ნაწარმოების დამზადებას, არამედ ქიმიკოსების მობილიზაციასაც მეცნიერული შემოქმედების მუშაობისათვის. რამოდენიმე ციფრით მინდა აღვნიშნო — რა საფეხურზე იდგა ომიანობამდე ქიმიური მრეწველობა გერმანიაში და საფრანგეთში: —

გერმანიაში ქიმიკოსთა პიროვნული შემადგენლობის რიცხვი 30.000-მდე აღიოდა; ომის გამოცხადებისას ქიმიკოსები იქმნენ გადაცემული მრეწველობის განკარგულებაში, მაგალითად: 200 ქიმიკოსი იმყოფებოდა ჰაბერის ლაბორატორიაში (ჰაბარმა მოიგონა სინტეზა აზოტის ნაერთისა), საფრანგეთში კი, ომის წინა ხანებში, მათი რიცხვი ძლივს აღიოდა 2.500-მდე, რომლიდანაც, თითქმის ომის დასაწყისში, ჯარში იქმნა მოწვეული 1.400, აქედან მრეწველობაში გააგზავნეს 800 ქიმიკოსი და 400 კი ჯარში, მებრძოლ ერთეულებში იქნენ განაწილებული, რომლიდანაც 200 ქიმიკოსი პირველ შეტაკებაშივე, ომის ველზე დაიხოცა; ასე რომ, 1.400 ქიმიკოსისაგან საფრანგეთმა გამოიყენა მხოლოდ 800 და 600-კი არა თავის დანიშნულებისათვის.

საქართველოში ქიმიურ მრეწველობას სასიქადულო მომავალი აქვს და ეს ასეც იქნება, თუ მომავალში, ამ დარგის განვითარებას სათანადო ყურადღება მიაქციეს.

თითქმის ყველა საჭირო ნედლი მასალა ამ მრეწველობის განვითარებისათვის, როგორც ნახშირი, ხე-ტყე, ნავთი, ტორფი, გოგირდი და სხვა მოგვეპოება და ამასთანავე საუკეთესო ხარისხისა.

შევეცდები დავახასიათო — რა მნიშვნელობა აქვთ ზემო-მოხსენებულ მასალებს და რა ოდენობა შეიძლება საქართველოში იქმნეს აღრიცხული. (ამასთანავე აღვნიშნავ, რომ ყველა ცნობა საქართველოს შესახებ არის შემდეგი წყაროებიდან: „საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები“ ბ. დიომიდე თოფურიძისა; „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“ ბ. გ. გებტმანისა; „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“ ბ. გიორგი ჯანაშვილისა.).

საქართველოს ტყე უდრის მთელი ტერიტორიის სივრცის 34.4%. მას სულ ორი მილიონი სამოცი ათას ცხრაასი დესეტინა უჭირავს, რომლიდანაც 82% ფოთლოვანი ტყეა და 28% წიწვოვანი. ჩვენში მოიპოვება: წიფელა, რცხილა, ნაძვი, მუხა, კოპიტ, წაბლი, ნიგოზი, თხმქ-



ლა და სხვა ჯიშის ხეები. თუ სათანადო ყურადღება მიექცა და ტყის მოვლა რაციონალურად იქმნა დაყენებული. ყოველწლიურად შეგვიძლია მივიღოთ 255.740.000 კუბ. ფუტი ხე-ტყე, რომელიც მოიხმარება სხვა და სხვა მიზნისათვის. როგორც მაგალითად: სააღმშენებლო მიზნით, სამრეწველო მიზნით. (ქაღალდის გარდაქმნა, ავეჯეულობა, რონოდები, ურმები, წუმწუმა, მანქანების სხვადასხვა ხის ნაწილები, ავიაციის და ავტომობილისათვის საჭირო ხის ნაწილები), სათბობი მიზნით, რკინის გზისათვის და ფოსტა-ტელეგრაფისათვის.

ყოველწლიურად ჩვენ ტყეს ერთ დესტინაზე ემატება 110 კუბ. ფუტი ხე-ტყე, ამიტომაც წლიურად ამაზე მეტი არ უნდა იჭრებოდეს.

ადვილი შესაძლებელია ხის მშრალი დესტილაცია, რაც ნიშნავს მის ძლიერ მაღალ ტემპერატურაში (150—430 გრ.ც.), ჰაერის მიუსვლელად, გახურებას, რა დროსაც ხდება მისი სხვა და სხვა შემადგენელ ნაწილებიდან დაშლა. ეს დესტილაცია შესაძლოა, როგორც წიწვოვან აგრეთვე ფოთლოვან ხე-ტყესი. მშრალი დესტილაციის უმთავრესი შემადგენლობა არის: ხის ნახშირი, ხის ფისი, კირის სიმარე, ხის ძმარი ან ძმრის სიმყავე, ასანთი გაზი, კალაფონია, სკიპიდარი. ხის ნახშირის მნიშვნელობა დიდია მეტალურგიაში, ვინაიდან რკინის ფოლადში გადადნობაში ხის ნახშირს აქვს ის უპირატესობა კოკსზე, რომ არ შეიცავს გოგირდს, რის გამო საუკეთესო რკინას იძლევა. ხის ნახშირს ხმარობენ შავი თოფის წამლის მისაღებად, აგრეთვე საწამლავ გაზების საწინააღმდეგო ნიღაბებისათვის.

მეორე შემადგენლობა, რომელსაც ვღებულობთ მშრალი დესტილაციის საშუალებით არის ფისი (კუბრი). რომელიც გარდაქმნის შემდეგ იძლევა ზეთის მატორების ასამუშავებლად და აქვს დიდი მოთხოვნილება ტექნიკაში. ფისისაგან შეგვიძლია მივიღოთ სამკურნალო საშუალებანი: გვიაიკოლი, ძმრის სიმყავე, ასპირინი, ფენაცეტინი, აცეტონი, რომელიც უკვამლო თოფის წამლის დამუშავების დროს დიდ საჭიროებას წარმოადგენს (აცეტონიდან ცელულოიდას ქმნიან), სპირტი ხისა და მეტილის, რომელიც განსხვავდება ეტილის სპირტისაგან; ხის სპირტი დასაღვეად არ იხმარება, ვინაიდან საწამლავს შეიცავს. ხის სპირტი დიდ საჭიროებას წარმოადგენს ასაფეთქებელ საშუალებათა დასამუშავებლად; იმისგან ვღებულობთ ფრიად ძვირსა და საჭირო პროდუქტს — ფორმალინას, რომელსაც სამკურნალოს გარდა, აქვს მრეწ-

ველობაში დიდი მნიშვნელობა, კალაფონიას, სკიპიდარს, ფრიად მნიშვნელოვან საშუალებას სამხედრო მრეწველობისათვის.

**ქვანახშირი.** საქართველო მდიდარია ქვანახშირით; ეხლა, როდესაც მრეწველობა ასეთი სწრაფი ტემპით ვითარდება, ქვანახშირს დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველა სახელმწიფო, სადაც მრეწველობა უმაღლეს წერტილამდე განვითარებული, უსათუოდ ქვანახშირით არის მდიდარი. სახელმწიფო, რომელსაც ქვანახშირი არ მოეპოვება, ვერ შესძლებს თავისი მრეწველობის მაღალ საფეხურზე დაყენებას, ამ მხრივ საქართველო იმყოფება ფრიად კარგ მდგომარეობაში, ვინაიდან მას მოეპოვება რამოდენიმე ქვანახშირის ბუდობი, რომელთა რაოდენობა გამორკვეულ რაიონებში აღირიცხება 19 მილიარდ ფუთამდე, —ამათაგან ცნობილია ტყიბულის, გელათის და ტყვარჩელის. ტყიბულისა და გელათის ქვანახშირი არ არის კარგ-ხარისხოვანი; საჭიროა მიღებულ იქმნეს ზომები მათ გასაუმჯობესებლად. სპეციალისტების გამორკვევით, ტყვარჩელის ქვანახშირი არის ღირსებით ძლიერ მაღალი, მისი თბობა-უნარიანობა 7.800 კოლორიას უდრის. ამის გარდა, შავი-ზვის ნაპირის მახლობლად იმყოფება, რაც იძლევა დიდ გარანტიას იმაში, რომ მას ევროპაში დიდი გასავალი ექნება. ტყვარჩელის ნახშირის მარაგი, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, აღირიცხება 12 1/2 მილიარდი ფუთით და შესაძლებელია ყოველ-წლიურად ამოღებულ იქმნეს 150—180 მილიონ ფუთამდე. გვარის და მიხედვით ქვანახშირს აქვს სულ სხვა და სხვა მოხმარება, როგორც მაგალითად: შექმნა სათბობ ენერჯისა და მექანიკურისა, იხმარება როგორც სათბობი მასალა, გარდაქმნა კოკსად, გაზად, და სხვადასხვა მადნეულობის გარდასაქმნელად. სათბობი ენერჯის მიღება შეიძლება მისი დაწვით, რასაც აქვს ადგილი რკინის გზებზე და მრეწველობაში. ამგვარი სათბობი ენერჯის მიღების დროს მისი უმეტესი ნაწილი იხმარება, რაც არ არის ეკონომიური ამ წესით ნახშირის მოხმარება; ამასთანავე იკარგება აუარებელი სათბობი ენერჯია ნახშირისა; უნდა ვეცადოთ ნახშირი უფრო მეტად გამოყენებულ იქმნეს ე. ი. მისგან მიღებულ იქმნეს ისეთი საშუალებანი, რომელთა მეტი გამოყენება შეიძლება ე. ი. გაზი და კოკსი. ჩვენი ტყვარჩელის ნახშირის ზოგიერთ ფენებიდან დაკოკსვაში გამოდის 66—78%-მდე კოკსი. ქვანახშირიდან ვღებულობთ ძვირფას პროდუქტებს, რომელნიც სახელმწიფოს თავდაცვისათვის წარმოადგენს დიდ საჭიროებას. უმთავრესი ქიმიური მასალაა და ქიმიური მრეწველობის განვითარება მანჯ

არის დამყარებული. მისი კოკსად და გაზად გარდაქმნის დროს ვლებულობთ გარეშე პროდუქტებსაც: ფისს, ამონს, გრაფიტს.

როგორც საკოკსო, აგრეთვე საგაზო ქარხნები ომიანობის დროს უნდა შეიქმნენ ქიმიურ სამრეწველოდ, თუ რასაკვირველია, აქვთ სათანადო, გაზის ან კოკსის გარდაქმნის დროს მიღებული გარეშე პროდუქტი ფისის, სადესტილაციო მოწყობილობა. ამ დესტილაციის დროს ვლებულობთ საკმაოდ ფასიან პროდუქტებს: ფენოლს, ანტრანცენტს, ტოლულს, ბენზოლს, კრილოლს, კარბონის სიმჟავეს, ნაფტალინს. ზემო-აღნიშნულთაგან ყველაზე თვალსაჩინო არის ტოლული, ბენზოლი, კრილოლი, რომელთაგანაც, რამოდენიმე გაწმენდისა და გარდაქმნის შემდეგ ვლებულობთ სინტეტიკურ საღებავებს, სხვა და სხვა სინტეტიკურ სურნელობას, ფარმაცევტულ და ფოტოგრაფიულ პრეპარატებს. მთელს რიგს ასაფეთქებელ მასალას, ომიანობის დროს სახმარ გაზებს, ასპირინს, ლიზოფორინს, ზლოროფორმს, 606, ქინას, მორფინს, კოკაინს, სახარინს, და აი ყველა ეს სამკურნალო საშუალება, რომლის მიღება შეიძლება, ქვანახშირიდან მიღებული ფისის დესტილაციისაგან. სინტეტიკურ საღებავებმა თითქმის სრულიად განდევნეს ხმარებისაგან, წარსულ ხანებში ხმარებული, მცენარეთაგან მიღებული საღებავები. ფისის მრეწველობამ დიდი გარდატეხა შემოიტანა თანამედროვე ცხოვრებაში. მისი მოხმარება ქიმიურ მრეწველობაში დაიწყო მხოლოდ — 1860 წ. — მანადე კი თითქმის ხელის-შემშლელ მასალად ითვლებოდა საგაზო ქარხნებში. დაწყებული 1860 წლიდან არსდება მრავალი ქარხანა ფისისა, სადაც ფისისაგან ქიმიურ გარდაქმნით სხვა და სხვა შემადგენლობის გამოყოფა დაიწყო. პირველი, რომელმაც ფისის გამოყენება დაიწყო, იყო გერმანია. მის მაგალითს მიბაძა ინგლისმა და რამოდენიმე წლის განმავლობაში დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში დაარსებულ იქმნენ გაზისა და კოკსის ქარხნები, სადაც ფისის ქიმიურად გამოყენებას შეუდგენ. ფისის მრეწველობა ძლიერ სწრაფი ტემპით ვითარდება და მოკლე ხანში ჩრდილოეთ ამერიკამ კიდევ გადააჭარბა გერმანიის წარმოებას.

ასანთებ გაზიდან შეიძლება მიღება ეტილინისა; ეტილინიდან კი ალკოჰოლი ეტილისა, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა სამხედრო მრეწველობისათვის.

იზოპრენი არის უმთავრესი ელემენტი სინტეტიკურ კაუჩუკის მისაღებად. ფისიდან წარმომდგარ სხვადასხვა საგანს აქვს დიდი მნიშვნე-

ლობა არამც თუ მეურნეობისათვის, არამედ სახელმწიფო თავდაცვისათვისაც. საჭიროებისდა მიხედვით, შეიძლება ძლიერ ადვილად სინტიტიკურ საღებავების ქარხნები გადავიდნენ ასაფეთქებელი მასალების დამზადებაზე. კარბონის მყავასი შემდეგ გარდაქმნაში იძლევა პიკრინის სიმყავეს და ხლოროპიკრინს, რომელიც სამხედრო ასაფეთქებელი მასალაა, ეკრაზიტი; პიკრინის სიმყავე იხმარება როგორც ყვითელი საღებავი, ხლოროპიკრინი არის საომარი გაზი.

როგორც კოკის. აგრეთვე გაზის ქარხნებში შეიძლება მივიღოთ გოგირდ მყავა ამონი. რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მეურნეობისათვის, ვინაიდან ამონი იხმარება როგორც ხელოვნური სასუქი (ნეხვი) და მიწას ძლიერ ასუქებს და ანოციერებს.

**ტორფი.** დიდი მნიშვნელობა აქვს ტორფს, როგორც სათბობ საშუალებას. საქართველოში ტორფს, ფოთის მახლობლად, დაახლოვებით 50.000 დესეტინა უჭირავს. სხვა ადგილასაც არსებობს ტორფის ბუდობები. როგორც სათბობი საშუალება, ტორფის ორი ტონი გასათბობი უნარი შეიძლება ერთ ტონს ქვანახშირისას უდრიდეს. რასაკვირველია, ტორფის ექსპლოატაცია ძლიერ ძნელია და შესაძლოა ადგილობრივი მისი მოხმარება. ვინაიდან იგი ტრანსპორტს ძნელად იტანს, საუკეთესო მისი მოხმარა შეიძლება ადგილობრივ ელექტრონის ცენტრალების შექმნით და მასში ტორფის მოხმარებით.

ტორფი შეიძლება ქიმიურად იქმნეს გარდაქმნილი, ამიტომაც იგი შეიძლება ვიხმაროთ, როგორც ნედლი ქიმიური მასალა.. მშრალი დესეტელაციის საშუალებით შეიძლება მისგან მივიღოთ ნახშირი, გაზი, ფისი და სხვა. ფისიდან კი პარაფინი, კოკსი, გაზი. ტორფის გარდაქმნის დროს შეგვიძლია, აგრეთვე, მივიღოთ გოგირდის ამონი, რომელიც სოფლის მეურნეობაში იხმარება როგორც ხელოვნური სასუქი, ხის სპირტი, კირის აცეტონი (კირის სიმარე), ნახევარ-კოკსი, რომელსაც ხმარობენ გასათბობ მასალად. ტორფი ნახევარ-კოკსად გარდაქმნილი უკვე ადვილია სატრანსპორტოდ.

**ნავთი.** უმთავრესად სავაჭრო და სამხედრო ფლოტი ამ ბოლო დროს გადავიდა მახუტზე, როგორც გასათბობ საშუალებაზე, ქვანახშირის მაგიერ. ნავთს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სამხედრო მრეწველობისათვის, აგრეთვე მთელი მრეწველობისათვის და რომ ეს ასეა, დაამტკიცა მსოფლიო ომმა, როოდესაც ომის ბედიღბალი ნავთმა გადასწყვიტა. 1917 წელში მოკავშირეთა მდგომარეობა იყო მეტად კრიტი-

კული; საფრანგეთს არ გააჩნდა ნავთის წყაროები. რუმინიისა და გალიციის ნავთის წყაროები გერმანიის და მის მოკავშირეთა ხელთ იყო; კავკასიის ნავთით, რევოლუციის გამო, ვერ ისარგებლებდნ და საკმარისი არც იყო და სწორედ ამ დროს მარშალ ფოშმა განაცხადა: „მოვიგებთ თმს, თუ ხელთ გვექნება ნავთი, თუ არა და ომი წაგებულა“-ო. ჩრდილოეთ ამერიკაში იქმნა დაარსებული კომიტეტი ნავთის საკითხის მონაწიერიგებლად. ამ კომიტეტმა შეაერთა ერთ ცენტრში ყველა ამერიკაში არსებული ნავთის კავშირები და მის დანიშნულებას შეადგენდა მოკავშირენი ნავთით უზრუნველ ეყოთ. ორი ამოცანა ჰქონდა ამ კომიტეტს დასახული: პირველი: გაძლიერება ნავთის წარმოებისა და მეორე კი ორგანიზაცია ნავთის ტრანსპორტისა. და ორივე ეს ამოცანა კომიტეტმა კარგად შეასრულა. 1918 წ. აუარებელი ნავთი მოდიოდა მოკავშირეთათვის და ომის მოგებაში უკვე ეჭვი არ ეპარებოდათ. აკტომობილთა კომუნიკაცია და ავიაცია შეუძლებელი იყო უბენზინოდ, და რა როლი ითამაშა ავტომობილმა და ავიაციამ მსოფლიო ომში, ეს ვხვალა ყველასათვის ცხადია. საზავო კონფერენციისათვის, დროებითი ზავის ჩამოგდების დროს, ლორდ კერზონმა განაცხადა: „...მომავალ ეტყვის, რომ მოკავშირენი ბენზინის ტალღებზე მიცურდენ გამარჯვებისაკენ“...

დესტილაციის საშუალებით მაზუტიდან შეგვიძლია მივიღოთ ბენზინი, ნავთი მსუბუქი და მძიმე ზეთი, პარაფინი. ყველა ზემოხსენებულ ხაგნებს აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენ ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, ოჯახურ მეურნეობაში და სატრანსპორტო მრეწველობაში. განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს მაზუტს, როგორც გასათბობ სითხეს და აქვს უპირატესობა ქვანახშირზე იმით, რომ ადვილი დასაგროვებელი და შესანახია, ვინაიდან ძლიერ ცოტა ადგილს იკავებს, გემზე ადვილი სახმარია, შეიძლება მისი რეგულაცია წვის დროს. მოკლება თუ მომატება ცეცხლისა, უფრო ცოტა მოსამსახურენი ესაჭიროება და დაწვის შემდეგ არ ხტოვებს ნაცარს. ამისათვის გემზე მაზუტი უფრო ხელსაყრელია და ეკონომიური.

1926 წ. ამერიკის მეზღვაურების 61% მაზუტს ხმარობდა და 39% კი ქვანახშირს. მაზუტის გათბობის უნარი შეიძლება 11.500 კალორიამდე იქმნეს მიყვანილი, მაშინ როცა ქვანახშირის მხოლოდ 7000-7500 კალორიამდე აღწევს.

ნავთისაგან მიღებულ პროდუქტებში თვალსაჩინო ადგილი უკა-

ვით სხვა და სხვა მანქანების საზეთავს და ვაზელინს. ეს ვაზელინი იხ-  
მარება ტყავეების დასარბილებლადაც; შემდეგ აარაფინასა, რომლიდა-  
ნაც აკეთებენ სანთლებს. ნავთისაგან მიღებულ ზეთებიდან, დესტილა-  
ციის საშუალებით, შეგვიძლია მივიღოთ გუძონი ან ასფალტი, რომლი-  
დანაც შეიძლება მიღებული იქმნეს ნავთის კოკსი. ნავთმა უდიდესი  
მნიშვნელობა მიიღო იმის შემდეგ, რაც მისგან შეიქმნა შესაძლებლობა  
ნახ-სურნელოვან სითხეთა მიღებისა. მისგანვე შეიძლება მივიღოთ აზო-  
ტი, რომლიდანაც შეგვიძლია ასაფეთქებელი წამლების დამუშავება.  
მას შემდეგ, რაც ნავთის სარგებლობაზე ვილაპარაკეთ, საჭიროა ორი-  
ოდე სიტყვა ითქვას მომავალში ჩვენში ნავთის აღმოჩენის შესაძლებ-  
ლობაზე.

საქართველოში ბევრ ალაგას იპოვება ნავთიანი ადგილები, მაგ-  
რამ საუბედუროდ, ჯერ-ჯერობით ვერ გამოუყვლევიათ. რამოდენად  
ეს წყაროები სამრეწველო ხასიათს მიიღებენ. ჩვენში, ყველაზე უფრო  
ნავთით მდიდარ ადგილად ჩაითვლება შირაქის ველი, სიღნაღის მაზ-  
რაში, სადაც მოიპოვება მჩატე ნავთის წყაროები დიდ-ძალ ბენზინის  
შენარევით; ელდერის რაიონი, სადაც მოიპოვება მძიმე ნავთი; გურია,  
სადაც გამორკვევები სწარმოებს — მოიპოვება იქ დიდი ბუნებრივი  
მარაგი თუ არა. და თუ აღმოჩნდა, რომ მართლაც გურიაში მოიპოვება  
ნავთი, რომელსაც შეიძლება სამრეწველო ხასიათი მიეცეს — ეს იქნება  
დიდი ბედნიერება საქართველოსათვის. ვინაიდან იგი ძლიერ ახლოა  
ჩვენ ნავსადგურებთან და მას ადვილად შესაძლებელია მიეცეს მსოფ-  
ლიო ხასიათი. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად შესაძლებელია ნავთის  
მრეწველობის განვითარება ჩვენში.

**აზოტის ნაერთნი.** აზოტის ნაერთს აქვს დიდი მნიშვნელობა ქი-  
მიური მრეწველობისათვის და აქედან აზოტის საკითხი მკიდროდ და-  
კავშირებულია სახელმწიფოს თავდაცვის საკითხთან. მისი მნიშვნელობა  
გამოიხატება იმაში, რომ აზოტი ეკუთვნის მცენარეთა სანოვავს და  
უფრო მეტი იხმარება, ვინემ ფოსფორის სიმყავე და უფრო მეტად ანო-  
ყიერებს მიწას და მოსავალის აღწევასზე მეტს მოქმედებს, ვიდრე სხვა  
სასუქი. თუ მიწის მოსანოყიერებლად ვინმართ 100 კილოგრამ ჩილიის  
სელეტრას, მივიღებთ 316 კილოგრამ ხორბლით მეტს. ისლს — 480  
კილოგრამით მეტს, კარტოფილს — 1.300 კილოგრამით მეტს. შაქრის  
ჭარხალს — 1.800 კილოგრამით მეტს და სწორედ ამაში გამოიხატება  
დადებითი მხარე აზოტის ნაერთისა. საქართველოში, სადაც 79.6%

მცხოვრებთა სოფლად სცხოვრობს, რომლიდანაც 94—95% სოფლის მეურნეობას მისდევს და მიწა კი ვერ იძლევა საკმაო მოსავალს — ეს საკითხი ძლიერ სერიოზულად უნდა იქმნეს დაყენებულნი.

სახელმწიფოს მეურნეობის მხრივ თავდაცვის საკითხი სულ სხვანაირად გამოიყურება, როდესაც საკითხი თვით-დაკმაყოფილების მაღალ საფეხურზე სდგას.

აზოტის მეორე მნიშვნელობა გამოიხატება ასაფეთქებელი მასალების დამუშავებაში, როგორც სამთო, აგრეთვე სამხედრო საჭიროებისათვის. ამას გარდა, აზოტს აქვს ხმარება საღებავებში, ფარმაცევტიკაში, ხელოვნური ყინულის შექმნაში და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გოგირდის სიმჟავის დამუშავებაში. სახელმწიფო, რომელიც სცდილობს თვით-დაკმაყოფილების ცხოვრებაში გატარებას ყურადღებას უნდა აქცევდეს აზოტის საკითხის ჯეროვან მოწესრიგებას. აზოტის ნაერთნი შეადგენენ სამ ჯგუფს: 1. აზოტის სიმჟავე და მისი მარილები, 2. ამონი და მისი მარილები, 3. ციანკი და ციანამიდი.

ნედლი მასალა, რომლიდანაც შეიძლება ზემო-აღნიშნული შემადგენლობანი მიიღოს, არიან: 1. ბუნებრივი ნედლი მასალა და ბუდობები აზოტის ნაერთისა, 2. აზოტი, რომელიც შედის ქვანახშირში და ტორფში, 3. აზოტი, რომელიც შეგვიძლია ჰაერიდან მივიღოთ. აი ესენი არიან აზოტის წყარო. აზოტთა ნაერთნიდან უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ჩილიის სელეტრას, რომელიც არის აზოტი სოდისა. იხმარება იგი როგორც ხელოვნური სასუქი ან და აზოტის სიმჟავის მისაღებად; აგრეთვე დიდი ხმარება აქვს ასაფეთქებელ მასალების დამუშავებაში. ჩილიის სალეტრის წლიური წარმოება უდრის 2.700.000 ტონს. გამოანგარიშებულია, თუ ყოველ წელს ეს რაოდენობა იქმნა დახარჯული, 100 წელიწადი იკმარებს იგი. მეორე წყარო აზოტისა არის, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ქვანახშირი და ტორფი, რომელშიდაც შედარებით ცოტა აზოტია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ აუარებელ რაოდენობას ქვანახშირი და ტორფისას; ეს საშუალება უნდა ჩავსთვალოთ აზოტის დიდ წყაროდ. აზოტის ნაერთის მისაღებად საჭიროა ნახშირის გადამუშავება კოკის და გაზის ქარხნებში. ამ გადამუშავების დროს შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ 20% აზოტისა, რომელიც ნახშირში შედის. ამ გვარად აზოტის მიღება ძლიერ გავრცელებულია, ვინაიდან აქ არ გვესაჭიროება სპეციალური ენერჯია, არც ნედლი მასალა, ეს არის მხოლოდ გარეშე პროდუქტი, რომელსაც ქვანახში-

რის გადაჭრულ შედეგების დროს ვლენტულობით და სწევს ღირებულებას უმთავრეს პროდუქტისა. კოკის და გაზის ქარხნებში ვლენტულობით ამონის წყალსა, რომლიდანაც შეგვიძლია მივიღოთ ამონი, რომელიც შეადგენს გარეშე პროდუქტს. ამონიდან კი შეიძლება მივიღოთ ამონის მარილები. ამ მარილებს აქვთ დიდი მნიშვნელობა ხელოვნური სასუქის მიღებაში. ამას გარდა, ამონის ხლორეკი და ამონის აზოტანი იხმარება ასაფეთქებელ მასალების დასამუშავებლად. უმთავრესად სამთო მიწნებისათვის. აზოტის უმთავრეს წყაროდ ჰაერი უნდა ჩაითვალოს. გამოანგარიშებულია, რომ 1 კვადრატ კილომეტრის სივრცეზე ჰაერი შეიცავს 8 მილიონ ტონა აზოტსა და თუ ამას შევადარებთ ყოველ-წლიურად ამოღებულ ჩილიის სალეტრას რაოდენობას, დავინახავთ, რომ 1 კვადრატ კილომეტრ სივრცეზე ჰაერი შეიცავს სამჯერ მეტ აზოტს; აქედან სჩანს, რომ ყოველგან და ყოველთვის შეიძლება მისი მიღება.

აზოტის ჰაერიდან მისაღებად არსებობს სხვა და სხვა საშუალება. მაგრამ ყველა მათ აქვს ერთი რამ საერთო: სინტეზია აზოტის ნაერთის ჰაერიდან ხდება ელექტრონის ძალის საშუალებით და ეს კი არის პროცესი ელექტრო-ქიმიური. როგორც ზემო-ხსენებულიდან სჩანს, ქიმიური მრეწველობის განვითარებას აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც ხალხის სიმდიდრის გამრავლება-დაგროვებაში, აგრეთვე სახელმწიფოს თავდაცვისათვის და ამისათვის უნდა მივაქციოთ მას დიდი ყურადღება და ვეცადოთ ამ დარგის ცხოვრებაში გატარების დროს, რაც შეიძლება მეტი თვით-დაკმაყოფილება აზოტის ნაერთის პროდუქცი-აში. სასუქის წარმოებას აქვს მნიშვნელობა, როგორც საერთო მრეწველობისათვის, აგრეთვე სამხედრო მრეწველობისათვის, ვინაიდან ომი-ანობის გამოცხადებისათანავე, ყველა ქარხანა, სადაც ხელოვნური სასუქი მზადდება, უნდა გადავიდეს ასაფეთქებელი მასალების დამზადებაზე, ვინაიდან, როგორც მქონდა ამაზე ლაპარაკი, როგორც ხელოვნურ სასუქის დასამზადებლად, აგრეთვე ასაფეთქებელ მასალების დასამუშავებლად საჭიროა აზოტის და გოგირდის სიმყავე და აგრეთვე აზოტის ნაერთი. როგორც ამ ჩემი წერილიდან სჩანს, ქიმიურ მრეწველობასთან ძლიერ მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს თავდაცვა, მისი განვითარებისაგან არის თითქმის მთელი მრეწველობის განვითარება დამოკიდებული, ამიტომაც საჭიროა დიდი ყურადღება იქმნეს მიქცეული ამ დარგის მრეწველობის განვითარებაზე ჩვენში. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გვაქვს ყოველივე ამისათვის საჭირო



პირობები და თუ მოვინდომებთ, შეგვიძლია ამ საკითხის თანდათანობით მოწესრიგება. მოგვეპოვება აუარებელი წყარო ელექტრონის ენერჯიის მისაღებად, ნახშირის, ტორფის ბუდობები და სხვა საჭირო ნედლი მასალა და აგრეთვე შესაძლებლობა შინაურ მოთხოვნილებებისა, ზემო აღნიშნულ შემადგენლობების გასასაღებლად მიწად მოქმედებაში, სამთო-მადნო მრეწველობაში, ჯარში და სხვა. რასაკვირველია, ხელისუფლებამ და უმთავრესად სამხედრო უწყებამ დიდი დახმარება უნდა გაუწიოს ქიმიური მრეწველობის განვითარებას. ამასთანავე საჭიროა შეიქმნეს რაც შეიძლება მეტი კადრი ქიმიკოსებისა და სათანადო ლაბორატორიებისა. ყველა ჩვენგანმა უნდა შევიგნოს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეხლა ქიმიურ იარაღს, რომლის განვითარებაზე დამყარებულია ერის სახელმწიფოებრივი არსებობა.

დარწმუნებული ვარ, რომ საკმარისად ვერ გავაშუქე ეს საკითხი და ძლიერ ზოგადათ მქონდა ლაპარაკი. ეს იმიტომ, რომ ძლიერ რთული და სპეციალური საგანია. როგორც მხედარმა, შევეცადე ამეხსნა — რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დარგის განვითარებას სამხედრო უწყებებისათვის და ერის თვით-დაკმაყოფილებისათვის. უთუოდ ბევრი შეცდომაც დავუშვი ტერმინოლოგიაშიც, ვინაიდან ამ დარგს მხოლოდ უცხო ენაზე ვეცნობოდი და სათანადო ქართულ ტერმინების მოპოვნა გამიძნელდა.

უფრო შინაარსიანად და სპეციალურად ამ საკითხის „მხედარ“-ში გაშუქებას ვსთხოვთ ჩვენ არასამხედრო პირებს, რომელნიც ამ დარგს უფრო დაწვრილებით იცნობენ და სათანადო უმაღლეს სკოლებში იყოფებიან ან და უკვე დამთავრებული აქვთ.

ამასთანავე მათვე მივმართავ თხოვნით, რათა შავიქვის (მანგანურ-ციხის) მნიშვნელობასაც შეეხონ ქიმიური მრეწველობისათვის. მე ამ საკითხს განვებ, მცირე მასალის გამო, გვერდი ავუარე, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ემიგრაციაში მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც ეს საგანი კარგად შესწავლილი აქვთ და არ დაიზარებენ თავის ნაშრომს ამ ჩვენ პატარა და ჯერ-ჯერობით ღარიბ ორგანოსათვის, როგორიც არის „მხედარი“.

ბი—ნა ქუ—ლაძე

## სამხედრო სასამართლოს შესახებ

„მხედარი“-ს მე-11-ე №-ში მოთავსებულია ბ. ა. ყიფიანის წერილი შემდეგი სათაურით: „სამხედრო სასამართლოს რეფორმა საფრანგეთში“. ამ წერილის შინაარსი შედგენილია ფრანგულ წყაროების მიხედვით. ავტორი ჯერ გვაცნობს საფრანგეთის ცნობილ მოღვაწეთა შეხედულებათ ამ საკითხზე, შემდეგ გადადის თვით 1928 წლის სასამართლოს რეფორმის დახასიათებაზე და ბოლოს იძლევა თავის შეხედულებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს სამხედრო სასამართლოს საკითხი მოგვარებული მომავალში, ჩვენ განთავსებული სამშობლოში. წერილი მეტად შინაარსიანი და საყურადღებოა საერთოდ და განსაკუთრებით ჩვენთვის. თვით წერილის შინაარსი და აქ მოყვანილი აზრები საფრანგეთის ისეთ ცნობილ მოღვაწეთა, როგორც კლემანსო და სხვანი, შეადგენს საკმაო დასაყრდენ მასალას საკითხის გასაშუქებლად. ავტორი, თვით იურისტი, დაჯილდოებული წერის ნიჭით, მშვენიერი მკოდნე ქართული ენისა, იძლევა ისეთ ნათელ აღწერას ამ საკითხში, რომ ჩვენთვის, არა იურისტებისათვისაც სრულიად ნათელსა ჰყოფს მას და საშუალებას გვაძლევს ჩვენც გამოვსთქვათ ჩვენი შეხედულებანი.

შინაარსის მხრივ, ავტორისათვის ერთია საკიჟინებელი: წერილში ვერ ვპოულობთ იმის დასურათებას, თუ როგორ იყო ეს საკითხი გადაჭრილი ჩვენში, ჩვენს ხანმოკლე სამ-წლიან არსებობის დროს. ვფიქრობ, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ავტორის აზრით, ეს საკითხი ისედაც აშკარაა ყველასათვის — რასაკვირველია, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ იმდენი ქაოსი და არა-ნორმალურობა გვქონდა, იმდენად ვა-

ყავით გართული ჩვენ საკუთარ საქმიანობაში, რომ ეს საკითხი შეიძლება ბევრისთვის შეუმჩნეველი დარჩა.

მეც, პირადათ, ერთი უფროს ოფიცერთაგანი ვარ. მაგრამ გამოვტყდები, რომ სრულიად მტკნარი წარმოდგენა მაქვს იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ჩვენში სამხედრო პირთა გასამართლების სფეროში. თუ არა ვცდები, ვგონებ, ჩვენ სამხედრო სასამართლო სრულებით არც კი გვექონდა. და ისეთ წვრილმანებს კი, თუ ვინ დაავალებდა საქმეს სამხედრო სასამართლოს, ვისი ბრძანებით ხდებოდა გამოძიება, იღებდნენ თუ არა ყველა ამაში მხედრები რაიმე მონაწილეობას, სიმართლე უნდა ვსთქვა. ვერ ვიგონებ!

ღვთის მადლით, ჩემს ნაწილში, მთელი სამი წლის განმავლობაში, გარდა 2 მაისს ჩვენზე თავდამსხმელთა გასამართლებისა, სავლელე სასამართლოში არავითარი გასარჩევი საქმე არ მქონია და საკითხსაც ვერ ვავეცანი. ჩვენ ახალგაზრდებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი! მათგან ასეთი საქმენი მუდამ შორს იყვნენ. ყველა ამისათვის სასურველია, რომ ავტორმა ეს ნაკლი თავისი წერილისა შეავსოს და ჩვენ, მხედრებს, გავაცნოს დაწვრილებით არა მარტო მხედრის განსაჩივრების წესები, არამედ ის მოტივებიც, რომელნიც გადაეღობენ ჩვენში სამხედრო სასამართლოს დაარსებას. ავტორი როგორც იურიტი და რამდენადაც მახსოვს, თანამდებობითაც იურიდიულ დარგში ნამსახურევი, ვფიქრობ ყველა ამაში გარკვეულია.

გადავალ ეხლა ავტორის დასკვნებზე ჩვენში სამხედრო სასამართლოს მოწყობის შესახებ. ბ. ა. ყიფიანი ამბობს: „სამხედრო სასამართლოს არსებობა უდავოა ჩვენთვის! — შექმნილი უნდა იყოს თვით-მომქმედი სამხედრო სასამართლოს კორპუსი — ... რომელთა რიგებს შეადგენენ პროკურორები, გამოძიებელნი და მდივნები... მსაჯულთა შემადგენლობაც მხედრულია..., სამხედრო დამცველნი ზოგიერთ საქმეებში აუცილებლად საჭიროა... იგი მხედარია... ასეთია პირველი ინსტანცია და საოლქო სასამართლოები... ჩვენში უმაღლესი სამხედრო სასამართლო არაა საჭირო; მხოლოდ მესამე ინსტანციის საჭიროება აუცილებელია...“ ამნაირად 1-ლ და მე-2-ე ინსტანციას ავტორი უყურებს როგორც მხედრულს, მე-3-ში შესაძლებლად მიაჩნია ერის კაცთა შეყვანაც. ამას იგი განმარტავს შემდეგნაირად: „უმაღლეს სასამართლოში (მე-3-ე ინსტანცია) სამოქალაქო მსაჯულის (თავჯდომარის) შეყვანა... ნაყოფიერად მიგვაჩნია, ვინაიდან უმაღლესი სასამართლო... არ ექება თვით

საქმის შინაარსს, ხოლო კანონის სამართლიანად გატარებას თვით საქმეში“... ქვევით ავტორი ამბობს: „რაც შეეხება სასამართლოს კომპეტენციას... ყოველივე არა მხედრული დანაშაული სამოქალაქო სასამართლოს უნდა გადაეცეს“-ო.

რაც შეეხება მე-3 ინსტანციას, სადაც ავტორი მისაღებად სთვლის საერო სასამართლოს წარმომადგენელის ყოლას თავჯდომარის სახით, ძნელია ამაზე რაიმეს თქმა: ეს წმინდა იურიდიული საკითხია და თუ სამხედრო მსჯავრთა კანონის მოხმარების დროს ერის კაცი მსაჯული სიძნელეთ არ წააწყდება, შეიძლება ასეთი წინადადების მიღებაც.

ჩვენ ყურადღებას უფრო იპყრობს სასამართლოთა შორის კომპეტენციების განაწილების პროექტი, სახელდობრ სიტყვა: „ყოველივე არა მხედრული დანაშაული სამოქალაქო სასამართლოს უნდა გადაეცეს“-ო. საკითხის ასე დაყენება ჩვენთვის საკამათოა და არ მიგვაჩნია საქმის ნაყოფიერებისათვის სასარგებლოდ. ავტორს თვით მოჰყავს საფრანგეთის მოღვაწეთა აზრები, რომელიც მათ გამოუთქვამთ „სამხედრო სასამართლოს ყოფნა არ ყოფნაზე მსჯელობის დროს“. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ისეთი წარჩინებული ადამიანის აზრი როგორც ბ. კლემანსო, რომელიც ფრანგების მიერ წოდებულია: „ფრანგულ ლაშქართა გამარჯვების მამათ“ აი რას ამბობს იგი: — „არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს ორი საზოგადოება: სამოქალაქო დაყრდნობილი თავისუფლებაზე და მხედრული, დაყრდნობილი მორჩილებაზე... ამიტომ სანამ არსებობს ჯარი და მისი საზოგადოება — მხედრობა —... სამხედრო სასამართლო, როგორც სპეციალური დარგის და ხსიანთის იურისდიქცია უნდა მუდმივ არსებობდეს“-ო.

ასე გადაჭრით აღნიშნავს სამხედრო სასამართლოს საჭიროების აუცილებლობას ბ. კლემანსო. მართალია, ის არაფერს ამბობს სასამართლოთა შორის კომპეტენციების განაწილებაზე, მაგრამ აშკარად აღნიშნავს იმ სხვაობას, რომელიც არსებობს ერის-კაცულ და მხედრულ საზოგადოებათა შორის, და მაშ საფიქრებელია, არცა სცნობს მათ სამსჯავროთა შორის კომპეტენციების გადაჯვარადინებას.

მოვიყვანოთ ესლა ჩვენი მოსაზრებანი. არსებობს თუ არა საჭიროება კომპეტენციების ასეთი განაწილებისა? ან რა სარგებლობა გამომდინარეობს აქედან სახელმწიფოსათვის? არის თუ არა შესაძლებლობა, რომ საერო დანაშაულისათვის, სამხედრო სასამართლოს მიერ განსაზღვრებულთ, მოვლით რაიმე უსამართლოება? სარგებლობა სახელ-

მწიფოსათვის აქედან არაფერია. ცოტა შემცირდება განსასაჩივრებელი საქმეები სამხედრო სასამართლოში, მაგრამ ამდენადვე გაიზრდება ის საეროში. თუ ეს გამოიწვევს მხედრულ მსაჯულთა რიცხვის შეზღუდვას, ამდენადვე გაზრდის სამოქალაქო მსაჯულთ. არც რაიმე უსამართლობაზე შეიძლება ლაპარაკი.

გასაკვირველია: თუ კი სამხედრო სასამართლოს შეუძლია განსასაჩივროს ყველა სამხედრო სახის დანაშაულება, რატომ აღარ უნდა ჰქონდეს იმდენი ნდობაც, რომ განსაჯოს მხედართა ერის-კაცული დანაშაულობაც! უნდა მივიღოთ სახეში, რომ მხედრის მიერ ჩადენილი დანაშაული შეიძლება იყოს მხედრულიც და ერისკაცულიც; ეს დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ სად ან რა პირობებში ჩაიდინა მან ეს დანაშაული. მაგალითად. ჯარისკაცმა, რომელსაც უბრძანეს სამზარეულოში კართოფლის გაფცქვნა, მოიპარა 1/2 გირვანქა კართოფილი, — ვფიქრობ, დანაშაული სამხედრო ხასიათისაა და ეს საქმე გადაეცემა სამხედრო სასამართლოს; ვსთქვათ, იმავე ჯარისკაცმა შვებულებაზე ყოფნის დროს მოპარა მეზობელს იგივე 1/2 გირვანქა კართოფილი — ეს უკვე სამოქალაქო დანაშაულობაა და მაშ, კომპეტენციათა გაყოფის სისტემის მიხედვით, უნდა გადაეცეს იგი საერო სასამართლოს. რაშია საქმე? რატომ არ შეიძლება რომ ორივე საქმე გააჩიოს სამხედრო სასამართლომ?

სასურველია მოვისმინოთ, როგორ არის ეს განსაზღვრული ფრანგული კანონებით: რომელი საქმეები ეძლევა განსახილველად საერო სასამართლოებს?

ეხლა განვმარტოთ საკითხი სხვა, მხედართათვის უფრო მნიშვნელოვან მხრიდან.

ვფიქრობ, ავტორი დამეთანხმება და ამაში ეჭვი არ შეიტანება, რომ ყოველი სასჯელი არსებობს არა როგორც სამაგიეროს მიძღვნა, არამედ როგორც გამასწორებელი, აღმზრდელი საშუალება. სახელმწიფო აძლევს თავის ახალგაზრდათ, ჭაბუკობის ხანაში, მხედრებს და ავალებს ამ უკანასკნელთ გამოზარდონ მათგან ღირსეული შვილები და დამცველნი თავისი სამშობლოსი. არ არის საკმარისი, რომ მათ ესწავლებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სროლა და წყობილება, საჭიროა ჩაენერგოთ მათ სინიღისი და პატიოსნება, განევიტაროს ადამიანის საუკეთესო თვისებანი: გამბედაობა, ამტანლობა, თავმდაბლობა, ხასიათის სიმტკიცე, ამხანაგობა, თავდადება და მრავალი სხვა. მაშ, ვკითხუ-

ლობ — თუ კი უფროსობას მიენდობა ასეთი საპასუხისმგებლო ვალდებულება, როგორც არის ახალგაზრდათა აღზრდა, რად უნდა შეეზღუდოთ მათ. თუნდაც ნაწილობრივ, აღმზრდელიობით საშუალებათა ფარგალი? თუ სამხედრო სამზარეულოში მოპარულ კართოფილის საქმე ევალება სამხედრო სასამართლოს. რატომ არ შეიძლება დაევალოს მასვე გასამართლოს ჯარისკაცი კერძო სამზარეულოდან კართოფილის მოპარვისათვის? ჯარს აღარა აქვს საამისო ავტორიტეტი? ვითომ ეს ჯარს აღარ ეხება? ამას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ეს მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს საერთოდ ჯარის აღზრდის დარგზე.

რანაირი მიმდინარეობა შეიძლება მიიღოს საქმემ? თუ საქმე სამოქალაქო მოსამართლის კომპეტენციას მიეკუთვნა, მაშ გამოძიებაც უნდა აწარმოოს საერო გამოძიებელმა. შეიძლება საჭირო შეიქმნეს დამნაშავეს გაჩხრეკა; და აი სამოქალაქო სასამართლოს წარმომადგენელი გამოცხადდება ყაზარმებში და დაიწყებს ჯარისკაცის ნივთებში ჩხრეკას. გამოძიებელს შეიძლება ცნობა ჰქონდეს, რომ მოპარული ნივთი მის ხელში ნახეს და როდესაც მისი ნივთების გასინჯვა დანაკარგს ვერ აღმოაჩენს, მოინდომებს მთელი გუნდის გადატრიალებას; თუ ჯარისკაცი პოლკის უფროსის მსახურია, მაშ გამოძიებელი ძირიან-ფესვიანად გადასჩხრეკს პოლკის უფროსის ბინასაც... ასეთი მაგალითი უამრავია. და ასეთი მოვლენა მოუტანს რაიმე სარგებლობას ჯარს? არ დასცემენ ჯარისკაცის თვალში უფროსობის ავტორიტეტს? არ იფიქრებენ ესენი, რომ ასეთ საკითხებში უფროსობას არ ენდობიან?

წარმოვიდგინოთ. რომ გუნდის უფროსმა ჯარისკაცის სკივრის სისუფთავის შემოწმების დროს აღმოაჩინა იქ ნივთი, რომელიც საერო გამოძიებელმა თავის დროს ვერ იპოვა: გუნდის უფროსმა ამაზე უნდა აცნობოს საერო გამოძიებელს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, უნდა გამოვიდეს ცნობის მიმწოდებელის, აგენტის როლში.

ჯარში, გასასამართლებელ საკითხის აღძვრის უფლება აქვთ კორპუსის უფროსებს (პოლონეთში), — ვინ აღძრავს მხედრების საერო საკითხების განსაჩივრებას? — ალბად საერო პროკურორი. ესეც ამცირებს სამხედრო უფროსობის ავტორიტეტს, გამოიწვევს მრავალ გაუფებრობას და გახდება სადაო საკითხად მხედრობასა და სამოქალაქო პროკურორის შორის. ზოგჯერ ძნელი გასარკვევი იქნება — რომელ უწყებას ეკუთვნის გასარჩევი საკითხი. იქნება ისეთი საკითხებიც, რომელთა შესახებ მხოლოდ გასამართლების შემდეგ გამოირკვევა, თუ

რომელი სასამართლოს საკითხს შეადგენენ ისინი. ვსთქვათ, ჯარისკაცს შვეტულებაში აღმოაჩნდა რევოლვერი, რომელსაც გაყიდვას უპირებდა! რომელ უწყებას უნდა გადაეცეს ამ საქმის გარჩევა — სამხედროს თუ საეროს? რევოლვერი შეიძლება იყოს იმ სახისა, რომელიც მიღებულია ჯარში სახმარებლად, მაგრამ ისეთივე რევოლვერი იქნება ხმაურებაში მოქალაქეთა შორისაც. ალბად საქმეს ხელს მოჰკიდებს სამოქალაქო სასამართლო, ვინაიდან შემთხვევას ადგილი ჰქონდა ჯარის გარედ. ვთქვათ, აქ გამოირკვა, რომ რევოლვერი მოპარული იყო ჯარში და საქმე უნდა გადავიდეს სამხედრო სასამართლოში.

სასარგებლოა ან საჭიროა ასეთი მოვლენები? ვიმეორებ, რომ შეიძლება ზოგიერთი ჩემი შეხედულება იურიდიულად მოკლებულია საფუძველს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ კოპეტენციითა ასეთი განაწილება უარყოფით შედეგებს მოუტანს ჯარს!!

პოლონეთში ეს საკითხი რატომ არ იწვევს კამათს? აქ მხედრები ყველა საკითხში ემორჩილებიან სამხედრო სასამართლოს და სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა ამას სთვლის სრულიად ნორმალურ მოვლენად და მთელი ნდობით ეპყრობა სამხედრო სასამართლოებს და სამხედრო უფროსობას. ან როგორ შეიძლება სხვაგვარად? ამ ხალხს ქვეყანამ მიანიღო სიცოცხლე და არსებობა სამშობლოსი და ვეღარ მიუხდვია 1/2 გირვანქა კართოფლის მოპარვის საკითხი? თუ ფრანგებმა თავიანთის ეს მიიღეს, ეს მათი საქმეა; მაგრამ რად გვახვევს ამას თავზე ჩვენი იურისტი!

ემიგრაციაში ზედმეტია იმაზე მსჯელობა, თუ ვის ხელში იქნება ჩვენი აღდგენილი სამშობლოს საქე — მემარცხენეთა თუ მემარჯვენეთა; ჩვენ ყოველი საკითხი, რომელიც ეხება საქართველოს მხედრობას, უნდა ავწონ-დავწონოთ სარგებლიანობის თვალსაზრისით. თვით ავტორი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენა და რომელიმე მიმდინარეობის პოლიტიკურ იარაღად გადაქცევა — ამ ცნებას ბოლომდე უნდა მიჰყოლოდა. ჩვენ გამოცდილებიდან ვიცით, რომ ჩვენმა მმართველმა მემარცხენე პარტიამ სრულიად უარყო სამხედრო სასამართლო, და არა მარტო სასამართლო, **საამხანაგო სასამართლოც კი**, მაგრამ ჩვენ აქ, პოლონეთში, სულ სხვას ვხედავთ.

შევვხოთ ერთ პრინციპს, რომელიც მემარცხენე პარტიებს გაჰყავთ მხედრულ ცხოვრებაში. ისინი ამბობენ: — თუ მხედარი სამსახურის გარედაა, იმყოფება ყაზარმების გარედ, ხდება იგი ჩვეულებრივ მოქალა-

ქედ და მათი უფლება-ვალდებულებანი ერთნაირდებიან და მაშ მხედარი ჯარს გარედ ჰკარგავს მხედრულ სახეს. — საკითხის ასეთი შეგნება შეცდომაა და მეტად საზიანო. მხედარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰკარგავდეს თავის მხედრობას.

ყველა ქვეყნის ჯარში სამხედრო სამსახურის ვადა იმდენად შემცირდა, რომ სამხედრო უწყება ძლივს ასწრებს მათ გაწვერთნას და სამხედრო დისციპლინით აღჭურვას; ამ მოსაზრებით, ეს ცოტა ხანი მაინც, ჯარიკაცმა უნდა გამოუკლებლივ დაჰყოს სამხედრო დისციპლინის ჩარჩოებში, მორჩილებაში, მხედრულ დაქიმულობაში, რომ თაღარიგში გადასვლისას ბევრი ხნით გაიყოლიოს ყველა ჩამოთვლილი, მხედრობათვის აუცილებელი, თვისებები.

შეიძლება თავისუფალ მოქალაქისათვის სამხედრო სამსახური მძიმეა, მაგრამ ამასთან ის საპატიო და საამაყოა, თუ კი სწორად არის აღზრდილი ერში პატრიოტიზმისა სამშობლოსადმი ვალის მოხდის ცნებანი. ყველა ქვეყნის ჯარებში მხედრები ატარებენ სახელმწიფო ემბლემებითა და ღერბით მორთულ მხედრულ ტანსამოსს; ეს მათ მკვეთრად ანხვავებს სხვა მოსახლეობისაგან; ის დარაჯია და გარეგნული გამოხატულება სახელმწიფოებრიობისა და ასეთად უნდა იყოს სამსახურის ვადის დაღვევამდე, დღისით თუ ღამით, ჯარში თუ შვებულებაში. არ აქვს უფლება და არ უნდა შეეძლოს დაივიწყოს, რომ ის დარაჯია სამშობლოსი, სამშობლოს მხედარი. ავადოთ მაგალითად პოლონეთი. არც ერთ ჯარისკაცს თავშიაც არ გაუვლის აზრი, რომ შვებულებაში ყოფნისას შესწყდა მისი ჯარისკაცობა, ამასთანავე სამსახურს გარედ, ქალაქში არაფრით არის შებორკილი თუ შეზღუდული და სამხედრო ტანთსაცმელი იწვევს მისდამი მხოლოდ სიყვარულსა და სიმპატიას. რალა თქმა უნდა, პოლონეთში ვერ შეხვდებით ისეთ განცხადებათ, რომელნიც რუსეთის ბაღებზე იყო გაკრული: „ძაღლებისა და ჯარისკაცებისათვის შესვლა აკრძალულია“—ო. ან და საბარგო ვაგონებზე: „40 ჯარისკაცი ან 8 ცხენი“! მაშ მხედარი მუდამ რჩება მხედრად და თუ მოიპარა 1/2 გირვანქა კართოფილი კერძო სამზარეულოდან, დაე წავიდეს სამხედრო სასამართლოში!



## ჯარისკაცთა ინდივიდუალური აღზრდა

თუ სამხედრო საქმე ცალი მხრივ ხელოვნებაა, მეორე მხრივ და უთავრესად იგი მეცნიერებაა. ამიტომ ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის მაღალ საფეხურზე დაყენება საჭიროებს მხედართა მიერ მხედრული მეცნიერების ღრმა შესწავლას. არაებობს საერთო მხედრული მეცნიერება, რომელიც ყოველმა სწავლულმა ოფიცერმა იცის. მაგრამ ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის მოსაწყობად ეს ცოდნა საკმარისი არაა. სამხედრო საერთო მეცნიერება იხილავს სამხედრო საქმის ზოგად ბუნებას, რომლითგან საერთო მეცნიერული კანონები გამოიყვას. ეს კანონები წარმოადგენენ ქვეყნებისათვის ყველა ქვეყნებისათვის, განურჩევლად მათი ურთიერთისადმი განსხვავებისა. მაგალითად: ბალისტიკის კანონები ყოველი ქვეყნის ჯარისათვის ერთი და იგივეა; აგრეთვე ყველასათვის უდავო ქვეყნებისათვის იარაღის სხვა და სხვა დარგთა კოორდინაცია ბრძოლის დროს; ცეცხლის კონსტრუქცია ხელსაყრელ წერტილზე; ალღუმის ომში მტრის ფრთის შემოვლა ან შემოფარგვა და სხვა.

ხოლო ყოველ ქვეყანას, მიხედვით მისი განსაკუთრებული ვითარებისა, გააჩნია საკუთარი სპეციფიური პირობები, რომელნიც განსაკუთრებულ მეცნიერულ გაშუქებას თხოულობენ. ეს განსაკუთრებული პირობები ზოგად სამხედრო მეცნიერების საგანს არ შეადგენენ და არც შეიძლება შეადგენდნენ. საქართველოს სამხედრო ორგანიზაცია საჭიროებს ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული პირობების წინასწარ მეცნიერულ შესწავლას. უნდა შეიქმნას ქართული მხედრული მეცნიერება. ამ მხრივ ჟურნალი „მხედარი“ დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს. ყოველი ქართველი მოვალეა მას ხელი შეუწყოს. ჩემი მხრივ დიდი სიამოვნებით ვასრულებ „მხედარი“-ს რედაქციის სურვილს დავწერო ჯარისკაცთა ინდივიდუალური აღზრდის შესახებ და მით ჩემი წვლილი შევიტანო ქართულ სამხედრო მეცნიერებაში, რომლის შექმნა ჩვენმა ახალგაზრდა სწავლულ მხედრებმა თავს იღვეს.

ინდივიდუალური აღზრდა მეტად ვრცელი საგანია. ამის შესახებ

მე მოზრდილი თხუზულემა მაქვს დაწერილი, რომელიც შეიცავს თეორეტიულ და პრაქტიკულ მხარეს. ამ თხუზულებს ერთი ნაწილი დაიბეჭდა შვეიცარიაში 1920 წელს.

ინდივიდუალური აღზრდა მთელ სისტემასთანაა დაკავშირებული. იგი თხოულობს არმიის ახალ სისტემაზე აგებას; სამხედრო სკოლების გადახალისებას; შეიარაღებული ერის სისტემას; ჯარისკაცთა სავსებით ახალი მეთოდებით აღზრდას.

რასაკვირველია, შეუძლებელია ყველა ამ რთულ და ვრცელ საკითხთა გაშუქება ჟურნალის მოკლე წერილში. ამიტომ იძულებულად ვარ, აქ, ამ საკითხის მხოლოდ პრინციპიალურ მხარეს შევეხო.

დიდი მოხარული ვიქნები, თუ ჩემ სტატიას კრიტიკულად განიხილავენ, რათგან ყოველი თეორიის დადებითი და საბოლოო დასკვნა მხოლოდ მეცნიერული კრიტიკის ნაყოფია ხოლმე. ხოლ იოტის ოდენა სარგებლობაც კი რომ მოუტანო ჩვენი სამშობლოს სამხედრო საქმეა, იმიტაც დიდი ბედნიერი ვიქნები. მით უმეტეს, რომ ეს მოხდება მათი ჟურნალის საშუალებით, ვინც საქართველოს ჯერ საკუთარი სისხლით დააჩნიეს სახელოვანი კვალი და ეხლა თავისი ცოდნით და ღვაწლით მას უკაფავენ მხედრული მეცნიერების გზას და ხვალ, თავისუფალი საქართველოს ეროვნულ ჯარს მოაწყობენ.

„განსაზღვრული არმიის ორგანიზაცია უნდა შეეგუებოდეს განსაზღვრული ხალხის პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციას“-ო, სწერს ღენ. ნეგრიე. ეს სწორე აზრია. მაგრამ ჯარის ორგანიზაცია და აღზრდა არა მხოლოდ ამ პირობებს, არამედ აგრეთვე უნდა ეგუებოდეს ქვეყნის გეოგრაფიულ მდგომარეობას, ერის ფსიქოლოგიურ და გონებრივ თვისებებს; მის ეროვნულ ხასიათს და მის ტექნიკურ განკითარების დონეს.

1920 წელს ჩემს თხუზულემაში „ლორგანიზასიონ ე ლენსტრუკსიონ დე ლარმე“. ვსწერდი: „არსებული სამხედრო წესდებები დრომოკმულ პრინციპებზე არიან აგებული; მათი ნაკლი უმთავრესად ის არის, რომ აღზრდის საქმე კოლექტიურ პრინციპზედაა დამყარებული“ და სხვა... მას აქეთ ევროპიულ სახელმწიფოებმა ახალი და გაუმჯობესებული წესდებები შემოიღეს. მაგრამ ეს წესდებები შეგუებულია დღევანდელი გაუმჯობესებული და სულ ახალი იარაღის ბუნებასთან, ხოლო ჯარისკაცის აღზრდა კი ისედევე ძველ კოლექტიურ პრინციპზედაა დამყარებული. აღსანიშნავი კია ის ფაქტი, რომ ახალმა წესდებ-

ბებმა, მართალია, შეუგნებლად, მაგრამ ინდივიდუალური აღზრდისაკენ ერთი ნაბიჯი მაინც გადასდგეს: **მწუხარის მებრძოლ ერთეულად გარდაქმნა**. მაგრამ ცალი მხრივ ეს მეტად მკირე მიღწევაა და მეორე მხრივ მხოლოდ გაუმჯობესებული და ახალი იარაღის თვისებებით, ბრძოლის ახალი მექანიზმით გამოწვეული და არა ჯარისკაცთა ინდივიდუალური აღზრდის მოსაზრებით. ხოლო ჩემის აზრით ძველ კოლექტიურ სისტემაზე დარჩენა მეტად შემცდარი და მავნე მოვლენაა, რომელიც როგორც წარსულში, მომავალშიაც მეტად საზარლო შედეგს მოიტანს. კოლექტიური გაწვრთნის შეცდომა მეტადრე შემდეგში მდგომარეობს: იგი მხედველობაში იღებს მხოლოდ არმიას, როგორც ერთ მთლიან სხეულს და სწრთვნის მას როგორც ასეთს და აგრეთვე საბრძოლელ საშუალებად, და ტაქტიკას მათ უტუებს. ხოლო მთავარ ფაქტორს — ჯარისკაცს — კი, როგორც ინდივიდუალურ არსებას, ანგარიშს არ უწევს. იგი ზრუნავს კაცის გაწრთვნაზე მხოლოდ როგორც არმიის ორგანიულ ნაწილზე. ეს მეთოდი ივიწყებს, რომ სინამდვილეში არმია წარმოადგენს ინდივიდებისაგან შემდგარ სხეულს, რომლის მთლიანობა უფრო მეტად დამოკიდებულია ამ ინდივიდთა შეგნებისაგან, ვიდრე გარეგანი, ფიზიკური დისციპლინითგან; რომლის ღირსება დამოკიდებულია ამ ინდივიდთა ღირებულებითგან. მაშასადამე, აღზრდის ზრუნვის მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს ინდივიდუალურ ნიჭის, უნარის და შეგნების განვითარება და გამოყენება. რამდენად უფრო ძლიერია კოლექტიური სისტემა და დაბალი ჯარისკაცის ინდივიდუალური ღირებულება იმდენად არმიაც მდაბალი ღირსებისაა, ადვილად მარცხდება იგი, ადვილადვე ინგრევა მისი ორგანიზაცია და ირღვევა დისციპლინა, რის მაგალითიც რუსის არმიაა.

კოლექტიური გაწრთვნის მეთოდი სავსებით შეეგუებოდა ანტიური ქვეყნის, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას, აგრეთვე მაშინდელ სამხედრო ვითარებას. უმრავლესი და ანტიური ხანის ომის მექანიზმი მეტად მარტივი იყო: ბრძოლის ბედს სწყვეტავდა ერთი მასის მეორესთან შეხლა. თვით ჯარისკაცის პიროვნება არავითარ როლს არ თამაშობდა გარდა იმ მოკლე მომენტისა, როდესაც იგი ხელჩართულ ბრძოლაში შედიოდა. შთაბეჭდილება, რომელსაც ჯარისკაცი ხელჩართულ შეტაკებამდე განიცდიდა ძლიერი არ იყო. მაშინდელი იარაღი მოკლებული იყო მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ეფექტს. ამნაირად ადამიანი წარმოადგენდა საერთო ჯაჭვის მხოლოდ ერთ მრავალ

ვალ რგოლთაგანს, რაზმის ერთ-ერთ მცირე მნიშვნელოვან ნაწილს და სხვა არაფერს.

ჟამთა მსვლელობამ ომის პირობები შესცვალა. ომის მექანიზმში, რომელს უმთავრესად ტექნიკა გამოხატავდა, შეიჭრა ახალი მოვლენა: **ფსიქოლოგიური ფაქტორი**. თანამედროვე ბრძოლა სულ სხვა სურათს წარმოადგენს: მას ახასიათებს უძლიერესი ფსიქოლოგიური ეფექტი. ხოლო ამ ახალ ფაქტორს თანამედროვე სამხედრო წესდება ანგარიშს არ უწევს. დღევანდელ წესდებათა ნაკლის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. აქ, უადგილობის გამო, დავკმაყოფილდეთ ერთით. არსებული წესდებები ჯარისკაცის აღზრდის საკითხში ემყარება შემდეგ დებულებას: სამხედრო ერთეული (მაგ. ასეული) შესდგება სამი ელემენტიდან. პირველი ელემენტია თვით ასეული; მეორე ელემენტი — დისციპლინა; მესამე — ასეულის უფროსი. ეს უკანასკნელი, მეორე ელემენტის საშუალებით მოქმედობს პირველზე. უფროსი ასრულებს ავტომატიურად, ვით მეცნიერულად აგებული სრულყოფილი მანქანა. მართლაც, ასი თუ ორასი კაცის ერთიან ავტომატად გარდაქმნა, მათი ერთ დიდ მანქანად აწყობა, როგორც რღანების, მშვიდობიანობის დროს, ადვილი საქმეა. აღლუმშიც ამნაირა გამანქანებული ასეულის ამოქმედება ძნელი საქმე არაა, ვინაიდან აქ მტერიც და საშიშროებაც წმინდა ფიქციაა. მაგრამ ბრძოლის დროს სურათი რადიკალურად იცვლება. შედის თუ არა ცეცხლის ზონაში ასეული, არტილერიის ქარიშხალი ყოველ მებრძოლზე ახდენს ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ ეფექტს, შთაბეჭდილებას. მყისვე ამკარავდება, რომ ასეული ლითონის უსულო ნაწილებითგან აკინძული მანქანა კი არა ყოფილა, არამედ სულიერ და ინდივიდუალური ფსიქოლოგიისად მტკიცებულ პიროვნებათაგან შემდგარი სხეული. ბრძოლაში შესვლისათანავე პირველი ელემენტი ერთი სხეულითგან იქცევა იმდენ პიროვნებად, რამდენიც კაცია ასეულში. ცეცხლის ფსიქოლოგიურ ეფექტს ყოველი ჯარისკაცი უპასუხებს ინდივიდუალური შთაბეჭდილებით, რომელიც მაზე არტილერიის ქარიშხალმა მოახდინა. მეორე ელემენტი, ე. ი. დისციპლინა, შეგუებული კოლექტიურ მეთოდთან, ხშირად ირღვევა და ყოველივე შემთხვევაში ყოველთვის ირყევა. რაც მესამე ელემენტს — უფროსს — უძღურ და თითქმის ზედ-მეტადა ჰყოფს. ჯარისკაცი, გაწრთვნილი კოლექტიური მეთოდით შედიან თუ არა ბრძოლის ცეცხლში, თავსა ჰკარგავენ. ამნაირად, ასეულის უფროსს ხელითგან ეც-

უება ასეული და იგი მისი ბატონი და გამგე აღარაა. ეს მოვლენა ელექტრონის სისწრაფით გაურბენს ხოლმე მთელ არმიას და აღწევს მთავარ სარდალმდე. ამიტომაც მომეტებულ შემთხვევაში ხდება ის, რომ მთავარ სარდალს არმია ხელიდან უსხლტება. იგი მას ველარ განაგებს. არმია მოქმედობს თითქმის ბრმად „მოვლენის“ (ევენმან) სტიქიონში. ეცლება რა ასეული ხელითგან ასეულის უფროსს, ეცლება ხელითგან არმია მთავარ სარდალს. ეს მოვლენა იმდენად ხშირია, რომ სამხედრო მეცნიერებაში არსებობს მთელი მიმართულება — ევოლუციონურია სკოლა — რომელს ეს არა ნორმალური მოვლენა ბრძოლის კანონად დაიხანია. მისი მიხედვით სარდალი დაიმუშავებს გეგმას, შეიყვანს ჯარს ბრძოლაში და მერე ალფა იაკტა ესტ, არც ბრძოლის ბედი, არც თავი-ისი ჯარის გამგებლობა მის ხელთ აღარ არის. ეს სკოლა სავსებით უარყოფს დოქტრინალურ მეცნიერულ სკოლას, რომელიც ნაპოლეონის მეთოდზე აშენდა და რომლის აზრით ბრძოლის გეგმის შემდგენიცი და აღმასრულებელიც თვით მთავარ სარდალია. ევოლუციონისტები ვერა ხედავენ იმ ფაქტს, რომ სარდალს იმიტომ ეცლება ხელითგან სარდალობა, რომ ასეულის უფროსს ხელითგან უკხლტება ასეული. ხოლო ეს ნორმალური კი არა, არამედ სენობრივი მოვლენაა, რომლის ძირითადი მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ჯარისკაცის აღზრდაში იმყოფება: — აღზრდის კოლექტიური მეთოდის და თანამედროვე ომის მექანიზმის შორის დიდი დისპარმონია, დიდი დისონანსია.

მეორე მხვივ, თანამედროვე ომის მექანიზმი უკიდურესად გართულდა. იგი საჭიროებს ადგილის (ბრძოლის ველის) დაწვრილებითი შეაწვავლას; სიმაგრეთა და სანგრების რთულ სისტემას; იარაღის ყოველი დარგის სრულ კოორდინაციას; ჯარის ყოველ ნაწილთა მტკიცედ შეწყობილ თანამშრომლობას და სხვა. ხოლო ყოველივე ეს აუცილებელყოფს ჯარისკაცის მიერ ვრცელ ცოდნას და მოვალეობის შეგნებას; შეგნებას იმ დანიშნულებისა, რომელიც მიჩენილი აქვს მებრძოლს ომის ამ რთულ ლაბირინტში.

აგრეთვე უკიდურესად გართულდა და გამრავლდა იარაღი. დღევანდელმა ჯარისკაცმა უნდა იცოდეს ჰაერობლანების, ტანკის, ჯავშნოსანი მატარებელის და უმავთულო ტელეგრაფის, გაზის და სხვა მოვლა და მოხმარება. ყოველ შემთხვევაში ყოველმა ჯარისკაცმა უნდა კარგად იცოდეს ყოველი ამ საბრძოლელ საწუალებათა მნიშვნელობა,

მათი ძალა და დანიშნულება ბრძოლაში. ხოლო ყოველივე ეს თხოულობს ჯარისკაცის ნიჭს, უნარს და ენერჯიას.

ამნაირად, თანამედროვე ომის წიაღსა შინა, ჯარისკაცის ცოდნის, სულიერი ძალის და შეგნების სარბიელი მეტად გაფართოვდა და გაძნელდა. დღეს ჯარისკაცის აყვანა მისი დანიშნულების სიმალღეზე კოლექტიური გაწრთვის მეთოდით შეუძლებელი გახდა. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ ინდივიდუალური აღზრდის საშუალებითაა შესაძლებელი. რამდენათაც გართულებულია ომის მექანიზმი და გაუმჯობესებული იარაღი, რამდენათაც ძლიერია ბრძოლის ფსიქოლოგიური ეფექტი, იმდენად მალა უნდა იდგეს ჯარისკაცი თავისი ფიზიკური, გონებრივი და ფსიქოლოგიური ღირებულებით.

ანტიურ ლაშქარში, წაშლილი და კოლექტივში გათქვეფილი ჯარისკაცის პიროვნება დღევანდელ არმიაში დიდ მნიშვნელობას იხვეჭავს და მისი ინდივიდუალური ღირებულება ბრძოლის უმთავრესს ფაქტორად გადაიქცა. ამიტომ კოლექტიური გაწრთვის დაძველებულა მეთოდი ინდივიდუალური აღზრდის პრინციპით უნდა შეიცვალოს.

პიროვნება პიროვნებისაგან სხვაედება: მათ შორის ყოველთვის არსებობს ნაკლთა და ღირსებათა სხვა და სხვა პროპორცია. ამიტომ ჯარისკაცთა მიდგომა კოლექტიური მეთოდით ყოველად შემცდარია. ხოლო ინდივიდუალური მეთოდი ყოველ ჯარისკაცს განცალკევებით უდგება და ცდილობს მისი ნაკლის გამოსწორებას და ნიჭის გაფაქიზებას. ესეთი მეთოდი, ესე ესთქვათ, ჯარისკაცთა უნარის რაციონალიზაციაა.

ხოლო როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად ინდივიდუალური აღზრდის მეთოდი? ეს მეტად ვრცელ საკითხია და აქ მას მხოლოდ გაკვრით შევეხები. უპირველესად უნდა აღვნიშნო, რომ ეს მეთოდი დაკავშირებულია შეიარაღებული ერის ორგანიზაციასთან. ჩემს ფრანგულ თხზულებაში მე უკვე 1920 წ. აღვნიშნე შეიარაღებული ერის ორგანიზაციის საჭიროება. ეს იმიტომ, რომ მსოფლიო ომმა ნათელჰყო შემდეგი: მუდმივი ანუ რჩეული ჯარი უძღურია ომის ბედი თავითგანვე და თვითვე გადასწყვიტოს, როგორც ეს ბევრს ეგონა. იგი დიდ როლს ასრულებს მობილიზაციის დაფარვაში, ხოლო ომის ნამდვილა გადაწყვეტი ძალა კი რეზერვებია. მაგრამ დღევანდელი რეზერვები მთელ ერს წარმოადგენს. მაშასადამე, მთელი ერი ომისათვის უნდა იყოს მომზადებული და გაწრთენილი. აქეთგან გამომდინარეობს შეიარაღებული

რადებული ერის პრინციპი. ამ სისტემის შემოღება მეტადრე საქართველოშია აუცილებელი.

ამაირად, როდესაც ახალგაზრდა სამხედრო სამსახურს იწყებს, იგი მწკრივის ვარჯიშში და თოფის სროლაში უკვე გავარჯიშებულია. მან ეს ცოდნა უკვე სკოლაში და საგიმნასტიო საზოგადოებებში მიიღო. ოფიცერმა კი მას მეტადრე თვით ბრძოლის ტექნიკა და ხელოვნება უნდა შეასწავლოს.

ჩემის მიხედვით ასეულები (ქართულ წესდებაში — გუნდი) მცირერიცხოვანი უნდა იყონ: არა უმეტეს ასი კაცისა. მწყობრი მხოლოდ ოცი კაცისაგან უნდა შესდგებოდეს. ყოველ მწყობრის თავში ერთი ლეიტენანტი უნდა იდგეს. ამაირად, ოფიცერს ინდივიდუალური აღზრდის საქმე გაუადვილდება. მან უნდა განცალკევებით, გამოყოფით შეისწავლოს ყოველი ჯარისკაცის პიროვნება. ოფიცერი მხოლოდ ამაირად გამოიკვლევს ჯარისკაცის რომელი მხარე უნდა განავითაროს და რა ნაკლი შეასწოროს.

ბრძოლის მთავარი ელემენტები არიან: კაცი და ადგილი<sup>1)</sup>. მაშასადამე, ჯარისკაცს უნდა შეასწავლონ ადგილი, მან უნდა კარგად იცოდეს ადგილის სხვადასხვაობაში გარკვევა და მისი გამოყენება ბრძოლაში. ამიტომ ჯარისკაცის ტაქტიკური მომზადება უნდა მეტადრე ადგილზე სწარმოებდეს. მთაში, ვაკეში, ტყეში, ზღვის პირას, ჭაობში თუ ხრიოკ ადგილებში ჯარისკაცმა ყოველგან თავის მოხმარება უნდა იცოდეს. არმიის მესვეურებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ დიდსა და პატარა ალღუმთა შორის განსხვავების მნიშვნელობა. არმიების და დივიზიების დიდი ალღუმები უფრო შტაბების და სარდლებისთვისაა სასარგებლო და შემმეცნებელი. ხოლო ჯარისკაცის აღსაზრდელად და გასავარჯიშებლად ბათალიონის და რაზმის პატარა ალღუმებს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ. ამ ალღუმებში ოფიცერებს უფრო ადვილად შეუძლიათ აუხსნან, განუმარტონ ჯარისკაცს ალღუმის სტრატეგიული კონსეპსია და ტაქტიკური შესრულება. გარდა ამისა, პატარა ალღუმში ყოველ ჯარისკაცს შეუძლია რაზმის მთლიან მოქმედებას თვითონვე თვალყური ადევნოს.

1) სიტყვა ადგილს ვხმარობ ჯარის სამოქმედო ველის, სივრცის, ასპარეზის მნიშვნელობით.

ინდივიდუალური მეთოდის მიხედვით წომეტიებული დრო სამსახურისა ჯარისკაცმა აღლუმებში და ადგილზე ლაშქრობაში უნდა გაატაროს განურჩევლად სეზონისა. ამ აღლუმებში და მარშებში ყოველ ჯარისკაცს უფროსისაგან საგანგებო დანიშნულება უნდა ჰქონდეს მიჩემებული. ყოველ მათგანს ოფიცერმა სათანადო კრიტიკა უნდა გაუკეთოს.

ამნაირად, კოლექტიური სისტემის დაძველებული პრინციპი ჯარისკაცთა დაგეშვისა და გაწრთვნისა ინდივიდუალური მეთოდის აღზრდის და განსწავლის პრინციპით უნდა შეიცვალოს. რასაკვირველია, ეს მეთოდი ძნელებს ოფიცერთა როლს. მაგრამ სამხედრო სკოლის მოვალეობა იქნება ივინი ამ მაღალ დანიშნულებისათვის საკმარისად მოამზადოს.

ისედაც სიტყვა გამიგრძელდა და აქ ველარ განვიხილავ, თუ რამდენად აუცილებელია საქართველოში ინდივიდუალური მეთოდის შემოღება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველ ხალხთა შორის ინდივიდუალიზმით ყველაზე მეტად ჩვენი ერი ხასიათდება. საშასადამე, ქართველი მხედრობისადმი მიდგომა მიზანშეწონილი მხოლოდ ინდივიდუალური აღზრდის სისტემითაა. ესეთი უკიდურესი ინდივიდუალიზმი შესაძლებელია დიდ ნაკლად და მავნე მოვლენადაც კი შექმნეს, თუ მას ჩვენი სარდლობა გონიერი მეთოდით არ გამოიყენებს, და პირიქით, ქართული არმიის დიდი ღირებულების წყაროდ არ აქცევს. ამ სიძნელის დაძლევა მხოლოდ ინდივიდუალური აღზრდის მეთოდს ძალუძს. ერთი და იგივე ფაქტორი შესაძლებელია დიდ მავნე მოვლენადაც და უმაღლეს და უძვირფასეს ღირებულებადაც შეიქმნეს. საქმე სულ იმაშია, თუ როგორი მომხმარებელი და ოსტატი გამოუჩნდება მას. „ერთი ხითგან ჯვარიც გამოვა და ნიჩაბიცა“-ო, ნათქვამია. ჩვენ, მხედართა მოვალეობაა ქართველი ხალხის ინდივიდუალიზმი, სამხედრო დარგში, ერის სასარგებლოდ გამოვიყენოთ. ხოლო ამას ეხლავე დაფიქრება და შესწავლა ესაქმროება.

ლ.წ. ლეო კერესელიძე



## არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება თანამედროვე ბრძოლაში.

### IX

#### კავშირი.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სამხედრო და საზოგადოთ სხვა ყოველგვარ მოქმედებებზე დაკვირვებამ ურყევად ნათელ ჰყო, რომ კავშირი არის ფუძე რომელიმე კრებულის მიერ წარმოებული მოქმედების შესრულებაში.

უკავშიროდ ძნელია ფრონტზე სამხედრო მოქმედებათა წარმოდგენა და გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ყოველი სამხედრო ოპერაციის თვითონ მსვლელობა უმეტესად დამოკიდებულია კავშირზე. ამიტომ ჯარის ორგანიზაციაში ამ დარგს მუდამ უჭირავს პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობის ადგილი, მეტადრე დღევანდელ პირობებში, როდესაც შეუძლებელი ხდება რაიმე ოპერაციის დაწყება, თუ კი სათანადო გამოყენებული არ იქნება ყოველი არსებული საუკეთესო საშუალება და ორგანოები კავშირისა.

კავშირი არის ჯარების განმგებლობის საშუალება და ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მას არტილერიაში, სადაც კავშირის დანიშნულება მჭიდროდ გადაბმულია თვით ამ დარგის ჯარის მოქმედებასთან, ვინაიდან არტილერიის განმგებლობა-ხელმძღვანელობა არ სწარმოებს უშუალოდ, არამედ მხოლოდ მანძილზე. თუ კი უზრუნველყოფილი არ იქნება არტილერიის კავშირის უმთავრესი საშუალება — ტელეფონი — შეუძლებელი იქნება ცეცხლის წარმოება. თვით არტილერიის მოქმედების ხასიათი და მისი გამოყენების ხერხი მოითხოვს კავშირის სწრაფ და საიმედო საშუალებებს, რათა ბრძანებანი და განკარგულებანი ცეცხლის წარმოების შესახებ დაუყოვნებლივ იქნენ გადაცემული.

მოქმედების შეძლებისათვის არტილერიას სჭირდება კავშირი, როგორც შინაგანი, ცეცხლის ტექნიკურად სახელმძღვანელოდ, აგრეთვე

გარეგანი კავშირი, იმ ჯარების დარგებთან, რომლებთანაც თანამშრომლობს და რომელთა დამხმარედაც მოქმედობს, რათა ეს თანამშრომლობა იქნეს ნაყოფიერი და მისი მოქმედება მიემართებოდეს ამ ჯარების სურვილის და მოთხოვნილებათა მიმართულებით

მაშ დაწვრილებით განვიხილოთ ამ კავშირის თვითოული დარგა.

### 1. შინაგანი კავშირი.

არტილერიის შინაგანი კავშირის საკითხი მჭიდროდ გადაბმულია თვით არტილერიის მოქმედებასთან. უტელეფონოდ და მის უზრუნველყოფილად კავშირის სხვა საშუალებათა დახმარებით შეუძლებელი ხდება ცეცხლის წარმოება.

საშუალებანი, რომელნიც არტილერიის ამ შინაგან კავშირს უზრუნველყოფენ, არიან შემდეგი:

ტელეფონი (ელსმენი) — კავშირის მთავარი საშუალებაა ცეცხლის წარმოებისათვის. უტელეფონოდ თითქმის შეუძლებელი ხდება ცეცხლის წარმოება, ვინაიდან სხვა საშუალების გამოყენება ფრიად აძნელებს განკარგულებათა გადაცემას ხანგრძლივობის გამო და შეცდომების წარმოშობის შიშით. თუმცა ტელეფონი ფრიად ფაქიზი საშუალებაა, რადგან ხაზი ადვილად ზიანდება, მაგრამ მაინც იგი რჩება საუკეთესო საშუალებად ცეცხლის წარმოებისათვის და ყოველი ღონისძიება უნდა იყოს მიღებული მის უზრუნველსაყოფად.

რადიოტელეგრაფი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ბრძანებათა და დავალებათა მისაღებად ქვეითი ჯარისაგან და მფრინავთა კავშირისათვის. ამ საშუალების გამოყენებისას აუცილებელია შიფრის ხმარება, რაიც ფრიად აგვიანებს კორესპონდენციას.

ობტიკური ნიშნობა — მიდამოს შესაფერ პირობებში იძლევა დიდ დახმარებას ტელეფონის ხაზის გაყვანამდე ან კიდევ მისი დაზიანებისა. ნიშნობა სწარმოებს სანიშნო ფარებით ან კიდევ რეფლექტორების საშუალებით — მორზეს ნიშნების გამოყენებით, ან პირობითი ნიშნების, ან კიდევ სიმაფორების სახით.

ცხენოსანი, ქვეითი ან ველოსიპედიანი შიკრიკები, რომელნიც არიან ფრიად საიმედო, ხოლო ნელი საშუალებანი.

ცეცხლის წარმოებისათვის, როგორც უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, გამოყენებულია მხოლოდ ტელეფონი და ობტიკური ნიშნობა.

რაც შეეხება ესლა თვით კავშირის ერთეულებს და საშუალებებს,

რომელიც არტილერიას უნდა გააჩნდეს, რასაკვირველია, საუკეთესო იქნება, რაც შეიძლება მეტი, ყოველი მოთხოვნილებისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ეს რაოდენობა ზედმეტად არ უნდა ამძიმებდეს მას და ამით არ აფერხებდეს მის სინოძრავეს.

დივიზიის არტილერიის უფროსს, რომელიც თითქმის მუდამ იყოფება დივიზიის უფროსთან, შესაძლებელია სრულებითაც არ გააჩნდეს საკუთარი საშუალებანი და ერთეულები კავშირისა. საჭიროების დროს კი მას ასეთი ერთეული მუდამ მიეცლინება, მოთხოვნილება-სამებრ, დივიზიის კავშირის ნაწილებისაგან.

სხვა დანარჩენ ქვემდებარე არტილერიის უფროსებს და ერთეულებს ყოველ შემთხვევაში მაინც უნდა გააჩნდეს აუცილებელი მინიმუმი, როგორც მაგალითად:


რაზმის უფროსს: კავშირის მცირე გუნდი — შემადგენლობით 2 ქვეითი და 1 ცხენოსან ტელეფონის პატროლისა, 1 რადიოსი და 3 სანიშნოსი.

დივიზიონის უფროსს კი უნდა გააჩნდეს: 4 ქვეითი და 2 ცხენოსანი ტელეფონის პატროლი, 1 რადიოსი და 5 სანიშნო.

ბატარეის — 2 ქვეითი და 2 ცხენოსანი ტელეფონის პატროლი და 3 სანიშნო.

დივიზიონის კავშირის მცირე გუნდის დანიშნულებას არ წარმოადგენს მხოლოდ მოქმედება დივიზიონის უფროსის სასარგებლოდ, არამედ საჭიროებისას ბატარეებისთვისაც და ამ მხრივ დივიზიონის უფროსს მუდამ უნდა გააჩნდეს რამოდენიმე პატროლის თადარიგი. დივიზიონი მოქმედებისას, საკუთარი საჭიროებისათვის, უმეტეს შემთხვევაში 3—4 ტელეფონის პატროლის ხარჯს გასწევს, ბატარეია კი თითქმის მუდამ 3 პატროლისას. პატროლებისათვის შრომის განაწილების დროს, ყოველი უფროსის ზრუნვას უნდა შეადგენდეს თადარიგის შენარჩუნება, რადგან ხშირად შეიქმნება საჭიროება ან ახალი ხაზის გაშენებისა ან კიდევ შეცვლისა უკვე დაქანცულ პატროლებისა. სასარგებლოა თადარიგში ვიყოლიოთ ცხენოსანი პატროლები, როგორც უფრო ჩქარი საშუალება კავშირის დამყარებაში.

კავშირის მიმართულება ე. ი. ზრუნვა კავშირის მოწყობაზე უფროსთა და უმცროსთა შორის, შესაძლებელია ევალეზოდეს ან უფროსს ან უმცროსს ან კიდევ უფროს-უმცროსობის მიხედვით; ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელს ამ ორი სახიდან მიიღებს კანონად ჯა-



ლოგენდა:

△ - დივიზიონის ყფრ. სათვალაურით ქუნჯტი.

▲ - ბატარეის " " "

⊙ - დივიზიონის ცენტრალუბი.

⊖ - ბატარეიუბი.

--- - ორფენა ხაზი.

— - ურთფენა "

რის მმართველობა. ორივე სახეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. უფრო სასარგებლოდ, განსაკუთრებით არტილერიისათვის, მიჩნეული უნდა იყოს მიმართულება უმცროსიდან უფროსისაკენ, ვინაიდან ამ შემთხვევაში თვითეულ უმცროსს თავის უშუალო უფროსთან კავშირის დასაჭერად გაჰყავს მხოლოდ ერთი ხაზი, როდესაც წინაუკმო შემთხვევაში თავის ქვემდებარე ნაწილების უფროსებთან კავშირისათვის დასჭირდება სულ მცირე სამი ხაზის გაყვანა, რაიც იქნება გაცილებით რთული მოქმედება.

ტელეფონის ხაზების გაშენების დროს ყოველი უფროსის ზრუნვას უნდა შეადგენდეს, დივიზიონის უფროსიდან დაწყებული — ზემოდ, თავის ხელქვეით უფროსებთან ტელეფონის საშუალებით კავშირი დაიჭიროს რამოდენიმე გზით, რაიც კავშირის განუწყვეტლობას უზრუნველყოფს.

დივიზიონის ტელეფონის ხაზების საუკეთესო სახედ შეიძლება ჩაითვალოს ქვემოთ მოყვანილი სქემა: —

(იხილეთ გვერდი 37)

კავშირის ასეთი სახის შემთხვევაში დივიზიონის უფროსს შეიძლება აქვს თავის ბატარეებთან კავშირი დაიჭიროს სამი გზით და ეს კავშირის განუწყვეტლობას უზრუნველყოფს. თუმცა ამ სქემის არა ყოველი მიმართულება არის სავსებით ხელსაყრელი, მაგრამ ასეთები მუდამ იქნებიან თადარიგში, რომელნიც გამოყენებული იქნებიან მხოლოდ უკეთესის და მთავარის დაზიანებისას.

ამდგავარი წესით მუდამ კავშირის მოწყობა დივიზიონში ფრიად ძნელია, ვინაიდან ეს მოითხოვს დიდ დროს და თვით მდგომარეობასაც აქვს ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა.

საზოგადოთ, მოქმედება მუდამ იწყება კავშირის ხაზების ყველაზე მარტივი სახით და შემდეგ კი დროსა და გარემოების მიხედვით თანდათანობით უნდა გაუმჯობესებულ იქმნას მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

ზემოდმოყვანილი სქემა კავშირის ხაზებისა შეიძლება სავსებით გამოყენებულ იქმნას მუდამ მხოლოდ მოგერიების წარმოების დროს, რადგან ამ შემთხვევაში განკარგულებაში გვექნება აუცილებელი დრო და საშუალება კავშირის საუკეთესოდ მოსაწყობად და უზრუნველსაყოფად.

ეხლა შევეხთ ასეთი კავშირის მოწყობის დროს ტელეფონის პატროლთა შორის თვით შრომის განაწილებას.

დივიზიონის კავშირის მცირე გუნდს ვაპყავს ტელეფონის შემდეგი ხაზები:

ორფენი ხაზი დივიზიონის უფროსის სათვალყურო პუნქტსა და მის სამყოფ ადგილს შორის; ამას შეასრულებს ერთი ქვეითი და ერთი ცხენოსანი პატროლი (დივიზიონის კავშირის მცირე გუნდს გააჩნია ორი ტელეფონის ცენტრალი, რომელიც შემოხსენებულ პუნქტებზე იქნება გამოყენებული). შემდეგი ორ-ფენი ხაზები: არტილერიის მაღალ უფროსთან, სავაზნე სვეტთან და ქვეითი ჯართან (საკავშირო ნაწილთან) ვაპყავს თითო ქვეითი პატროლს. ხაზი მეზობელ დივიზიონთან კი ერთ ცხენოსან პატროლს.

ყველა ეს ჩამოთვლილი პატროლები ხაზის გაშენების შემდეგ სწევენ სამსახურს მათ მიერ გაშენებულ ხაზებზე და ცენტრალებზე, გარდა ცხენოსან პატროლისა, რომლის გამოყვანა შეიძლება თადარიგში, ვინაიდან არტილერიის მაღალ უფროსთან და მეზობელ დივიზიონთან მიმართულ ხაზებზე სამსახურის გაწევა შეუძლია ერთ ქვეითი პატროლს. შესაძლებელია კიდევ ერთი რომელიმე ქვეითი პატროლის გამოყვანა თადარიგში ცხენოსანის მაგივრად და ასეთ შემთხვევაში დივიზიონს მუდამ ეყოლება თადარიგში ერთი ქვეითი და ერთი ცხენოსანი პატროლი.

ბატარეის ვაპყავს ორ-ფენი ხაზები ბატარეისა და სათვალყურო პუნქტს შორის, სათვალყურო პუნქტსა და წინწაწეულ სათვალყურო პუნქტს შორის და სათვალყურო და მეზობელ ბატარეის სათვალყურო პუნქტს შორის, ერთფენი კი მეზობელ ბატარეის პოზიციასთან და დივიზიონის უფროსის სადგომ ადგილის ცენტრალთან.

ხაზი ბატარეისა და სათვალყურო პუნქტს შორის ვაპყავთ ერთ ქვეით და ერთ ცხენოსან პატროლს, ხაზი სათვალყურო და წინწაწეულ პუნქტების შორის 2 ქვეითი პატროლს (ერთი უხმარი, მეორე კი, რომელსაც ვაპყავდა ხაზი ბატარეია—სათვალყურო პუნქტი). ხაზები მეზობელ ბატარეისთან და დივიზიონის უფროსის სადგომ ადგილის ცენტრალთან ვაპყავს ერთ ცხენოსან პატროლს.

ყველა ამ ხაზების გაშენების შემდეგ სამსახურისათვის სჭირდება ორი ქვეითი და ერთი ცხენოსანი პატროლი.

რაც შეეხება ორფენ ხაზებს სათვალყურო პუნქტებს შორის ---


ეს შეიძლება გაყვანილ იქმნეს ან სათადარიგო პატროლების მიერ, სხვა ხაზების გაშენების შემდეგ, ან კიდევ ბატარეის იმ პატროლების მიერ, რომელთაც გაჰყავდათ ხაზი ბატარეია—სათვალყურო პუნქტი, ამ ხაზის გაშენების შემდეგ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეგვიანდება სათვალყურო და წინწაწეულ პუნქტების შორის ხაზის გაყვანა. შესაძლებელია აგრეთვე უფრო მოგვიანებით გაშენება ხაზისა დივიზიონის უფროსის სადგომ ადგილის ცენტრალთან და მეზობელ ბატარეისთან და ამ ხაზებისათვის პატროლის გამოყენება სათვალყურო პუნქტების შორის ხაზის გასაშენებლად. ამ უკანასკნელ ხაზზე სამსახურს უნდა სწევდეს კი მუდამ დივიზიონი. განზრახული ხაზების გაყვანის ჩვეულებრივი წესი და რიგი დამყარებული უნდა იყოს დივიზიონის უფროსის მიერ ბრძანებაში.

სულ სხვანაირად სდგას შინაგანი კავშირის საკითხი შეტევისას. აქ თავს იჩენს ორი მთავარი მიზეზი, რომელიც კავშირის სრულყოფილებას აფერხებს და აძნელებს. ეს არის: კავშირის სიძნელე მოძრაობას დროს და ტელეფონის ხაზების გადატანის აუცილებლობა არტილერიის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას ე. ი. წინ წაწევის შემთხვევაში. ამის გამო მთელი ზრუნვა მიმართული უნდა იქმნას კავშირის ერთ მთავარ ღერძის გაშენებისაკენ, რომლის მოქმედებაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველი ღონისძიებით.

კავშირის ბადის ეს წინწაწევა გვაიძულებს თადარიგში შექცობის და გვარად შენარჩუნებული იქმნას პატროლების და საშუალებათა რაც შეიძლება მეტი რიცხვი. ამიტომაც დივიზიონის უფროსი უნდა სდგამდეს მხოლოდ ერთ ცენტრალს თავის სათვალყურო პუნქტის მახლობლად, მეორე კი უნდა იყოს შენარჩუნებული თადარიგში წინსვლით წარმოშობილ მომავალ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საუკეთესოდ მოწყობილი ტელეფონის კავშირის ბაღე შეტევის დროს შეიძლება გამოიყურებოდეს ქვემოთ მოყვანილი სქემის სახით:

(იხილეთ გვერდი 41)



ასეთ შემთხვევაში პატროლების განაწილება შეიძლება შემდეგნაირი იყოს: — ორ ქვეთი პატროლს გაჰყავს ორფენი ხაზი დივიზიონის უფროსის სათვალყურო პუნქტისა და ცენტრალს შორის, ერთ ქვეთი პატროლს ქვეთი ჯართან. ცხენოსან პატროლებს: ერთს არტილერიის მაღალ უფროსთან, მეორეს კი, მენობელ დივიზიონთან. თადარიგში რჩება ერთი უხმარი ქვეთი პატროლი. ხაზების გაშენების შემდეგ სამსახურს ცენტრალზე და სათვალყურო პუნქტზე სწევს ორი ქვეთი პატროლი, თადარიგში რჩება ერთი ქვეთი და ორი ცხენოსანი პატროლი ე. ი. საერთო რიცხვის ნახევარი პატროლი. თუ კი მომავალი მოქმედების მდებარეობა ცხენოსან პატროლთა მოქმედების შეფერხებას გამოიწვევს, შესაძლებელია ცენტრალზე და სათვალყურო პუნქტზე სამსახურს სწევდეს ორი ცხენოსანი პატროლი და ამრიგად თადარიგში იქნება სამი ქვეთი.

სავაზნე სვეტთან ხაზის გაყვანა აუცილებლობას არ წარმოადგენს, ვინაიდან კავშირის დაჭერა შეიძლება მონიშნეთა ან კიდევ ცხენოსან შიკრიკების საშუალებით და ამგვარად ტელეფონის პატროლთა ეკონომიას გავსწევთ.

ბატარეის ორფენ ხაზს ქვემეხების პოზიციების და სათვალყურო პუნქტს შორის და შემდეგ წინწაწულ პუნქტისაკენ, აშენებს ორი



ქვეითი პატროლი. ერთ ცხენოსან პატროლს გაჰყავს ხაზი სათვალყურო პუნქტსა და დივიზიონის ცენტრალს შორის, მეორეს კი მეზობელ ბატარეასთან; ამ ხაზებზე სამსახურის გაწევას, გაშენების შემდეგ, ეყოფა ორი ქვეითი და ერთი ცხენოსანი პატროლი, ვინაიდან ბატარეის სათვალყურო პუნქტსა და დივიზიონის ცენტრალის შორის ხაზზე სამსახურს ეწევა დივიზიონის პატროლი. ამრიგად, თადარიგში რჩება ერთი ცხენოსანი პატროლი, რომელიც თუ კი საჭიროება მოითხოვს, შეიძლება შეიცვალოს ქვეითით.

წინააწვევისას დივიზიონის უფროსი უნდა აგზავნიდეს წინ თადარიგში მყოფ ცეტრალს და აგრძელებდეს თავის ძირითად ხაზს ახალ სათვალყურო პუნქტამდე და აქ კი უნდა ეწყობოდეს კავშირი უინანდელი სახით. ბატარეები მიემართებიან წინ თავიანთი ძირითადი ხაზების გასწრივ, თადარიგში მყოფ პატროლის გამოყენებით, რომელიც გასწევს სამსახურს ბატარეის ახალ პოზიციასა და ახალ სათვალყურო პუნქტს შორის, ორი ქვეითი პატროლი აგრძელებს ორივე ხაზს წინააწვეულ პუნქტიდან, დარჩენილი ცხენოსანი პატროლი ხსნის უკვე გამოუსადეგარ ხაზებს.

ბრძოლის სხვა შემთხვევაში, როგორც მტერთან დაახლოვების ან დახვეის დროს, ხშირად დივიზიონის ტელეფონის ხაზები არ იქნება საჭირო; ხოლო აუცილებელი იქნება მხოლოდ ბატარეების საცეცხლო ხაზები, დივიზიონის უფროსთან კი კავშირი დაჭერილი იქნება მხოლოდ ცხენოსანი შიკრიკების საშუალებით.

ლ. მ.

## ზოგი რამ ნილაბმოსხმის შესახებ

სასროლო იარაღისა და სროლის ხერხების განვითარებისა და ვაჟმჯობესების გამო, და აგრეთვე თვალდევნის წინსვლის შედეგად, განსაკუთრებით ჰაერიდან, მფრინავთა საშუალებით, — ნილაბმოსხმა, საბრძოლო მოქმედების თანამედროვე პირობებში, არის ერთი აუცილებელი საგანი, რომელიც თვალდევნის სიზუსტეს ამცირებს და ამით კი მოპირდაპირის ცეცხლისაგან მოსალოდნელ ზიანს აკნინებს.

ამ მოკლე წერილში განზრახული გვაქვს არა დაწვრილებით აღწეროთ ნილაბმოსხმის ხერხები, არამედ აღვნიშნოთ მხოლოდ მისი საერთო დებულებანი რამოდენიმე მთავარი მაგალითის ჩვენებით და ხაზი გავუსვათ იმას, რომ ნილაბმოსხმის ხერხებისა და საშუალებათა ნაყოფიანად გამოყენებისათვის აუცილებელია ჰაერიდან თვალდევნის თვისებების და უწინარეს ყოვლისა კი ფოტოგრაფიების გაცნობა, რომელსაც უმთავრესად ებრძვის ნილაბმოსხმა.

ამ ბრძოლას მფრინავ მეთვალყურეთა წინააღმდეგ, რომელთაც გააჩნიათ თვალდევნის ზუსტი საშუალებანი და ფოტოგრაფიული აპარატები, რომელნიც ნიშნავენ ყოველივე წვრილმანს თავის სურათებზე, უნდა აწარმოებდეს ნილაბმოსხმის მეოხებით არა მხოლოდ მოწინავე ხაზებში მებრძოლი ნაწილები, არამედ ყოველგვარი ერთეული ზურგის სიღრმეშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარი განზრახვანი, ჯარების დაჯგუფება და საბრძოლო საშუალებათა მოთავსება მიდამოზე დიდი სიზუსტით იქნება გამოცნობილი მოპირდაპირის მიერ და აუცილებლად კიდევაც განადგურებული მისი არტილერიის მიმწდამელობის ფარგლებში.

დღევანდელ პირობებში ჰაეროპლანებისათვის სათვალყუროდ მიწვდომის სივრცე არის თითქმის შეუზღუდავი. მას შეუძლია ფრონტის ხაზის ადვილად გადალახვა. ჰაერიდან თვალისდევნისათვის კი სავსებით ხელი შეშლა თითქმის შეუძლებელია.

ჰაეროპლანებს, თავისი სისწრაფისა და დიდი სიმძრავის გამო, თვალდევნისათვის გააჩნიათ დადებითი მხარეები, როგორც: — უცრობისა და მოპირდაპირის თვალდევნის შეძლება იმ დროს, როდესაც მას უკვე დაფარვის საშუალება არა აქვს; მიდამოზე მოთავსებულ სხვა და სხვა საგნების და მიდამოს თვალდევნის შეძლება სხვა და სხვა მიმ-

მართულებით. ეს დიდი სისწრაფე ჰაერობლანების, ამასთან ერთად, მეთვალყურეებს უძნელებს წვრილმანების შემჩნევას მიდამოზე და ჩქარი ცვლილებანი არემარის სურათებისა უფანტავენ მათ, თუნდაც ფრიად დახელოვნებულთაც, ყურადღებას.

ყოველი წვრილმანის შემჩნევაში და აღნიშვნაში უდიდეს დახმარებას გვიწევს ფოტოგრაფიული აპარატი. მფრინავთა მიერ გადაღებული სურათები იძლევიან ფრიად დაწვრილებითი წარმოდგენას მიდამოზე, ზედ მოთავსებული ყოველი საგანის ფორმის, ხასიათის და ფერების კონტრასტის აღნიშვნით.

ამ სურათებზე მთავარი მნიშვნელობა აქვს ყოველი საგნის ჩრდილს, რომელიც საგნის თითოთულ ნაწილს ახასიათებს. ჩრდილი ამკლავებს საგნის მდებარეობას მიდამოზე, იმ შემთხვევაშიაც, თუნდ ეს საგანი, მიდამოსთან სათანადოთ შეფარდების გამო, შეუმჩნეველი ხდებოდეს მეთვალყურესათვის. ჯარის სვეტი, თუნდაც მიდამოსთან შეფარდებულად ამფარავ ფერის ტანსაცმელში, მუდამ, მზიან დღეში, აღინიშნება მფრინავთა სურათებზე. მის მიერ გამოწვეულ ჩრდილის სახით. მსროლელთა სანგარი ჰაერობლანიდან გამოსჩანს ბნელ ხაზად, მით უფრო ბნელად, რამდენად უფრო ღრმა იქნება თხრილი, ესე იგი, რამდენათაც უფრო გამომეტყველი იქნება სანგარის კედლის ჩრდილი.

ფოტოგრაფიულ სურათებზე ძალიან გარკვევით ინიშნება ფერების განსხვავება, რომელიც მეთვალყურესათვის ხშირად შეუმჩნეველი რჩება. ყოველი საგანის დამახასიათებელი ფერი აქ მუდამ განსხვავდება არეს საერთო ფერისაგან. მაგალითად: ნათელი ზოლი გზებისა, სხვა და სხვა-ფეროვანი მინდვრებისა და ყანების უჯრედები, ახალ-გათხრილი მიწა და სხვა ამგვარი გამოსჩანს სურათებზე ძალიან გარკვევით.

საგნის ფორმის თვითონ ხასიათიც ინიშნება სურათზე აგრეთვე გარკვევით, როგორც ფერების განსხვავება. ფერი ახასიათებს საგანს თითქმის აგრეთვე, როგორც ფორმა, და ამიტომ რომელიმე საგანის ნიღბ-მოსხმისა და დაფარვის დროს, იგი შეფარდებულ უნდა იქმნას გარემოცულობასთან, როგორც ფორმით, ისევე ფერით.

ამ სურათების კვლევამ და შესწავლამ დაგვანახა, რომ ყოველ სურათზე ვაცილებით სუსტად ინიშნებიან ნათელ ფონზე მოთავსებული უფრო ბნელი ფერის მქონე საგნები, ვინემ წინაუკმოდ; ამის გამოც, ნიღბმოსხმისას უნდა ვცდილობდეთ ყოველ დასაფარავ საგანს მიესცეთ გარემოცულობაზე უფრო ბნელი ფერი, და ეს, რასაკვირველია,

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ხდება ამ საგნების სავსებით შეფარდება მიდამოს ხასიათთან და გამომეტყველებასთან.

ვინაიდან არეზე ვერასოდეს ვერ ვხვდებით სიმეტრიის ბუნებრივ საგანთა საერთო დალაგებაში, ამიტომ დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული ყოველი ობიექტის მოთავსებას მიდამოზე, რათა თავიდან აცილებული იქმნას ყოველგვარი სიმეტრიულობა, როგორც ჯართა დალაგებაში ველზე, აგრეთვე საბრძოლო საგნების და საშუალებათა მოთავსებაში: ვინაიდან ამგვარი დალაგება, თუნდაც სათანადოთ ნილაბმოსხმული და დაფარული, მუდამ მიიქცევს მეთვალყურეს ყურადღებას და ამით შეიქნება გამოაშკარავების მიზეზად.

მაშასადამე, ყველა შემოსხენებულიდან ვხედავთ, რომ საკმარისი არ იქნება მეთვალყურესაგან რაიმე საგანის დაფარვის დროს მხოლოდ ფერით მისი შეფარდება გარემოცულ არესთან; აუცილებელია ამ საგანთა ჩრდილების თავიდან აცილება. გარეგნულ გამომეტყველებით მიდამოსთან და მასზე მოთავსებულ ბუნებრივ საგნებთან შეფარდებით და სიმეტრიული დალაგების თავიდან აცილებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ნილაბმოსხმის ხერხიან გამოყენებას შეუძლია ხშირად ფრიად გაუქნელოს შრომა მეთვალყურეს და შეცდომაში შეიყვანოს მხვერავი ორგანოები, და ამით კი დაიცვას ჩვენი სამხედრო საიდუმლოება და დაიფაროს ჯარის ნაწილები, საბრძოლო იარაღი, მასალა და ყოველი მოწყობილობა მოპირდაპირის ცეცხლით განადგურებისაგან.

თუ ნილაბმოსხმა კარგად გამოყენებულია, თვით გამოცნობა, ესე იგი, მფრინავთა მიერ გადაღებული სურათების სათანადო გარკვევა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. სურათების დაწვრილებითი გამოცნობა მოითხოვს ამაში სათანადოთ დახელოვნებულ პირთა გულმოდგინე შრომას, მიდამოს საკმარისად ცოდნას და ამასთან ერთად მოპირდაპირის ზნეჩვეულებათა ცოდნასაც. ამ სურათების გადათვლიერების დროს, ჩვენ ყურადღებას იქცევს მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანი. დანარჩენი კი გამოძებნილ უნდა იქმნას დიდი დაკვირვებით. ყოველივე, რაც კი არ იქნება სათანადოთ გამოძველებული და გამოცნობილი, უნდა იქნეს ნაგრძნობი და აღდგენილი სინამდვილესთან შეფარდებით. ეს შესაძლებელი ხდება ერთი და იმავე უბანის რამოდენიმე სხვა და სხვა მდგომარეობაში გადაღებული სურათების შედარებით. მაგრამ ეს მეტად ძნელი და დიდ ჯაფას, დიდ დახელოვნებას, დიდ საერთო განვითარებასა

და ცოდნას მოითხოვს, როგორც საერთო, ისე სამხედრო დარგში, დრო  
ნიქსაც საგანთა ლოლიკურ დაკავშირების გამოცნობაში და სხვა. ამი-  
ტომაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამგვარი სპეციალისტების გა-  
წრთვნას, რისთვისაც უნდა ირჩეოდნენ ამაში განსაკუთრებული ნიჭის  
მქონე პირები.

რაც შეეხება თვით ნილაბმოსხმას, უნდა ითქვას, რომ მის მიერ მი-  
ზანის მიღწევის მთავარი პირობაა დისციპლინა, რომელიც უნდა ემაყა-  
რებოდეს ნილაბმოსხმის ყოველი წესის და საშუალების გამოყენებას  
უფროსის განზრახვასთან შეთანხმებულად. ეს მთავარი პირობა, რომ-  
ლის შესრულებისაგან არის დამოკიდებული ნილაბმოსხმის ნაყოფია-  
ნობა, ძალიან ხშირად არ არის სათანადო შეგნებით და ყურადღებით  
შესრულებული, როგორც ჯარისკაცთა, ისე ოფიცერთა მიერაც. სა-  
ნამდე ყოველი ჯარისკაცი არ შეიგნებს, რომ ნილაბმოსხმის მიზნის მიღ-  
წევა, ესე იგი, საკუთარი მოქმედებების დაფარვა და მოპირდაპირის შე-  
ცდომაში შეყვანა, არის დამოკიდებული დისციპლინის ურყევლობისა-  
გან, მანამდე ნილაბმოსხმა დარჩება მხოლოდ შრომის, მასალის და დრო-  
ის უშედეგო ხარჯად. ამის გამო ყოველი ჯარის ნაწილი ისე უნდა იყოს  
გაწრთვნილი, რომ ნილაბმოსხმის დისციპლინა ჩვეულებად გადაექცეს,  
თითქმის აუცილებლობად ყოველგვარ ბრძოლაში.

ნილაბმოსხმის ნაყოფიერების შემდეგი პირობაა მისი მუდმივობა  
და განუწყვეტლობა. ნილაბმოსხმა საჭიროა არა მხოლოდ საგნებისათ-  
ვის, არამედ თვით მოსამზადებელ, შესავალ შრომისათვისაც ნილაბმო-  
სხმის მოხდენის დროს. შეგვიანებული ნილაბმოსხმა, ან კიდევ მისი მუ-  
დმივობის შეწყვეტა, ან უკვე ნილაბმოსხმულ საგნების არა სათანადო  
მოვლა, იწვევს ფუჭ ხარჯს მთელ გაწეულ შრომაში, რადგან ეს მუდამ  
გამოაშკარავებული და შემჩნეული იქნება მოპირდაპირის მიერ.

შესაფერისად ნილაბმოსხმის ხერხი არის შემოქმედებითი შრომა.  
ასე ვსთქვათ, ხელოვნება, რომელიც შეფარდებული უნდა იქმნეს გა-  
რემოკუთულობის პირობებთან და, როგორც ასეთი, არ იყვეს სქემატიუ-  
რი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, მას შეუძლია მეტი ვნების, ვინამ სა-  
რგებლობის მოტანა. ამასთანავე დავიწყებული არ უნდა იყოს ის, რომ  
ნილაბმოსხმის მთელი შრომა არასოდეს არ უნდა აფერხებდეს ჯარის  
ნაწილებს მათ საბრძოლო დავალებათა შესრულებაში.

განვიხილოთ ეხლა მაგალითები ნილაბმოსხმის შეფარდებისა ჯა-

რის ნაწილების მიერ სხვა და სხვა პირობებში საბრძოლო მოქმედებათა დროს.

ჰაერობლანიდან მეთვალყურეს მუდამ შეუძლია, ხელსაყრელ ატმოსფერულ პირობებში, შეამჩნიოს თვითეული ადამიანი მიდამოზე ათას მეტრის სიმაღლიდან, მეტადრე კი თოვლზე, გზის ნათელ ზოლზე, სადაც ყოველივე ძალიან გარკვევით გამოსჩანს. მზიან დღეს კარგი მხედველობის შეძლება იზრდება საგნების მიერ გამოწვეულ ჩრდილის გამო, რისთვისაც სასურველია, რომ მცირე ნაწილები, თავის მოქმედების დროს, სარგებლობდენ ყოველი გვარი საფარით, რომელიც კი მიდამოზე არსებობს როგორცაა ხე ბუჩქი, ლობე-ყორე, შენობა და სხვა, რათა იმყოფებოდენ და მოძრაობდენ მუდამ ჩრდილში, ბნელ ფონზე, რომელიც მათ ტანსაცმელს უახლოვდება ფერით და ამით ჰქმნის მათ ვაცილებით ძნელ შესამჩნევად მეთვალყურესათვის.

თვითეული ჯარისკაცის ნილაბმოსხმა გაადვილებულ უნდა იქმნას მისი ტანსაცმელისა და მოკაზმულობისაგან ბრწყინავი და ნათელი საგნების აცილებით.

ზამთარში, როდესაც გზები ფერით უფრო მუქია, ვინემ მთელი არე, სასურველია მოძრაობა სწარმოებდეს უმეტესად გზებზე; თოვლიან მინდორზე სვლის დროს კი დიდი დახმარების გაწევა შეუძლია თეთრ წამოსასხამებს, რომელნიც იფარავენ უპირველეს ყოვლისა არედან მეთვალყურეთაგან და შემდეგი, განსაკუთრებით მოღრუბლულ დღეს, ჰაერიდან მეთვალყურესაგანაც.

მცირე ნაწილების ან თვითეული ჯარისკაცის ნილაბმოსხმის მრავალი ხერხი მოიპოვება, რომლის დედააზრი არის ირგვლივ საგნებთან ისე შეფარდება, რომ შეცდომაში შეყვანილ იქმნენ როგორც არედან, ისე ჰაერიდან მეთვალყურენი. მაგალითად: ბუჩქებიან მიდამოზე შეიძლება მოთავსება ერთმანეთთან ახლო მდგომ რამოდენიმე ჯარისკაცისაგან შემდგარი ცალ-ცალკე ჯგუფების, რაიც მფრინავთა სურათზე ბუჩქების შთაბეჭდილებას იძლევა. ბილიკის მიმზავსება ხდება მწკრივად და სიგრძით ჯარისკაცების მიწაზე დაწოლით. შეიძლება მრავალი ამგვარი მაგალითის მოყვანა, რომელიც დამოკიდებულია ყოველი ერთეულის გამოცდილება და ხერხიანობაზე და რომელიც სათანადოთ გამოყენებული კარგ შედეგებს იძლევა.

სხვა და სხვა ჯარის დარგებისაგან შემდგარი, მოზრდილი ერთეულების ნილაბმოსხმა მეტად გაძნელებულია, მეტადრე სვლის დროს. არ-

სებითად ეს სვლა (ლაშქრობა) უნდა სწარმოებდეს ღამით და ასეთ შემთხვევაშიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რომ მოპირდაპირე შესაძლებს ამის აღმოჩენას ჰაერობლანიდან რეფლექტორის განათებით. თუ კი ლაშქრობის წარმოება დღისით აუცილებელი ხდება, ამისათვის არჩეულ უნდა იქმნას ფარული გზები, თუნდაც კი უფრო შორი; სვლის დროს გამოყენებულ უნდა იქმნას ჩრდილი ხეებისა, ვზის გასწორივი თხრილებისა და სხვა ამგვარი ისე, რომ დაიფაროს სვეტის ჩრდილი და მოძრაობა სწარმოებდეს მიდამოზე, რომელიც ფერით ჯარის ტანსაცმელის ფერს უახლოვდება. ჯარის მსვლელობისას ამქლავნებს არა მოძრაობა, არამედ წყობილების სიმეტრიულობა, არა სათანადოთ შეფარდება მიდამოსთან, მტვერი და სვეტის ჩრდილი.

არტილერიისა და საბარგულების დაფარვა მოძრაობის დროს თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ისინი მოძრაობენ მხოლოდ გზებზე; ამიტომ, რამდენადაც შესაძლებელია, მათ მიერ გამოყენებულ უნდა იქმნას გზების ყოველი არსებული საფარი. მოპირდაპირის შეცდომაში შეყვანა შეიძლება არტილერიის მოძრაობის დროს, საფარი ბადის გადაფარებით ქვემეხებზე და შებმულობის შუა წყვილ ცხენებზე, რაიც ფოტოგრაფიულ სურათზე ახლო ერთი-მეორესთან უკან მსვლელი ორი ურმის შთაბეჭდილებას იძლევა.

მოზრდილი ნაწილების დგომის ნილაბმოსხმის მიღწევა შესაძლებელი ხდება სადგომად შესაფერი ადგილების ამორჩევით, როგორც ხეებით და შენობებით მოცული მიდამოები, ტყეები, ბალები და სხვა ამგვარი, რომელნიც ჰაერიდან მეთვალყურესაგან საფარს იძლევიან.

სადგომი ადგილი მუდამ მიღწეული უნდა იქმნეს რიყრამდე, რათა გათენების უამს ყოველი მოძრაობა ბანაკის მახლობლად უკვე შესწყდეს. აუცილებლად თავიდან უნდა იქმნეს აშორებული ყოველგვარი იარაღის, საბარგულების და სხვა ყოველი საბრძოლო საშუალების სიმეტრიული დალაგება; ისინი უნდა მოთავსებულ იქმნან ხეების ქვეშ ან შენობებში.

ტელეფონის ხაზები, რომელნიც იკრიფებიან უფროსების სადგომ ადგილებზე, უნდა გაშენებულ იქნან არსებული გზების გასწორივ, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი ბილიკების ტყეპნა, რაც გამოიწვევა ტელეფონისტების მიერ ხაზების მუდმივ კონტროლისა და შესწორების დროს. აუცილებელი ნორმალი მოძრაობა ჯარების მომარაგებისათვის შეძლების და გვარად დაფარული უნდა იყოს. საკვები კი უნდა მზად-

დებოდეს შენობების ახლოს, რათა არ იყოს იგი გამჟღავნებული კვალით. მოღრუბლულ დღეს სადგომ ადგილთა ნილაბმოსხმის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მიდამოს საერთო ფონს, რადგან აშკარა ჩრდილებისა და ლანდების ნაკლი მათი გამოყენების საშუალებას არ მოგვცემს.

საერთოდ, ჯარების დგომა ნილაბმოსხმული იქნება იმ შემთხვევაში, თუ დასასვენებლად მდგომ ჯარების ყოველ მოქმედებას მიეცემა ნორმალური ცხოვრების სახე, როგორც ახასიათებს ყოველ დასახლებულ ადგილს.

საუბედუროდ, ტექნიკურ სიძნელეთა გამო. აქ არ შეგვიძლია მოვათავსოთ სამაგალითოდ მფრინავების მიერ გადაღებული სურათები სხვა და სხვა პირობებში, სადაც აშკარად დასანახი იქნებოდა მკითხველთათვის, თუ რა განსხვავება არის ამ სურათებზე ნილაბმოსხმულ და ნილაბმოუსხმელ ჯარებთა შორის. აქ ნამდვილად დავრწმუნდებოდით, რომ სათანადოთ ნილაბმოსხმულ ნაწილების გამოცნობა სურათზე, დგომის დროს თუ სიარულისას, ფრიად ძნელია, და ამით საესებით და ნათლად შევივებდით ნილაბმოსხმის მნიშვნელობას.

რაც შეეხება ნილაბმოსხმას ბრძოლის წარმოების დროს, აქ არ შეუდგებით მის დახასიათებას, ვინაიდან ეს საკმაოდ გარკვეულია ყოველ წესდებაში; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, ვინაიდან მთავარ ჯაფას თანამედროვე ბრძოლაში კიდევ ქვეითი ჯარი სწევს, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია მიდამოს დაპყრობა და შენარჩუნება, და რადგანაც ის იბრძვის გაცილებით მეტად ძნელ პირობებში, ვინემ სხვა დარგის ჯარები და მას ზიანიც მეტი აქვს, ვინემ სხვას, ამიტომ მან სხვებზე უფრო უკედ უნდა იცოდეს ნილაბმოსხმის ყოველი ხერხი და სათანადოთ იყენებდეს მას, რათა ამით აიცილოს თავიდან ზედმეტი ზიანი და მისცეს შეძლება როგორც თავის თავს, ისე სხვა დარგის ჯარებს, გამოიყენონ ნაყოფიერად ყოველი არსებული საშუალება სათანადო ეამს. ამიტომაც ყველასათვის ყოველ მოქმედებაში მთავარ დებულებად უნდა იყოს: — ყოველი დავალების შესრულებაში უდიდესი ეგებისობა იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც როგორც ყოველი მოსამზადებელი მოქმედება, ისე თვით მოქმედებაც სათანადოთ ფარული და ნილაბმოსხმული იქნება. ჯარისკაცმა რომ შესძლოს ყოველივეს შესრულება — უნდა შეეძლოს ნილაბმოსხმა.



1921 წლის

ქართულ — ბოლშევიკური ომი\*)

ბატონებო! მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი შეგნებით, ომი არის უკანასკნელი საშუალება სახელმწიფოს მიერ სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის. იარაღს ეძლევა ხმა, როდესაც სხვა საშუალება უნაყოფო ხდება ამ ინტერესების დასაცავად. ომი მთელი ერის ბრძოლაა. და იგი მოითხოვს მისი მთელი ძალების დაჭირვას, როგორც ფიზიკური, ისე მატერიალურისას; ძალების დაჭიმვა უორგანიზაციოდ წარმოუდგენელია, შეუძლებელია შესაფერი აპარატის აუმუშავებლივ. ფიზიკურ-მატერიალური სამზადისის გარდა, ომის მოგებისათვის აუცილებელია თვით სურვილი ამა თუ იმ ერის მიერ თავგანწირვითი ბრძოლის შესახებ; ცოცხალი ძალა მიზანშეწონილად დარაზმული, მატერიალურ საჭიროებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფა და პატრიოტიზმით გამსჭვალული ძლიერი სული, — ესე იმ ეს პირობა ქვაკუთხედია და აუცილებლობაა ბრძოლის წარმოებისათვის.

არის კიდევ ერთი პირობა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, ხშირად გადამწყვეტიც. — ესაა სივრცისა და ნიადაგის ზეგავლენა ნაწარმოებ ოპერაციებზე. თუ აღნიშნული პირობანი დაცული არიან; თუ ერს ჰყავს დარაზმული და მომზადებული ძალა, მატერიალური საშუალებანი, გამარჯვების სურვილი და სივრცის ხელსაყრელი პირობები, მას დამშვიდებით შეუძლია მწვავე საკითხების გადაჭრა იარაღს მიანდოს; გამარჯვების შანსები სრულია და მხოლოდ ერთ შემთხვევაშია საეჭვო — თუ ოპერაციები ნაწარმოებ იქმნენ უნიჭოდ, ომის ხელმძღვანელის, მთავარ სარდალის მიერ; ყველაფერი ეს ცხადია იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე იმავე პირობათა სამზადისის მხრივ ჩვენზე არ პირველობს.

\*) მოხსენება წაკითხული ქ. ვარშავაში 6.XI.1931.

არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სარდლის განსაკუთრებულ ნიჭს შეუძლია შეავსოს ნაკლი ომის ამა თუ იმ პირობებში, მაგრამ აქ არსებობს ერთგვარი სახლვარი, რომლის იქით ნიჭიც უძღვრია.

1921 წელში ჩვენ ვაწარმოეთ ომი ბოლშევიკებთან: ომი წავაგეთ და ამ მოვლენამ, ერთი მხრივ, საქართველო დღევანდელ ტრადიციულ მიიყვანა, და მეორე მხრივ, ჩვენ დამსწრენი და მონაწილენი ჩვენი ერის ისტორიისამ უბედურებისა, სამშობლოს მოგვეწყვიტა.

ყოველი ომი იძლევა მრავალ ვაკვეთილს მომავალისათვის, ყოველ მოგებულ ომშიაც ადამიანი იპოვნის უამრავ ნაკლს, რომლის შესწავლა და ახალ ომებში აცილება ახალ გამარჯვებათა საფუძვლად ხდება. ნაკლი და შეცდომა ბუნებრივად მეტია წაგებულ ომში და მით უფრო მეტია მათი შესწავლიდან გამომდინარე ვაკვეთილები.

მართალია, საქართველოს, ისედაც გამოცდილებით მდიდარს, აღარ სჭიროდა ახალი გამოცდილება, მაგრამ მოხდა! და სამხედრო მეცნიერების ვალია, წაგებული ომის დაწვრილებითი გადაჩხრეკით, თავიდან აიცილოს მომავალში მაინც იქ დაშვებული შეცდომანი.

წაგებული ომის ხანიდან თითქმის 12 წელიწადის მანძილი საკმაო გარანტიაა იმისათვის, რომ საკითხის გაშუქების დროს შეესძლოთ დავიცვათ მეცნიერული ობიექტიურობა. სხვანაირად ომის ანალიზსა და აქედან გამომდინარე დასკვნებს პრაქტიკული ხასიათი არ ექნებოდა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი 1921 წლის ომის საბოლოო განხილვა და დაწვრილებითი ყოველ-მხრივი გარჩევა იმ მასალებით, რომელიც დღეს აქ მოგვეპოება, ძნელია. საჭიროა მეტი წყაროები, რომელიც უნდა გამოინახოს, დაგროვდეს ან შეიქმნას.

ვამბობ: შეიქმნას, ვინაიდან ჩვენს ემიგრაციაში დაგროვილია თითქმის ყველა ის ხალხი, ვინც მთელი ეს ხანა საკუთარ ზურგზე გადაიტანა. მათი მოგონებანი ქართული ისტორიის შესწავლისათვის ფასდაუდებელ მასალად გადაიქცევიან. იმედია, ემიგრაცია ამ მხრივ საქართველოს წინაშე თავის ვალს მოიხდის. დღეს მე ვსდგამ მხოლოდ პირველ ნაბიჯს — სუსტ ნაბიჯს, რომელსაც ალბად მოჰყვება მზგავსი შრომების მთელი რიგი, მზგავსივე მიზნებით.

როგორც ზემოდ ვსთქვი, ომის წარმოების ხანას წინ უძღვის მეორე ხანა, ხანა მომზადებისა. აღვნიშნე, რა კავშირი არსებობს მათ შორის, და გადავალ ეხლა ერთისა და მეორის განხილვაზე და მათ ურთიერთ გავლენაზე 1921 წლის ომის დროს..

ჯერ განვიხილოთ ჩვენი მომზადების დონე: — ფიზიკურ-ორგანი-  
ზაციული, მატერიალური, სულიერი და აგრეთვე სივრცის მხრივ: —  
მომზადება ფიზიკურის მხრივ: —

სქემა № 1

ქართული ჯარის ორგანიზაცია 1919 წ. შტატების მიხედვით: —

ს ა მ ხ ე დ რ ო მ ი ნ ი ს ტ რ ი :

სამხედრო მინისტრის პირადი განყოფილება

სამხედრო სამინისტროს კანცელარია

ტოპოგრაფიული განყოფილება.

ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ბ ჯ ო : სამნეო განყოფილება:

საბიუჯეტო

სასურსათო

საბარგო-სანივთო

ტექნიკური

საარტილერიო

სასანიტარო

საბეითლო

ბინათა

კანცელარია.

ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს განყოფილებანი:

ტფილისის სადარაჯო ათასეული

სანაპირო რაზმები (სოხუმი, ფოთი, ახალციხე, შულავერი, ტფილისი  
დუშეთი)

გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი შ ტ ა ბ ი ს განყოფილებანი:

საოპერაციო სექცია: —

სამწყობრო

სამობილიზაციო

მზვერავი

სამხედრო მიმოსვლის და კავშირის განყოფილებანი.

საზღვაო სექცია

არხივის წიგნთსაცავი

სამხედრო აღრიცხვის ნაწილი

სამხედრო ატაშეები

კანცელარია

სამი საარმიო ბრიგადა.

ბრიგადაში:

ოთხი ქვეითი ათასეული  
ერთი არტილერიის დივიზიონი

მცირე გუნდები:

კავშირის  
დამზვერავის  
უმწყობრო  
მესაკრავეთა.

საარმიო არტილერიის დივიზიონი:

სამ-დიუმიანი საველე ბატარეა  
მძიმე ექვს-დიუმიანი ბატარეა  
48 ცენტ. 4 ზარბაზანი

ცხენოსანი რაზმი:

ოთხი ესკადრონი (ერთი ტყვიისმფრქვეველის)  
და სასწავლო, კავშირის, მესანგრეთა, მესაკრავეთა.

მესანგრეთა ათასეული:

მესანგრეთა ორი გუნდი  
სატელეგრაფო ორი გუნდი  
ავტომობილთა გუნდი:  
ავტომობილთა სამი მწყობრი  
ერთი ჯავშნოსანი მწყობრი

საავიაციო გუნდი:

საავიაციო გუნდი  
სამხედრო საავიაციო სკოლა  
რადიო-ტელეგრაფის გუნდი:

ორი მუდმივი სადგური  
ორი საველე სადგური  
ერთი პარკი

სამხედრო სკოლა:

იუნკერთა გუნდი  
ნაცვალთა ათასეული  
განყოფილებანი: ქვეითი,  
ცხენოსანი,  
არტილერიის,  
საინჟინერო.

წინამდებარე სქემა თვალწინ გიშლით ქართული ჯარის 1919 წლის ორგანიზაციას. როგორც ხედავთ, საქართველოა ჯარს შეადგენდა საკ-  
მაოდ გაშლილი სამხედრო სამინისტრო და მისი დაწესებულებანი, 3  
ქვეითი ბრიგადა თითო სარტილერიო დივიზიონით, 6 სანაპირო რაზმი,  
ტფილისის სადარაჯო ათასეული, საარმიო სარტილერიო დივიზიონი,  
მესანგრეთა ათასეული, ცხენოსანი რაზმი, ავტომობილთა გუნდი, სა-  
ავიაციო გუნდი და რადიოტელეგრაფის გუნდი.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მომეპოვება, ჯარში დაახლო-  
ვებით იმყოფებოდა: —

1161 ოფიცერი და მოხელე, 13.167 ვადის ჯარისკაცი, 587 ნებით და  
ზედმეტ-მსახური ჯარისკაცი.

აქედან ხაზში იყო: — 870 ოფიცერი და მოხელე, 13. 425 ვადის  
ჯარისკაცი, 486 ზედმეტ და ნებით მსახური ჯარისკაცი; სამხედრო სა-  
მინისტროსა და მის დაწესებულებებში 301 ოფიცერი და მოხელე, 74.2  
ვად. ჯარისკაცი, 101 ზედმეტ და ნებით მსახური ჯარისკაცი.

გენერალ მაზნიაშვილის ცნობით, ჯარის საერთო რიცხვი აღწევდა  
20.000-ს; ამ რიცხვში, ზემოდ-ჩამოთვლილ ნაწილების გარდა, მას შე-  
ჰყავს კიდევ 1 ცხენოსანი ლეგიონი, ერთი საავტომობილო ასეული და  
4 ჯავშნიანი მატარებელი. ვგონებ, ეს გვარდიის ნაწილები არიან.

რაც გვარდიას შეეხება, იგი მოწყობილი იყო ათასეულებად და მათი  
რიცხვი ომის დროს 23-მდის უნდა აწეულიყო.

რაც ეხება ჯარის მობილიზაციას და მობილიზაციურ აპარატს. ეს  
იმავ 1919 წლის შტატების კანონებში გათვალისწინებულია; ამ კანონ-  
ების თანახმად ჯარი ომის დროს უნდა გასამებულყო, ასე რომ 12  
ათასეული გადაიქცეოდა 36-ად. რაც გვარდიის 23 ათასეულთან ერთად  
50—55 ათას კაცს მოგვეცემა. ამ კანონებში ერთი მუხლიცაა, სადაც  
ნათქვამია: — „თუ სამშობლო განსაცდელშია, კანონმდებელ ორგანოს  
შეუძლია გამოიწვიოს ჯარში რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი ჩვილ-  
მეტიდან 55 წლამდის“. ეს კანონი უხინჯოა და მომავლისათვის შეუ-  
სწორებელივ გამოვადგება; იმ პირობებში კი, რაც ჩვენ 1921 წელს შე-  
გვექმნა, ეს იყო მხოლოდ სიტყვები. სამობილიზაციო აპარატი ასეთი  
მობილიზაციისათვის მომზადებული არ იყო.

ამნაირად, მობილიზაციის წესიერად ჩატარებისა და დამთავრების  
შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლო გამოგვეყვანა ზემოდ-აღნიშნული რიცხ-  
ვი: — 50—55 ათასი კაცი. ეს რიცხვი სახეში უნდა ჰქონოდა შინაგან

საქმეთა მინისტრს, ნოე რამიშვილს, როდესაც იგი აცხადებდა: — „რა მომენტშიაც მოითხოვს საჭიროება, მე მზადა მყავს 60 ათასი კაცი“—ო. ეს რიცხვი წერილობითი საბუთებიდან სიმართლესთან ახლოა, ხოლო მისი განხორციელებისათვის ჩვენს პირობებში საჭირო იყო 15-20 დღე.

ამგვარად, მშვიდობიან დროს ჩვენ გვეყვდა 20.000 კაცი, რაც ომის დროს შეგვეძლო გავგეზარდა 55 ათას კაცად. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საქმის ასეთი დაყენებით ესე იგი ჯარის 36 ათასეულად და გვარდიის 23 ათასეულად გაზრდის სამზადისით და თვით მშვიდობიან დროის ჯარისკაცთა რიცხოვანობის მხრივ, ბევრად სუსტნი ვართ იმაზე, რაც ჩვენ შეგვეძლო.

1919 წელში გაწვევამ მოგვცა 19.000 ახალგაზრდა, 1920-ში — 21.000. საქართველოს რომ ორ-წლიანი სამსახური ჰქონოდა, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია, მაშინ ჯარში მსახურთა რიცხვში გვეყოლებოდა 13 1/2 ათასის მაგიერ 40 ათასი ე. ი. 2 1/2-ჯერ მეტი.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ მობილიზაციის შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია თოფ ქვეშ დააყენოს თავის მცხოვრებთა 10—12 პროცენტი. მაშასადამე, ჩვენ ჩვენი ორ-მილიონიან მცხოვრებლებზე, სამობილიზაციო აპარატი უნდა მოგვეწყო არა 55 ათასი კაცისათვის, არამედ 200.000 კაცისათვის; აქაც 4-ჯერ ვისუსტებთ თავს საკუთარი ნებით.

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. ისიც, რაც გაგვაჩნია, არ არის საღ შეუძლებლზე დაყრდნობილი. ჩვენი კანონები ამბობს: — „საქართველოს შეიარაღებულ ძალას შეადგენს ჯარი და გვარდია“; „გვარდია განსაკუთრებული კანონების მიხედვით მოეწყობა“. ამ კანონით ქართული შეიარაღებული ძალა გვაგორეთ. ერთ-ერთი მხარისათვის მეტი ყურადღებისა და სიმბატის მიპყრობით ჩამოვაგდეთ მათ შორის ერთგვარი უკმაყოფილება. და როდესაც ამ უკმაყოფილებაში ერთის მხარე დავიჭირეთ, მეორეში დავბადეთ უნდობლობა თვით ხელმძღვანელ აპარატისადმი: ამით გაიზარდა აპარატის უკვე აღნიშნული უნდობლობაც ჯარისადმი. იქმნება ერთგვარი, ეროვნული თვალსაზრისით, უარყოფითი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ჯარსა და ხალხს შორის სულიერი კავშირი სწყდება. ჯარი აღარ არის საკუთარი ერის მიერ მის საამაყო ნაწილად, ეროვნული ამპარტავნობის მატარებელად, სამშობლოს მუდმივ გუშავად. ცნობილი გვარდია თავისი ამხანაგური, ადვილად ასატანი დისციპლინით პოპულიარული და ხალხისათვის მიმზიდველი ხდება.

და საქმის ასე დაყენების დროს აღარ არის ის მჭიდრო მხედრული ორგანიზაცია, რომელმაც გაჭირვების დროს უნდა შეისუტოს ერის ყველა მებრძოლი ელემენტი და სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიყვანოს!

რომელია ეს ორგანიზაცია? ჯარი თუ გვარდია? რომელმა მათგანმა ჯუნდა დაიცვას ერი, მისი ქონება და მისი ხელმძღვანელები. თუ ჯარმა, რად ვაკლებთ მას ღირსეულ ზრუნვას? რატომ არ ვცდილობთ შევაცუაროთ იგი ერს, და წინაუკმოდ? თუ გვარდიამ, მაშ რაღა შუაშია ჯარი?

შეიარაღებულ ძალთა ასეთი ორგანიზაციის წყალობით შესუსტდა თვით ამ ძალთა და მათსადამე მთელი ერის მხედრული დარაზმულობა. ჯარს წაერთვა საშუალება ერის სიმპატიის დამსახურებისა და სულიერად მომაგრებისა!

როგორ შეიძლებოდა ჩვენში ჯარის ორგანიზაციის საკითხის დაყენება, რათა აგვეშორებინა ყველა ზემოდ-ჩამოთვლილი ნაკლი და ერის მთელი ფიზიკური შემძლეობა გამოგვეყენებინა? სამხედრო დარაზმულობა ისე ძველია და იმდენჯერ ნაცადი, რომ ახალი ფორმების ძიება უბრალო დროს დაკარგვა იქნებოდა.

ჩვენ შეგვეძლო არჩევანის წინ დაგვეყენებინა ჯარის ორგანიზაციის ორი ფორმა: ეს არის ჯარის მოწყობა მილიციის სახით ან რეგულიარული ფორმით. არავითარი ორი მეთოდის ნარევი დადებით შედეგებს არ იძლევა. განსხვავება მილიციურსა და რეგულიარულ ფორმებ შორის შემდეგია: — მილიციური სისტემის დროს არ არსებობს მუდმივი ჯარი. მოქალაქენი გადიან სამხედრო მომზადებას სამხედრო კურსებზე და განმეორებითი კურსებზე. ჯარი იარაღ-ჭვეშ სდგება შეიარაღებული კონფლიქტის მოლოდინში. ასეთი მეთოდი, მართალია, მთელი ერის ფეხზე დაყენების საშუალებას იძლევა, მაგრამ ჯერ ერთი, ამას შეუძლია სახელმწიფო დააყენოს უცაბედი საფრთხის წინ. მოუმზადებელი, შემდეგ, იგი არ ჯდება სხვა ორგანიზაციებზე ნაკლები და რაც ყველაზე უმთავრესია, არ იძლევა საკმაოდ მომზადებულ და დისციპლინით აღჭურვილ ჯარს.

რეგულიარული მეთოდით, ყოველი მოქალაქე იხდის სამხედრო ბეგარას ჯარში, შემდეგ გადადის თადარიგში და ცხადდება განმეორებითი მოწვევებზე.

ის ჯარისკაცი, რომელნიც იხდიან ბეგარას ჯარში, ადგენენ მუდ-

მივ რეგულიარულ ჯარს, რომელიც მუდამ მზადაა მტრის ასალაგმად, არის დისციპლინით მოცული და მომზადებულია.

ჯარის ორგანიზაციის ეს ფორმა ღღემდე საუკეთესოდ არის ცნობილი ყოველგან და ასეთად ჩაითვლება ჩვენთვისაც, ოღონდ რომ სარბიელი გაეხსნას ქართულ სულში ბუნებით თანდაყოლილ მხედრულ მისწრაფებებს, საჭიროა აგრეთვე საყოველთაოდ და სავალდებულოდ ესცნოთ მშვიდობიან მცხოვრებთ დარაზმულობა და მომზადებაც. ერთის პირობით ოღონდ, რომ ეს საკითხი მკიდროდ იქნება დაკავშირებული ჯართანვე, ჯარისვე ხელმძღვანელობის ქვეშ და ჩათვლილი იქნება მოსამზადებელ საფეხურად და გამასრულმყოფელ საშუალებად მხედრულ სამსახურისათვის. ეს სამსახური კი მოხდოდ უნდა იქმნეს მხოლოდ და მხოლოდ ჯარში, ერთ ჯარში, ქართულ ჯარში. ამნაირად შეიქმნება ძლიერი მხედრული დარაზმულობა, ერთი დარაზმულობა: ჯარი, მხედრული სახის, თუ სასპორტო საზოგადოებანი, შეიქმნებიან ერთ ერთეულად, ერთ სხეულად. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ერს ომი მიიღოს, აწარმოოს და კიდევ მოიგოს. ყოველგვარი დაქუცმაცება ქართული სიძლიერის, როგორც ჯარი და გვარდია ან ფედერალისტების, ნაციონალისტების თუ სხვათა ნაწილები, ვერავითარ ლოლიკას ვერ ეგუებიან. ჯარი და ერი ერთია. ჯარის ვარგისობა ეროვნული ვარგისობის საუკეთესო მაჩვენებელია. ომისათვის ერის მომზადება თვით ჯარსა თუ მის გარედ, მთლიანი, ერთი საკითხია, თხოვლობს ერთ მუშაობის გეგმას, ერთ აღზრდის მეთოდს, ერთ უფროსობას და ერთ ხელმძღვანელობას. ყოველგვარად სხვანაირ საქმის დაყენებაზე სამუდამოდ ხელი უნდა აგვადებინოს ჩვენი ჯარისა და გვარდის ერთად არსებობის და ამისაგან გამომდინარე ნაკლის მაგალითებმა.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ომი ძალთა გამოცდაა მთელი ერის და არა მისი რომელიმე ნაწილის, და ორგანიზაციაც შეიარაღებულ ძალთათვის უნდა შეიქმნას ისეთი, რომელიც ერს მისცემს საშუალებას ყველა თავისი ძალები გამოიყენოს. ეს კი, როგორც დავინახეთ ზევით, ჩვენი ფიზიკური მომზადების ანალიზიდან, გვაკლდა. გვაკლდა იმ შემთხვევაშიაც, თუ სამობილიზაციო აპარატი ზუსტად იმოქმედებდა და რა იქნება, თუ ამ აპარატმაც იმტყუნა? ამას ვნახავთ ქვემოთ.

**სამზადისი მასალათა მომზადების მხრივ.** რანაირი იყო ჩვენი სამზადისი მასალათა მომზადების მხრივ? ამ საკითხზე ორგვარია. ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებია. ერთი, ეს ცნობები გამოაშკარავენ-



ლია უკვე წაგებული ომის შემდეგ. ამის შესახებ გენერალი მაზნიაშვილი, რომელიც ბოლშევიკებმა სამნეო კომიტეტის უფროსად დანიშნეს და ჯარის შედგენა მიანდეს, ამბობს: — „უკვე 1921 წლის მაისში შევეძელი შემოსვა თავიდგან ფეხებამდის 17.000 კაცისაგან შემდგარ ქართულ წითელი არმიისა“-ო. „საქართველოს საბჭოთა მთავრობა ორი კვირა ჰკვებავდა უფასოდ მთელი ქალაქის მცხოვრებლებს სამინისტროს საწყობებიდან“-ო. „როდესაც დ. ჭავჭავაძე რეკვიზიციით ჰკრეფდა დანჯღრეულ უნაგირებს. ნავთლულის საწყობებში იყო რამოდენივე ათასი საკავალერიო ახალი უნაგირი და ცხენების სხვა მრავალი მოწყობილობა“-ო.

გარდა მაზნიაშვილის მიერ ჩამოთვლილ ქონებისა, როგორც ირკვევა ბოლშევიკურ პრესიდან ან სხვა წყაროებიდან, ქართველი კომუნისტები უგზავნიდნენ ვაგონობით სურსათს დამშეულ მოსკოვს — საჩუქრად ქართველ პროლეტართაგან! შემდეგ, ქუთაისში, გვარდიელების საწყობებში ჩარჩანილა 300 ახალი ტყვიამფრქვევი. ტფილისის არსენალში აღმოჩენილა 450 ყუმბარათ-მტყორცნელი, თავისი ყუმბარები-აურთ და უამრავი ხელის-ყუმბარები (ერთობც 100.000).

მეორე ცნობა. ესაა სამხედრო მინისტრის ამხანაგის, გენერალ ოდიშელიძის მოხსენება, წარდგენილი 1921 წლის 3 იანვარს, სამხედრო საბჭოსა და სამხედრო მინისტრისადმი.

ამ დოკუმენტში, მას შემდეგ, რაც აღნიშნულია ბოლშევიკებთან შეხლის სიახლოვის ნიშნები, ჩამოთვლილია ზოგები, რომელთა მიღება-საც მდგომარეობა უკარნახებს.

მასალაზე ნათქვამია: — ზემოაღნიშნული რიცხვის (60.000) ჯარისკაცის ფეხზე დასაყენებლად საჭიროა შეძენილ იქმნეს „მოკაზმულობა და იარაღი 40—45 ათასი კაცისათვის. სანოვავე 100—120 ათას კაცისა და 15.000 ცხენისათვის ერთი თვის ულუფა.

„სამხედრო მასალებში უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სპარტილერიო ყუმბარებს, რომლის მარაგი გამოიხატება შეზღუდულ რიცხვებში. ზევით აღვნიშნე ცხენებისა და საბარგულების მნიშვნელობა ჯართა მოძრაობისათვის. ცხენების შეძენის სიძნელეთა გამო, მე-2-ე და მე-3-ე ხარისხის საბარგულებებისათვის უნდა შემოვიღოთ ხარები და ამნაირად განთავისუფლებული ცხენები მოვიხმართო არტილერიისა და ცხენოსანი ჯარისათვის. საჭიროა შეძენილ იქმნას ნავთი რკინისგზათა მოძრაობის უზრუნველსაყოფად, შეძენილ იქმნას

ტელეფონის აპარატები და მასალა, ყუმბარათ მზიდავი ჰაეროპლანები და ბენზინი მათი და ავტომობილების საჭიროებისათვის“ — და სხვა.

ეს ორი დაოკუმენტი ერთმანეთს ეწინააღმდეგება იმ მხრივ, რომ ერთი მასალათა მდგომარეობას, ომის წინ, აღნიშნავს დამაკმაყოფილებლად, მეორე — არა დამაკმაყოფილებლად. გენ. მაზნიაშვილი დასძენს მხოლოდ, რომ ყველა ეს გამოირკვა ომის შემდეგ და ამაზე არ იცოდენ და ვერ მოიხმარესო.

თავისი წიგნის 168 გვერდზე კი ამბობს: — „მალე გამოირკვა, რომ საინტენდანტო საწყობშიაც არ იყო საკმარი ტანისამოსი და მოკაზმულობა და რაც უმთავრესია, თოფები“.

პრაქტიკულად ბოლოს-და-ბოლოს ორივე დაოკუმენტს ერთი მნიშვნელობა აქვს; ირკვევა, რომ ომის სამზადისს მატერიალურის მხრივ ბევრი რამ აკლდა; და ის, რაც იყო, ვერ გამოვიყენეთ.

აღსანიშნავი კია, რომ რევოლუციის შემდეგ საქართველოში ჩარჩა მილიონიან კავკასიის ფრონტის მთელი ზურგი და მოწყობილობა. ბევრი, ცხადია, 1918—21 წლამდე ომებში დაიხარჯა. მაგრამ მაინც უნდა შეგვძლებოდა 1921-ის ომიც უკეთესი სამზადისით მიგველო.

როგორი იყო ესლა სულიერი დონე ომისათვის მომზადებისა! ვიდრე ამ კითხვას გავაშუქებდე, საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო ომისათვის სულიერი სიძლიერის მნიშვნელობა. არ მივმართავ არც იაპონიის, არც უკანასკნელი შანხაის მაგალითებს. წაგიკითხავთ ერთი ეპიზოდის შესახებ ჩვენივე ისტორიიდან, ქართველ იუნკერთა წარსულიდან: —

„სკოლა შინდისში ისვენებდა. მის ნაცვლად ტაბახმელას, გვარდიისა და ჯარის ნაწილები იცავდენ — არც ცოტანი: მე-10 ათასეულის ნაწილები, მე-2 გვარდიელების გუნდი, მე-5 ათასეული და კიდევ სხვა ნაწილები. კოჯორთან მიწოლილმა მტერმა, ტაბახმელაზე მოინდომა მოკლე მანძილით ტფილისისაკენ დაშვება. გამეხებული შეტაკებებით მრავალი უკუგდებული იერიშის შემდეგ მაინც წინ წამოიწია, ზოგიერთ ადგილას შემომამტერია და შტაბსა და ზარბაზნებს დაემუქრა. საკითხის გადასაჭრელად იუნკრები საჭირონი გახდენ და ფარნაოზი ანდრონიკაშვილის ბრძანებით შინდისში ჩხეიძისთან ცხენს მიაჭენებდა.

„სკოლა ამოვიყვანეთ საჩქაროდ ტაბახმელაზე, გვარდიელები იერიშს ვერ გაუძლებენ“.

სკოლა დაიძრა.

გზაში კიდევ მოვიდა ბრძანება: „აჩქარდით, ფრონტი გაირღვა!“

დაყრეთ ყველაფერი, ვაზნების გარდა, სწრაფად წინ! — გაისმა პოლკოვნიკ ჩხეიძის ფოლადისებური ხმა.

„იუნკრები შარში გაშლილი მირბიან; თავზე ტყვიამფრქვეველები ბზუიან; ყუმბარათა ცეცხლი შინდისიდანვე სდევთ. აქა იქ დაჭრილ-დაზოცილი იუნკრები იჩქებენ. ყუმბარათა ბოლში სჩანს რაღაც ნაწილები... გამორბიან... მხოლოდ ვიღაც, ვაჟკაცური გამომეტყველებით, წარბ შეუხრელად, ტანში გასწორებული, სიმწარით იქნევს აქა-იქ მათრახს და ნაწილები გაჩერებას ღამობს... ეს გვარდიელებია; იერიშისათვის ვერ გაუძლიათ... ვეღს ატიტვლებენ... მათრახიანი ჯუღელია, უიმედო სასოწარკვეთილებით თავზარდაცემულ გვარდიელების შეჩერებას ღამობს. იუნკრების დანახვაზე იმედის სხივი უთამაშებს თვალებში. შვეებით სუნთქავს. სწამს, საქმე მოგებულა.“

„ვაშა! გრიალებენ იუნკერთა მწკრივები... ვაშა! და იმ წუთში ჯუღელი თავისათა სცნეს, ქართველად, პატრიოტად, — ვაშა! გრიალებდენ თავზარდამცემი გაბედულობით და იერიშები იმ წუთში მხოლოდ ჯუღელის ხათრით. გვარდიელებსა და ბოლშევიკებზე თანაბრად მიჰქონდათ. გვარდიელები მათმა ტალღამ წინ წაიღო. ხაზი აღდგენილ იქმნა. იუნკრების სული შთაენერგა ტაბახმელის სხვა ჯარებსაც; ყველა საღამომდე განუწყვეტლივ მონატანი იერიშები, მოგერიებულ იქმნა. მტერი დაზარალდა, საღამოსთვის მთლად მიჩუმდა და საღაც შორს დაიხიან... ტაბახმელა მიწყნარდა. ღამე იუნკერთა წრედან გაჰქონდათ 25 გვამი, ტფილისისაკენ კი მიგორავდა 4 მტრის საველე ზარბაზანი და 1 დაზიანებული ჯავშნოსანი... უკან დაგლეჯილი ტყვეები მისდევდენ“

გვონებ აქ განმარტება ზედმეტია. ტაბახმელაზე სხვა არა იმარჯვებდა რა, თუ არა სული. მაგრამ რა ხდებოდა ირგვლივ, უკვე ზემოდ აღვნიშნე, თუ როგორ შეიზღუდა ჯარში სულიერი ამალღების შესაძლებლობა. თვით ხალხიც არ იყო ყოველთვის ლოიალური. საქართველომ მოკლე ხანის არსებობაში ჩააქრო აჯანყებანი ლეჩხუმში, ოსეთში, დუშეთში, ახალციხეში, ლავოდესში. ამათვან, ცხადია, მრავალს ბოლშევიკებს ვუმაღლიათ. ზოგს შეიძლება ეროვნულ თავმოყვარეობის სიმებზე თამაშს, მაგრამ დამეთანხმებით: დიდი სიღრმის სული არ ამოძრავებდათ იმ გვარდიელებს, რომლებზედაც ზევით წაგვკითხეთ ან რომლებზედაც მაზნიაშვილი შემდეგსა სწერს: —

**სომხის ომში:** „მართალია, გვარდიელებმა დღისით დაიჭირეს მაღლები და მტერს წაარვეს ტყვიისმფრქვეველები, მაგრამ საღამოზედ

თავის ნებით მიანებეს თავი დაჰკერილ პოზიციებს და უკან სოფელში დაბრუნდენ“ „ესევე გაიმეორეს 24 დეკემბერს“.

**ახალციხის აჯანყებაში:** „10 თებერვალს სახალხო გვარდიის ათასეული რიცხვით 2.500 კაცამდის დავტოვე როგორც მოწინავე რაზმში სოფლის დასაცავად. შუალამისას გვარდიის ნაწილებმა მიატოვეს პოზიციები და ტყის ბილიკებით უკან იხევენ.“

**1921 წელს:** „ხაშურელებმა როგორც კი გაიგონეს თოფის ხმა გორის გვარდიის ლიუნეტთან მიანებეს თავი მშვენივრად მოწყობილსა და სრულიად ახალს ლიუნეტს და სამარცხვინოდ თბილისისაკენ გაიქცნენ. (ეს იმ დამეს იყო, როდესაც მაზნიაშვილმა 1-600 ტყვე იგდო ხელში). ამავე წელში ჯიჯიხია ტანკების შიშით თავისი გვარდიით ტფილისის აშიშვლებს. გორთან ნაცვლად შეტევისა, გვარდიელებს პოზიციებიდან მოხსნის გამო, ჯარები იხევენ. სურამზე მათივე მიზეზით ფეხის მოკიდება ვერ მოხერხდა“...

რაშია საქმე? სად იყო ძლიერი ნებისყოფა თავგანწირვით ბრძოლისა? სად იყო სურვილი სამშობლოსათვის თავდადებისა? სად არის ასობით და ათასობით მტერს შემეკვდარი გვამები? რამ გაატარა მტერი ერთ თვეში ტფილისიდან ბათუმამდე, თოვლსა და ყინვებში?

გამოვტყდეთ, რომ იმ დროს, საქართველოში, ჩვენი ქვეყნის ორგვარი პროგრესი გვწამდა.

ერთთა შეხედულებით, ბედნიერება გამოიხატებოდა საერთაშორისო შედუღებასა — ეროვნულ თავმოყვარეობათა შენელებასა და სხვა ექსპერიმენტებში.

მეორეთა შეხედულებით, ერის კეთილდღეობა თვით ერის მიერ საკუთარი კერის მოწყობის, საკუთარი ცხოვრების პირობათა გაუმჯობესობასა და გასრულყოფილებასა. თანამუშაობა მსოფლიოს სხვა ერებთან არც აქ არის უარყოფილი, მაგრამ, თუ პირველი გავებით, სიტყვა „სამშობლო“ უგულოდ იხსენიება, მეორენი მას ყოველგვარი საქმიანობის ფუძედ სთვლიან. როდესაც საკითხი სდგება სამშობლოს არსებობისა და გინდა მტერთან ბრძოლაში შეკლულთ გვამების რიცხვისა, როდესაც ლაპარაკია ერის მიერ თავდაცვის წარმოების სურვილზე, ჯერ უნდა ვიკითხოთ: სწამთ, მათ რომ ეს საჭიროა? მზად არიან ამ რწმენას თავი შესწირონ? იციან ამ ორ პროგრესში, რომელი ამჯობინონ? თუ არა, ნუ მოვლით ნურც დიდ თავდადებას, ნურც მსხვერპლთა რიცხვის ამის ნიმუშადაც საქართველოს 1921 წლის ომი გვეყოფა!

როგორი-ღა იყო ნიადაგისა და სივრცის პირობები ომის წარმოებისა? იყო თუ არა ის სწორედ შეფასებული? საქართველო იმ დროს გარ-შემორტყმულია სამი მხრივ რუსეთისაგან და ერთი მხრივ თურქებისაგან. მე-11 ლაშქარის უფროსის მოხსენებიდან ცხადია, რუსები დღე-დღეზე ომს დაიწყებენ. ოსმალების მიზნები გამოურკვეველია. ასეთ მდგომარეობაში მტერს შეუძლია შემოიჭრას შავი-ზღვის პირით ქუთაისისაკენ, მთელი აღმოსავლეთის საზღვარის სიგრძეზე ჩრდილოეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ტფილისისაკენ. ბოლოს, პირველ შემთხვევისათანავე, თურქები დაიძვრიან ახალციხესა და ბათუმზე.

ყველა ამ მიმართულებით ერთ და იმავე დროს გადამწყვეტი ომის მიცემა არ შეგვიძლია. მტერი უნდა ვამარცხოთ რიგ-რიგად, თანაც არ შეიძლება არც ერთი ჩამოთვლილი მიმართულებით მტრის ღრმად შე-შოშვება. სივრცის სიცოტავე და მნიშვნელოვან ცენტრების საზღვრებთან სიახლოვე ამის საშუალებას არ იძლევა. რიგ-რიგობით მტრის დამარცხება ანუ ფრონტების შიგნით ტრიალი მაშ გაძნელებულია და ერთ შემთხვევაში კიდევ შესაძლებელი: თუ მოვახერხებთ იმდენი ჯარის შეკრება, რომ თან დავიფაროთ ყველა შემოხსენებული მიმართულება, თანაც რიგ-რიგობით, გადამწყვეტ ადგილას მოვაგროვოთ მტერზე უპირატესი ძალები.

მდგომარეობის სწორედ ასეთი შეფასება და საჭირო ზომებზე მი-თითება ჩვენდა საბედნიეროდ 1921 წელს იყო.

აი რას ამბობდა ამაზე თავის მოხსენებაში გენ. ოდიშელიძე 1921 წლის სამ იანვარს: —

„საბჭოთა რუსეთის განზრახვანი ჩვენი რესპუბლიკისადმი სრუ-ლიად ირკვევა ერთის მხრივ ჩემს მიერ შემოდ აღნიშნულ მე-11 ლაშ-ქარის უფროსის გეკერის მოხსენებიდან, მეორეს მხრივ, ჩვენი გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელთ მყოფ ცნობებიდან. რაც შეეხება ძალებს, რომლებსაც ამოქმედებს ჩვენს წინააღმდეგ რუსეთი, იმავე მოხსენე-ბაშივე საკმაოდ ნათლად არის აღნიშნული და გამოიხატება შემდეგნა-ირად: ჩვენი აღმოსავლეთის ფრონტის წინააღმდეგ, წითელი ხიდიდან ზაქათალამდე იგზავნება აქტიური ჯგუფი 6-7 ქვეითი და 5 ცხენოსანი დივიზია, სულ 30.000 ხიშტი და 4-5 ათასი ხმალი; ვლადიკავკასის და სოჩის პასიურ მიმართულებათა სათვალყუროდ დატოვებულ იქნება იითო ქვეითი დივიზია (8 ათასამდე); თუ ამას მივუმატებთ ჩრდილო-კავკასიიდან 3 ათასამდე შეიარაღებულ ოსებს (დაზვერვის ცნობები

ჩრდილო-ოსეთში რაზმების შეყენების შესახებ), მაშინ უნდა მივიღოთ, რომ საბჭოთა რუსეთის მხრივ ჩვენს წინააღმდეგ გვეყოლება 40 ათასი ხიშტი და 5 ათასი ხმალი. ამასთან აქტიური ჯგუფი იმოქმედებს ჩვენს აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ საზღვარზე.

მეორე მტრად საბჭოთა რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, მოგვევლინება სასომხეთი, რომელიც დაემუქრება ჩვენ სამხრეთ საზღვრებს ბორჩალოს მაზრაში.

ამ ეპიზოდს ცნობები სომხეთის შეიარაღებულ ძალებზე მეტად ბუნდოვანია. საფიქრებელია, რომ მისი ყოფილი ჯარი განიცდის დეზორგანიზაციას, ხუმბეთები და დაშნაკთა თანამგრძობნი ჯერაც არ განიარაღებულან (პირდაპირი ლაპარაკი ბეგზადიანსა და მრავიანს შორის და ჩიჩერინის დეპეშა სასომხეთის საგარეო საქმეთა კომისარს).

მიუხედავად ამისა, საქართველოსთან ომის შემთხვევაში საბჭოთა სასომხეთიც კი მოსძებნის საკმარის მსურველთ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად, და თუ ამას მივუმატებთ ბორჩალოს მაზრის სომეხ მცხოვრებთა ჩვენს წინააღმდეგ აჯანყების შესაძლებლობას, მივდივართ დასკვნამდე, რომ ამ მხრიდანაც გვეყოლება მტრის 10-15 ათასი კაცი.

შემდეგი ჩვენი მეზობლის — ოსმალეთის ჩვენდამი დამოკიდებულება, უნდა გამოვტყდეთ, დღევანდლამდის გამოურკვეველია: ერთა მხრივ, ის ოფიციალური მოკავშირეა საბჭოთა რუსეთისა, მეორე მხრივ იმავე რუსეთის სარდლობა ითვალისწინებს ცალკე მფარავ ნაწილს, ქიაზიმ ქარაბეკირ ფაშის მხრიდან; თვით მოქმედების დაწყებასაც უკავშირებს ამ ჯართა მოქცევის გამორკვევის ხანას.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენსა და ანგორასთან უკანასკნელად გაბმული ურთიერთობა საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წინამდებარე, ჩვენს შეტაკებაში რუსებთან, არ გამოვლენ თავიდანვე აქტიურად, მოუცდიან პირველ შეტაკებებს და მხოლოდ ჩვენი მარცხის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაიკავებენ ბრესტ - ლიტოვსკის ზავით მიკუთვნებულ ოლქებს. რაც შეეხება ძალებს, რომლებიც თურქებს ჰყავთ ამიერკავკასიაში, იგი აღწევს 20-25 ათასს; გარდა ამისა, 5 ათასიანი ტრაპიზონის მე-3-მე დივიზია, რომელიც შეიძლება დაძრულ იქმნეს ბათუმის ოლქის საწინააღმდეგოდ.

თუ მივიღებთ, რომ კარაბეკირ ფაშა იძულებული იქნება დასტოვოს რაიმე სასომხეთის მხრივ და დაკმაყოფილდება ამისთვის 10-20 ათასით; მაშინ ამ შემთხვევაშიც შეუძლია ჩვენს წინააღმდეგ გამოყო-

ვანოს 20-15 ათასი. თუ ამას დაეუმატებთ ბათუმის და არდავანის ოლქის 15-20 ათას აჯანყებულ მუსულმანებს, მაშინ ჩვენ სამხრეთ - დასავლეთის ფრონტზე გვეყოლება 35 ათასიანი მტერი. ვიმეორებ, რომ უკანასკნელ შემთხვევას ადგილი ექნება ჩვენს უკიდურესად ცუდს პირობებში.

ამაირად, საბჭოთა რუსეთთან შეჯახების შემთხვევაში გვეყოლება ჩვენს წინააღმდეგ 55—60-ათასი რუს-სომხების ჯარი. თუ მათ ოსმალონიც მიემატებიან. რიცხვი აიწევს 75—90-ათას კაცამდის. ბრძოლის კვლავი აქტიური თეატრი გვექნება რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე, საიდანაც მტერი მოიტანს განსაკუთრებით ინტენსიურ იერიშს ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და სამხედრო ცენტრის, — ტფილისის ჩასაგდებად.

თანახმად ამ მოსაზრებებისა და ჩვენი გეოგრაფიულ-სტრატეგიულ მდგომარეობისა (ცენტრალური მდგომარეობა და მოქმედება საოპერაციო ფრონტებს შუა), აუცილებელია თავიდანვე ვივლოთ ხელთ ინიციატივა; ამისათვის კი ჩვენ უნდა შეგვეძლოს ჩვენი საზღვრების ყოველ წერტილზე, საჭირო მომენტში. დავაგროვოთ მტერზე უპირატესი ძალები ე. ი. საბჭოთა რუსეთის გამოსვლის შემთხვევაში ვიყოლოთ აღმოსავლეთ საზღვარზე 35 ათასამდის, სამხრეთისაზე — 10 ათასამდის, თანაც მარჩაფში 15 ათასამდე სხვა მიმართულებისათვის.

ამგვარად შეიარაღებულ ძალთა რიცხვი უნდა უდრიდეს 60 ათას ხიშტსა და ხმალს“...

ამას შემდეგ მოსდევს. სხვა დასკვნათა შორის, მოთხოვნილება, რომ საჩქაროდ მიღებულ იქმნეს ზომები ამ 60-ათასიანი ჯარის ფეხზე დასაყენებლად.

აი, ამ დოკუმენტში აღნიშნულ მოთხოვნილებას რომ ხორცი შესწამოდა, საქართველოს სივრცის მხრივ, ძნელ პირობებშია, იქმნებოდა კიდევ პირობები ფრონტების შიგნით ტრიალისა და სწრაფად, რიგ-რიგად მტრის დამარცხებისა.

ასე აფასებდა მდგომარეობას და ასეთ ზომებს თხოულობდა მომავალი მთავარ-სარდალი, მაგრამ ნაცვლად აი რას ვხედავთ!

ახალ-გასაწვევთა გაწვევის ვადა — აქამდის ნოემბერი — იღება 10 თებერვლისათვის.

უშვებენ ჯარიდან უვადო და ზედმეტ-მსახურთ — ჯარი რჩება თითქმის უნაცვლებოდ. და სამ წლიანი არსებობის განმავლობაში არც ერთ

მომენტში არა ვართ ისე სუსტი, როგორც სწორედ 1921 წლის დასაწყისში.

დაზვერვის ცნობებით, ლორსა და ბორჩალოში მზადდება აჯანყებები; სპეციალურად გაგზავნილი, სომხებ-ნარევი კომისია ამოწმებს, რომ ეს ცნობები სიმართლეს არ შეეფერება.

გენერალ ოდიშელიძეს სურს ჯარის დაგროვებას შეუდგეს და ბორჩალოსა და ლორში ჯარები საზღვარს დააცილოს; იგივე კომისია, წინაუკმოდ, აიძულებს მას ჯარების სოფელ-სოფელ დანაწილებას, ვითომც მცხოვრებთა დასამშვიდებლად ბოლშევიკთა საფრთხის გამო.

ყველა ამაში გენერალი ოდიშელიძე უძღვრია, საკითხებს სწყვეტს სამხედრო საბჭო, თავის უმრავლესობაში მმართველი პარტიის ერისკაცულ წარმომადგენელთაგან შემდგარი.

სულ-ერთია: ხდებოდა ეს იმ რწმენით, რომ ბოლშევიკები 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ აღარ მოისურვებენ საქართველოს ზიანი მიაყენონ, თუ სხვა მოსაზრებით, ფაქტი ერთია: — საქართველოს ვიწრო სივრცეში ფრონტების შიგნით მოქმედებისათვის სარბიელი არ გავიხსენით და ძალა არ გავიმრავლეთ. ამის გამო ჩაცვივდით ისეთ მდგომარეობაში, რომ ყველა მიმართულებით, საიდანაც კი მტერს მოველოდით, იძულებული ვიყავით შეეკროდით მას; თანაც ყველგან მცირე ძალებით და მაშ. ვერსად ვერ გავვემარჯვნა!

ზომების მიუღებლობამ, ამნაირად, სივრცის სიციოტავის ნაკლი ვერ გამოასწორა და ფრონტების შიგნით ტრიალი შეუძლებელ-ჰყო.

ამნაირი იყო ჩვენი მომზადება 1921 წლისათვის სამხედრო სამზადისის ოთხივე მთავარ დარგში: —

ფიზიკურ-ორგანიზაციული, მატერიალური, სულიერი დონისა და სივრცის პირობების მხრივ.

არც ერთ ამ დარგში, როგორც ვნახეთ, უკვე ამ დროს, არ ვიყავით დამაკმაყოფილებლად მომზადებული. შემდეგი მოვლენები განვითარდნენ, ისე, რომ, არამც თუ ამ მხრივ არაფერი არ გაკეთებულა, პირიქით, პირობები კიდევ გაუარესდნენ.

აი რა მოხდა!

აღმოსავლეთის საზღვარს იმ დროს იცავდნენ ბამბაკის ხეობაში სოფელ-სოფელ მიფანტული მე-2-ე და მე-3-ე ბრიგადის მე-5-ე და მე-7-ე პოლკები; წითელ ხიდთან იყო რამოდენიმე გვარდიის ათასეული; ფოილოს ხიდთან მე-18-ე პოლკი და კახეთში მე-6-ე პოლკი.



12 თებერვალს, ღამის პირველ საათზე, მოდის მთავარ შტაბში გენ. გედევანიშვილის შემდეგი დებეზა:

„სომხების ურდოები ღამით დაეცნენ მე-5-ე და მე-7-ე ლეგიონს. ჯარისკაცთა ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ნაწილი ამოწყვიტეს და დანარჩენი გამოიქცნენ“.

წითელი ხიდიდან ხრამისაკენ დაწეულმა გვარდიამ (მე-6-მე-8 ათასეული) უმიზეზოდ დასტოვა ფრონტი, დაჰყარა ინგლისელების მიერ დატოვებული ახალ-ახალი ზარბაზნები და ცხენებით ჯერ სანდარსა და შემდეგ ტფილისისაკენ დაიხია. აღმოსავლეთით ტფილისის კარები გაიხსნა. (აქ უნდა ვსთქვა, რომ არ ვიცი, რა დემართა მე-8 პოლკს, უკედ ათასეულს; ის ფოილოს ხიდის აქედ აღარავის მიერ აღარსად იხსენიება). ეს ცოტაა! ნუხის მიმართულებით კახეთში შემოჭრილმა ცხენოსანმა დივიზიამ მე-6-ე პოლკი თიანეთს მიაჰყლიტა, იქ განაიარაღა და უკვე თებერვლის 21-ს ტფილისს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაემუქრა.

ყველაფერს ამას სამხედრო და საერო ხელისუფლება გულხელდაკრებილი შესცქეროდა! არა სჯეროდათ, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ საბჭოთა რუსეთი საქართველოზე თავდასხმას იკადრებდა და ეს, მიუხედავად დაზვერვის ცნობებისა! მიუხედავად 1920 წლის მაისისავე ამბებისა! მიუხედავად ტროცკის დამუქრებისა, რომ „საქართველოს გასრვის დღე დადგა“! მიუხედავად აზერბაიჯანის და სომხეთის მაგალითისა! და მიუხედავად ოდიშელიძის საკუთარივე მოხსენებისა!...

მხოლოდ 13 თებერვალს ცხადდება ნაწილობრივი მობილიზაცია თელავისა და სიღნაღის მაზრებში. ცხადია, აწერილ პირობებში, იქ ველარავითარი მობილიზაცია ველარ ჩატარდებოდა და საქართველო სდგას სირცხვილის წინაშე; საქართველოს აზერბაიჯანივით და სომხეთივით უბრძოლელად ომის წაგება მოელის!

კონსტანტინეპოლში, მხედართ მოხსენებაზე, შექმნილ მდგომარეობას ვ. ჯუღელი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: — „მთავარ-სარდლის შტაბში სრული თავზარდაცემაა. თვით გენერალი ოდიშელიძე საშინლად უმწეო მდგომარეობაშია, არ ძალუძს რაიმე ნაბიჯი გადასდგას; საჭირო შეიქმნა სხვა მთავარსარდალის მოძებნა და მე წაველი გენ. კვინიტაძესთან“.

ასეთი მდგომარეობა იყო იმ წუთებში, როდესაც გენერალი კვინიტაძე ეუბნება მას: „გვიან მეძახით, მაგრამ თუ გჭირდებით, მზადა ვარ“!

ესლა ჩვენ ვკითხოთ ჩვენ თავს: — შეეძლო ვინმეს იმ სივრცისა, მატერიალური და ფიზიკური საშუალებების და სულიერი დონის დროს, როგორც ზემოდ ავსწერე, ომის ჩარხი მოეტრიალებია?

როდესაც გენერალი სარდლობას ღებულობდა, უნდა სცოდნოდა, რომ ხალხის სულსა და სივრცის პირობებს ველარ გამოასწორებს, მაგრამ რაც შეეხება მასალათა სამზადისს და ჯარის რიცხოვნობის საჩქაროდ გაზრდას, ამაზედ მას უფლება ჰქონდა სრული იმედი დაემყარებია. ბორჩალოს მანრა და კახეთი, თუნდ ტფილისიანად, მთელი საქართველო არ არის და მის იქით კიდევ უნდა მოხერხებულყო ამ მხარეების მანრე გამოასწორება. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ სახელმწიფოებრივი აპარატი არ გამოდგა ამისათვის მომზადებული.. გაწვეულ ჯარისკაცთათვის სამოსელი და მოკაზმულობა ადგილზე არ აღმოჩნდა. ათასეულების ფეხზე დაყენებას ზოგჯერ, როგორც ახალციხეში, ორი კვირა სჭიროდა, როდესაც ეს წუთების საქმე უნდა ყოფილიყო.

ჯარის დარაზმვა და მასალათა გამოზანხვაც ვერ მოხერხდა და ეს გამოირკვა შემდეგ, ფაქტებიდან. გენ. კვინიტაძემ კი ჩაიბარა სარდლობა იმ მდგომარეობაში, როგორც იყო, და იმ სამზადისით, რაც ითქვა.

მდგომარეობა მართლა მძიმეა: — სადახლოს რაიონებში მოსპობილია ორი პოლკი; წითელი ხიდიდან გამოიქცა დამფრთხალი გვარდია (თითქმის უიარალოდ; დაყარეს ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები და მძიმე ყველაფერი; ეს უმიზეზოდ, რადგან მისი გამოქცევის შემდეგ, საპიროთა ორი მწყობრი კიდევ ორ დღეს იდგა იქ და მტერი თვალით არ უნახავს); კახეთში შემოჭრილია ცხენოსანი დივიზია; აღმოსავლეთით, მტერს წინ, 12-ს აქეთ, არავინ უდგას, მანძილი კი ორი სუბუქი დღის სავალია, მაშ 14-ში შეუძლიათ ტფილისს მოადგენ! შტაბი გაფაციცებით მუშაობს. იგზავნება ფრონტზე, რაც არის. მიდის პოლკ. ვაჩნაძის მე-9-ე ათასეული. ტფილისს შეუძლია მისცეს კიდევ ორი სადარაჯო ასეული, ერთი ტფილისელების გვარდიის ათასეული, ერთი ქვეითი ათასეული და სამხედრო სკოლა.

საქმის შემდეგი მსვლელობა გენ. კვინიტაძის ხელში გადადის. მისა აზრია მოაწყოს ტფილისის დაცვა იმით, რაც არის. მიიღოს ტფილისში დამარცხებულ-გამოქცეულ ნაწილთა ნაშთები, მოაწესრიგოს ისინი და შემდეგ იმოქმედოს მდგომარეობის-და-მიხედვით. და ძალების გაძლიერების შესაბამისად, ცხადია, შეტევით. მთავარსარდლობის მიღებისას, მისი პირველი მოთხოვნებიან: „ეხლავე საერთო მობილიზაცია!“ ამ

მთავარი ზომების მიღების შემდეგ უდგება ტფილისის დაცვის მოწყობის საქმეს.

მისთვის ეს ადვილი საქმეა! ჯერ ისევ კავკასიის ფრონტის მთავარ შტაბის კაპიტანი, კვინიტაძე, 1914 წელსვე აწყობს იმავე ადგილას ტფილისის დასაცავ პოზიციებს თურქების გამორღვევის გამო.

დღითი-დღე მოდიან გვარდიისა და ჯარის ათასეულები. ბრძანებები აჩქარებული ტემპითი გამოდის. მტერი ვერ იყენებს ხელსაყრელ პირობებს. 18-ს დილას ტფილისის კედლებთან უკვე ძალებია ამართული. მტრის პირველ დასახვედრად ყველაფერი მზად არის.

არიან იქ, მარჯვნიდან მოყოლებული. გენერალი ანდრონიკაშვილი, კოჯორიდან კოჯორის ჩაყოლებით, თელეთის მონასტერთან აღნიშნულ ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე ჰყავს მას: სამხედრო სკოლა, მე-10-ე პოლკის ერთი ათასეული და მე-4-ე ქვ. ათასეულის ორი გუნდი მის მარცხნივ გენ. მაზნიაშვილი, თელეთის ტრიგონომეტრიულ პუნქტიდან ჯერ მტკვრამდე, შემდეგ ორხევამდე. მას ჰყავს: მე-9 ქვ. ათასეული, სადარაჯო ათასეული, სახალხო გვარდიის ორი ათასეული, ერთი ბატარეა, ჯავშნოსანი საავტომობილო გუნდი, ჯავშნიანი მატარებელი და სანაპირო-სადარაჯო ნაწილების 250 კცი.

ყველა ეს ძალები აღნიშნული სივრცის დასაფარავად იმდენად მცირე იყვნენ, რომ არც გენ. მაზნიაშვილს, არც გენ. ანდრონიკაშვილს მარჯაფაში არც ერთი ჯარისკაცი არ დარჩენიათ; რაც იყო, ისიც ძლივს ჰყოფნიდა, თხლად მოფანტული, წვრილ-წვრილი ერთეულებით, ერთი ხაზის შეყენებას.

სხვაგვარი მოწყობა და ძალთა ყაირათის მეთოდის გამოყენება აქ აღარ ვარგოდა; მტერს ისეთი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, რომ ამ შემთხვევაში შეეკვროდა სადმე დაგროვილ ჯარს. სხვა ნაწილებით კი იზოვიდა სიცალიერეს და ტფილისში შეიჭროდა. მოგერიებაში, ვიცით, რომ ხაზი ყველგან გასატეხია, ეს კი რაღაც სასწაულისა გამო, არც ერთხელ არსად არ მოხდა; მტერმა წვრილი ხაზიც ღრმად ვერსად შემოამტვრია.

18/19-ის ღამეს საქართველომ პირველი გამარჯვება იგემა. გამარჯვება გენ. მაზნიაშვილისა. ტფილისმა ამ დღეს საჩუქრად მიიღო 1.600 ბოლშევიკური ტყვე. გენ. მაზნიაშვილმა დევნა ვერ შესძლო, როგორც თვითონ ამბობს: „ჯარის ფიზიკური დაღლილობისა და რეზერვების უქონლობის გამო“.

აქ დამარცხებულ მტერს შეტევები აღარ გაუმეორებია. სამაგაე-  
როდ მთელი ძალებით გენ. ანდრონიკაშვილის ფრონტს მოაწვა. უკვე  
ბრძოლის პირველ დღეს იყო აქ მეტად მწვავე წუთები; ბოლშევიკებმა  
მოიტანეს მთელი ფრონტის სიგრძეზე მძლავრი იერიში. უკუ აგდეს მა-  
რჯვენა ფრთაზე მე-4 ათასეულის 2 ასეული, აიღეს კოჯორი. სიცალი-  
ერით დაეშვენ დაბლა და მთელ ანდრონიკაშვილის ფრონტსა და შტაბს  
გვერდსა და ზურგში მოექცენ. მდგომარეობა იყო უმწუო. გ. ანდრონი-  
კაშვილს არც ერთი ჯარისკაცი მარჩაფაში არ ჰყავდა. რჩებოდა ან  
ადგილზე გაჩერება და თავის შეკვლა. ან უკან დახევა. ამით მტრისათ-  
ვის ტფილისს იქით უკანასკნელი ჰორიზონტის დათმობა. ამ ორში გენ.  
ანდრონიკაშვილი უკანასკნელ გამოსავალზე შეჩერდა. კიდევ ვასცა  
ბრძანება უკან დახევის შესახებ. მაგრამ საკითხი გენ. ჩხეიძემ გამოას-  
წორა; მან ეს ბრძანება არ შეასრულა! მსხვერპლს არ დაერიდა! გამო-  
ნახა გამოსავალი დ ქართული ჯარის სახელი და ტფილისის ბედი გა-  
დაარჩინა!

მტერი, ხაზიდან გამონაწიწკნ მცირე ერთეულების უკუიერიშით  
კოჯორს მიეკვლიდა. მალე მოვიდა მაშველი გენ. კვინიტაძესაგან; ტფი-  
ლისიდან ავტომობილებით მიიზიდა მე-5 პოლკის ერთი ათასეული,  
თელეთის მონასტრის მხრიდან მოვიდა პირველი პოლკის 1 ათასეული  
და გვარდიის ათასეული. ფუნქულიორითა და მამადავითით ბებუთოვ-  
კიდან ეკლესია უზდოზე თითო ათასეული. ამ ნაწილებით გენ. ანდრო-  
ნიკაშვილმა 19-სა და 20-ის განმავლობაში დაიბრუნა კოჯორი და მა-  
რჯვენა ფრთით სდევნა მტერს ქოროღლის ციხემდე; თვით ანდრონი-  
კაშვილის კედაროზე იერიშებიც არ შეწყვეტილა. ბრძოლა იერიშე-  
ბით და კონტრ-იერიშებით განუწყვეტლივ ვრძელდებოდა 10 და 20-ში,  
დღისით და ღამით. იუნკრების გვერდით ლომებივით იბრძოდნენ ერთი  
კვირის წინ მოწვეული ახალგაზრდანი (რიცხვით 350. სამ გუნდათ მო-  
წყობილი); სკოლის გუნდში მყოფი მტრის ათასეული მოსპო გვარდი-  
ელებისა და მე-5 პოლკის შეტევამ. მე-10 ათასეულის დახმარებით ხელთ  
გდებულ იქმნა 4 ზარბაზანი და ყუმბარა-ვაზნებით დატვირთული ჯავ-  
შნიანი ავტომობილი.

ბოლოს, თებერვლის 21-ს, გენ. ანდრონიკაშვილის ფრონტზე ბრძო-  
ლები მინელდა; ბოლშევიკები ქართულ ხაზებს დაშორდნენ და გადაჯგუ-  
ფდნენ სოფელ კუმისის, ვაშლოვანის და ერთვისის ხაზზე.

კოჯორის დაბრუნების შემდეგ, სკოლის მარჯვენა ფრთაზე, ფრონტი დაიკავეს გვარდიელებმა და მე-5 პოლკის ათასეულმა.

მართალია, ანდრონიკაშვილის ფრონტზედაც, მაზნიაშვილის შემდეგ, მეორედ გავიმარჯვეთ, მაგრამ გამარჯვება დაჯდა ძვირად. ნაწილებმა დახოცილებითა და დაჭრილებით დაჰკარგეს 15%-მდე.

22 თებერვლის ღამემდი ამ ფრონტზედაც ჩამოვარდა სიმშვიდე.

21 თებერვალს, რაკი კახეთის დაჭერის ცნობები გამართლდა, და ტფილისს, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან დაფარვა დასჭირდა, მთავარსარდალმა შეჰქმნა ახალი ფრონტი გვარდიის ნაწილებისაგან, გენჯიჯიხიას უფროსობით: ეს ნაკვეთი იყო სადგურ ორხევიდან მოყოლებული სადგურ ვახიანამდე. რა ხდება ამ ფრონტზე, დაწვრილებით ვერ გამოარკვია, ხოლო, სჩანს, რომ ბოლშევიკები დაუინებით არ უტევენ, ამჯობინებენ გვერდების ძებნას და მარჯვნივ მოვლას. 24 თებერვლისათვის ჯიჯიხიას გვერდში გაჩენილ მტრის საფრთხის გამო იქმნება კიდევ ერთი ფრონტი, პოლკოვნიკ გედევანიშვილის უფროსობით — ლილოდან, კოლონია ოლგინსკამდე.

22 თებერვალს, გენ. ანდრონიკაშვილის აკლდება გვარდიელების ერთი გუნდი, რომელიც სრულიად უმიზეზოდ ღამით იპარება შინისაკენ, სამაგიეროდ 23-ს მოდის ჩრდილელის 4 ზარბაზნიანი ბატარეა და მახარაძის ორი ზარბაზანი.

ამნაირად, ბრძოლები, —ვამბობ მწვავე ბრძოლებზე — ტფილისთან დაიწყო 18-ში და გასტანა 22-მდე. ბოლშევიკები დამარცხებული არიან. ისინი ჰკარგავენ ტყვეებს და სამხედრო მასალას, წინ ვერსად იწევენ. გამარჯვება სრულია... და აქ უნებლიედ იბადება საკითხი — სად არის მიზეზი ბედის ასე უცაბედად შეტრიალებისა? იქნებ აქ ღვაწლი მიუძღოდეს გენერალ კვინიტაძის ავტორიტეტს და მისი დანიშვნით აწეულ სულს. მან ხომ როგორც შტაბის უფროსმა გამარჯვებით დაასრულა სომხებთან მარცხით დაწყებული ომი! მან მოიგო ახალციხის ოპერაციები, მან დააწყნარა ოსები, მან ჩააქრო აჯანყება ლავოდებში. არ ვიცი! ეს საკითხი ისტორიკოსისათვის დამიტოვებია, ჩვენ კი ვსთქვათ, რომ თებერვლის 22-დან გამარჯვება იმდენად დიდია, რომ თითქო შეიძლება დევნის მოწყობა. მაგრამ ჯარი ფიზიკურად მოქანცულია. მსხვერპლი ორივე მხრივ დიდი.

აზრი შეტევის შესახებ იმ მომენტში კი არსებობდა. გენ. ჩხეიძის მემუარებიდან ირკვევა, რომ მას ამ ხელსაყრელ მომენტისათვის მიუ-

თითებია გენ. კვინიტაძესათვის. უკანასკნელს ზბასუხნია — მეც ვხედავ ამას და ვფიქრობ ამაზე, ოღონდ ვუცდი ახალციხედან მე-11 და მე-12 ათასეულებსო. — უკვე ზემოდ-აღნიშნული სამობილოზაციო აპარატის მოუწყობლობის გამო. ათასეულები არსად არიან და მათ მოლოდინში ფრონტიც იყინება.

მაგრამ ბოლშევიკები თურმე არც ისე არიან დამარცხებული; ისინი ახალი იერიშისათვის ემზადებიან! ანდრონიკაშვილის ფრონტის წინ სპეციალურად როსტოვიდან ჩამოჰყავთ კურსანტები. და დგება 24 თებერვალი!

ბოლშევიკები ანახლებენ შეტევებს ჯერ არ ნახული სიმწვავეთა და გააფთრებით. იერიშები დილიდანვე მოაქვთ გენ. ანდრონიკაშვილის, გენ. მაზნიაშვილის და ნაშუადღევს სამი საათიდან გენ.ჯიჯიხიას ფრონტზე. განსაკუთრებული ცხარე ბრძოლებია გენ. ანდრონიკაშვილთან; მთელი დღის განმავლობაში ხელჩართულები არა სწყდება. ვაშა და ურა გამუდმებით მოისმის. „ერთი კვირის გაწვეულმა ჯარისკაცებმა უკვე ისწავლეს კონტრ-იერიშზე გადასვლა“!

მოგეხსენებათ, რომ 24 თებერვლის საღამოს მდგომარეობა შეიქმნა იმის საბაზად, რომ მთავარსარდალმა ტფილისის დატოვება ბრძანა. რომ ჩვენ შევსძლოთ მის მდგომარეობაში ჩავდგეთ და მიუდგომლად შევაფასოთ იმ დღის ფაქტები, საჭიროა განვიცადოთ ყველაფერი ის, რაც განიცადა მთავარსარდალმა იმ ცნობებისა და მდგომარეობის მიხედვით, რაკ მას ჰქონდა! საჭიროა ამ დღის მის ფეხის ნაბიჯებს წუთებით მივსდიოთ, რომ ვსთქვათ — უნდა დატოვებულიყო ტფილისი თუ არა? ეს მეტის მეტად ძნელი საქმეა საკმარ მასალათა უქონლობის გამო, მაგრამ ის, რაც აღსადგენია, შევეცდები აღვადგინო ზუსტად და დაწვრილებით. ვღებულობ, რომ გენ. კვინიტაძეს ბრძოლის მიმდინარეობაზე ცნობები ჰქონდა ზუსტი, გადაუჭარბებელი და გრძნობდა. სად, რა ხდებოდა. და რა ხდებოდა, ვნახოთ.

ზემოდ ვსთქვი, რომ განსაკუთრებული გააფთრებით ამ დღეს ბოლშევიკებმა იერიში გენ. ანდრონიკაშვილზე მოიტანეს.

„რადგან შევამჩნიე, რომ დღე განსაკუთრებით მწარე იქნებოდა, — ამბობს გენ. ჩხეიძე, — ვუბრძანე შავდიას იუნკრები კონტრ-იერიშისათვის ჰყოლოდა მზად ზარბაზნებთან“. და მართლაც, საბუთიანად, ვინაიდან ხშირი იყო აქა-იქ მომენტები, სადაც მათ წაუშველებლად ხაზი გატყდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც მტერი ზარბაზნებამდე იჭრე-

ბოდა და მეზარბაზნენი იერიშზე გადადიოდნენ. „თითქოს ყველაფერი და-  
კარგულია, ხაზი გაირღვა, ზარბაზნები მტრის ხელშია, მაგრამ არ უთ-  
ქვამთ ჯერ უკანასკნელი სიტყვა იუნკრებს“, — სწერს ამ მომენტზე გენ.  
ჩხეიძე. ან ქვემოთ: — „იერიშები მეორდება განუწყვეტლივ, მაგრამ  
იუნკრები ყველგან ასწრებენ დროზე და იბრუნებენ ბოლშევიკების მიერ  
დაკავებულ თხრილებს...“. გენ. ჩხეიძის ნაკვთზე ხშირია ორივე მხრივ  
არა მარტო ერთმანეთზე ხიშტით გადასვლა, თვით ტყვიამფრქვეველებ-  
ზედაც კი იერიშები! ველი გვამებით იფინება; 136 იუნკრიდან სალა-  
მომდე რიცხვი 36 კაცზე ჩამოდის; მზგავსი დანაკლისია გენ. ანდრონიკა-  
შვილის სხვა ნაწილებში. მაგრამ მტერს არც ერთი მტკაველი მიწა არ  
დაეთმო. ყველა საშინლად მოქანცულია, სკოლის ოფიცრებიდან უვნე-  
ბელია მხოლოდ მაჭავარიანი და ალავიძე. მტერი, მართალია, დალამე-  
ბისას გადაიძალა ს. ვაშლოვანსა, კუმისს და ერ თვისისაკენ; ანდრონიკა-  
შვილის ნარჩენთა სულისკვეთებაც, დაღლილობის მიუხედავად, დამა-  
კმაყოფილებელია. მაგრამ თუ ბოლშევიკები იერიშს იმავე სიმწვავეა  
გაიმეორებენ, ანდრონიკაშვილის ნაწილებმა ბევრი-ბევრი კიდევ ორი  
ან ერთი დღე გასძლონ. შემდეგ ანგარიშიდან ამოიშლებიან.

დანარჩენი ფრონტების შესახებ დეტალების მოყვანა არ შემიძლია;  
საერთოდ: მაზნიაშვილის ფრონტზედაც არის ამ დღეს მწვავე წუთები,  
ერთ ალაგას კიდევ შეიჭრა მტერი იქ, მაგრამ უკუიერიშით ხაზი აღდ-  
ნილ იქმნა; ამისათვის საჭირო შეიქმნა ანდრონიკაშვილს ორი ასეული  
წაეხმარება.

გენ. ჯიჯიხიაზე მთავარსარდალს ცნობა აქვს, რომ მტრის ტანკე-  
ბის გამოჩენის გამო, მთელი გვარდია ფრონტიდან მოიხსნა.

ამავე დღეს ცნობაა, რომ ბელიკლუჩიდან მანგლისზე მომავალი  
ცხემოსანი დივიზია დაეშვა დილომის მინდვრებზე და ემუქრება ტფი-  
ლისს სამხრეთიდან.

კახეთზე მომავალმა ცხენოსანმა დივიზიამ განაიარაღა თიანეთში  
მე-ნ პოლკი და შეუძლია ტფილისის ავჭალიდან ზურგში მოექცეს. ასეთ  
შემთხვევაში, თუ 25-ს ჯარებმა ისევ ადგილზე იბრძოლეს, — თუკა  
ბრძოლა კიდევ შესძლეს! — რკალი შეიძლება შეიკრას. გადარჩენილი  
ჯარისკაცები უკანასკნელ ბრძოლას ტფილისის კედლებში დაამთავრე-  
ბენ. იმ ძალებით, რომელიც ამ დღეს მთავარსარდალს ჰყავს (9.600 კა-  
ცი), რომელიც ამდენ ბრძოლებში ისე დაქანცული და დაზარალებუ-





ლია — ძნელია აწერილ პირობებში ბრძოლის მოგებაზე ფიქრი. 24-ის ბრძოლა ბაოლშევიკების სისუსტის ნიშანს არ იძლევა.

მაგრამ ვიტყვი, რომ, (ჯიჯიხიას გამოკლებით), არც ერთი მტკაველი მიწისა მტერს არ დაეუთმეთ; რომ ანდრონიკაშვილთან და მაზნი-აშვილთან სულისკვეთება საუცხოვოა; რომ 24-ში ბოლოს და ბოლოს ჩვენ გავიმარჯვეთ!

ღიას! 24-ის ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვეთ, ეს უნდა ვსცნათ და ამის ამბავი ჩვენი ისტორიის დამამშვენებელ ფურცლებად უნდა გავხადოთ. მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ 24-ში — შეიძლება ესევე განმეორებულიყო 25-საც, მაგრამ 26-სს ტფილისიდან გასავალი კარები ჩაიკეტებოდა და ტფილისით ყველაფერი გათავდებოდა. ამიტომ არის, რომ სწორედ 24 ღამეს დაისვა საკითხი: — ბრძოლა სიკვდილამდე ტფილისთან, თუ კიდევ ბრძოლები ტფილისს იქითაც. თუ ზო, მაშ, ამ მეორე ეგები-სობის ცხოვრებაში გასატარებლად 24-ის ღამე და 25-ის დღე რჩებოდა.

ბევრნაირად აესწონ-დაესწონე 25-ის მოქმედებისათვის საქირო გადაწყვეტილებანი იმ მდგომარეობის მიხედვით, როგორც აესწერე და როგორც ჩვენ ეს მაშინ ვიცოდით და უნდა გამოვტყდე, რომ მაშინ მეც სხვა გამოსავალს ვერ მოენახავდი. ვანა შეგვეძლო გვეთქვა, რომ ტფილისით საქართველო თავდება? ტფილისს იქით ხომ კიდევ არის მეორე საქართველო, ბუნებრივად უკედ გამაგრებული და უფრო რიცხოვანი? აქვს ვინმეს უფლება უარყოს საქართველოს ბედის იქით გადატანა, თუ კი 25 და 26-ის ბრძოლებში ალყა-შემორტყმულ ჯარის ნარჩენებს ამოწყვეტა მოეღოს. შეიძლება საქართველოს საკითხის გადაწყვეტა ორ საეჭვო დღეში მოთავსდეს, როდესაც შეძლება გვაქვს გამოვიყენოთ საიმედო კვირეები და თვეები?

ტფილისი დღევანდლამდე სტრატეგია იყო ჩვენთვის. ტფილისთან ოძის მოგებისაგან საბოლოო გამარჯვებას მოველოდით. დღეს აქ კამარჯვება კი არა, მარცხი მოგვეღოს; ამ დღიდან ტფილისი ჩვენთვის ფრაგმენტად — ტაქტიკად ხდება. დღეის იქით სტრატეგია გვეძახის ახალ თვეებისაკენ, ახალ დარაზმულობისაკენ, ახალ ბრძოლებისაკენ. ახალ იმედებისაკენ.

თუ ჩვენი შემძლეობა ფრაგმენტს შევალეთ, გათავდა სტრატეგია: ბოლოს, გეოგრაფიულ პუნქტს, სამხედრო მეცნიერების მნიშვნელობით, ბრძოლის წარმოებაზე ზეგავლენა არა აქვს. ბრძოლაში ვეძებთ ცოცხალ ძალებს მის სამტვრევად. ასეთ დასკვნამდე მივყევართ 24-ის მდგომარე-

ობის შეფასებას. და ასე ამბობენ სამხედრო წესები. და მაშ ტფილისის 24-ს დატოვების გადაწყვეტილება იმ პირობებში მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

პირობებს კი ვიმეორებ: —

ანდრონიკაშვილის ფრონტი სისხლისაგან დაცლილი და დაქანცული და შემცირებული.

მაზნიაშვილთან მწვავე წუთები.

ჯიჯიხია ფრონტიდან მოხსნილი.

ბოლშევიკები სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ტფილისის ზურგთან მომდგარნი!

საცაა რკალი შეიკვრის.

25-სვე მოსალოდნელია ბოლშევიკების ახალი შემოტევა.

ჯარების რიცხვი — 9.600.

და ამ პირობებში გაძღვების შესაძლებლობა, სულ დიდი 2-3 დღე. ისინი, ვინც ამ საკითხს სწყვეტდენ, ფიქრობდენ ბრძოლები ტფილისის იქით გადაეტანათ. და ასეც გადასწყდა. მაგრამ ყველაფერი ეს იყო მდგომარეობის აწონ-დაწონვისა და შეფასების შედეგი. მაგრამ მოვისმინოთ იმავე საკითხზე — თუ „როგორ გადასწყდა ტფილისის დატოვების საკითხი“ — რას უბასუხებს გენერალი კვინიტაძე: —

„ჩვენი სახელმწიფო, თავდაცვის ყოველგვარი გეგმის გარეშე ცხოვრობდა. სამხედრო უწყებას თავდაცვისათვის არავითარი ღირებულებები არ ეძლეოდა და უკანასკნელს ამით არ უსარგებლია.

1920 წელში, როდესაც სკოლის უფროსობიდან დავინიშნე მთავარ სარდლად, თავდაცვის საბჭოში აღმდარი საკითხი სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ. გეგმა მთავარ შტაბს არ აღმოაჩნდა და არც არავითარი ღირებულებები ომის წარმოებაზე.

მაშინ მე მოვიხსოვე ღირებულებები ბოლშევიკებთან ომისთვის მანც, რომლებიც უკვე გვიტევდენ.

მე დაესვი საკითხი: თავდება თუ არა სახელმწიფოს თავდაცვა დედა ქალაქის, ტფილისის დაკარგვით, თუ ტფილისის დაკარგვა არ ნიშნავს წინააღმდეგობის შეჩერებას და ომი გრძელდება?

თავდაცვის საბჭომ დაადგინა, რომ ტფილისის დაკარგვა არ ნიშნავს ომის დამთავრებას და ის გრძელდება ტფილისის დაკარგვის შემდეგაც. ანუ, რომ ტფილისისათვის ბრძოლა ეპიზოდური და ნაწილია ომისა.

მე მაშინვე, იმავე წელში ვაფრთხილებდი, რომ თავდაცვის გეგმა

უნდა დამუშავებულ იქმნას და როდესაც „ატსტავეკაში“ გავდიოდი, ვე-  
უბნებოდი ამაზე პირადათ ჟორდანისას.

1921 წელს, როდესაც მე დამიძახეს, შევეკითხე მთავრობასა და კე-  
ნერალურ შტაბს: თავდაცვის გეგმის შესახებ. გეგმა კიდევ არ აღმოჩ-  
და. მოვითხოვე დირექტივები და სამხედრო საბჭოს 1920 წლის დადგე-  
ნილება გამიმეორეს.

როდესაც ტფილისში თითქმის ალყა შემოგვარტყეს, გვარდიამ ნა-  
ვთლუდის ფრონტზე, კახეთის რკინის გზის რაიონებში, პანიკურად და-  
იხია უკან და ფრონტი გააღო. აგრეთვე ერთი სიმაღლეთაგანი სოღანლუ-  
დის ფრონტზე დაკარგულ იქმნა და დღესაც ვერ გამოირკვა, უკუიერი-  
შით დაიბრუნეს ის თუ არა; და სადგური ავჭალაც მტრის ხელში აღმოჩ-  
და; მაშინ მე ჩემს კაბინეტში მოვახსენე შექმნილ მდგომარეობაზე ნ.  
ჟორდანისას და მივუთითე ტფილისიდან დახვევის აუცილებლობაზე. ჟორ-  
დანისას საწინააღმდეგო არა უთქვამს რა და მე გავეცი დახვევის ბრძა-  
ნება“.

როგორც ამ დოკუმენტთან სიანს, ცნობები მდგომარეობის შესა-  
ხებ, გენ. კვინიტაძეს უფრო მწვავე ჰქონია, ვიდრე მე ზევით მოვიხსე-  
ნიე. მაგრამ უკვე იმ აწერილ, უფრო მსუბუქ მდგომარეობაშიაც ტფი-  
ლისიდან დახვევის ბრძანება ლოლიკური აღმოჩნდა.

და მოხდა, მოხდა ეს არა იმ აზრით, რომ ომი წავაგეთ, არამედ იმ  
რწმენით, რომ მას მოვიგებთ. მოვიგებთ ტფილისის დასავლეთით, სულ  
უარეს მდგომარეობაში, ლიხის მთებთან მაინც.

გენ. მაზნიაშვილი დღესაც არა სთანხმდება ტფილისის დატოვე-  
ბაზე, მაგრამ ისიც კი ამბობს: —

„მოწინააღმდეგეს რომ მეტი ენერგია და გაბედულება ჰქონოდა,  
24 თებერვალს საღამოს საქართველოს არმიას ტყვეთ ჩაიგდებდა, მა-  
გრამ მისი უმოქმედობის გამო, ჩვენ შეეძელით 26 თებერვალს მცხეთის  
ქვაბიდან გასვლა“.

და საინტერესოა — ვინ დადგებოდა მაშინ იმის თავდებად, რომ  
ბოლშევიკები ამ ენერგიას არ გამოიჩინდნენ?

მაშ, ტფილისთან ომი არ გათავდა; კიდევ რჩებოდა მისი მოგების  
იმედები და ამისათვის ისევ იმ ოთხი პირობიდან, თუ ერთი — სივრცე  
დაკარგეთ, დანარჩენი სამი ე. ი. ხალხი, მატერიალური საშუალება და  
სულიერი სიმაგრე მაინც იყო საჭირო.

მაგრამ ფიზიკურის მხრივ, მაზნიაშვილის სიტყვით, ტფილისს იქით,

მარტო მოგვატებია კიდევ ერთი, სახელდობრ, ახალციხის მე-11 ათა-  
სეული; ეს ის, ტაბახმელაზე 22 თებერვლისათვის რომ მოელოდენ და  
ისიდორე რამიშვილისმიერ მოკრებილი და საჯევახოში მიყვანილი მო-  
ხალისეები.

მასალის მხრივ თუ არ დავსუსტდით, არ ავიწიეთ. ბევრი ჩარჩა ტფი-  
ლისში; ზოგი დაატყვევეს გზა-და-გზა. ევროპიდანაც არაფერი მოგვმა-  
ტებია.

თუ სულიერმა მხარემ რამდენად აიწია, ამას თვალყური ვადევნოთ  
თვით ბრძოლის შემდეგ მსვლელობაში და ეხლა ვიკითხოთ: ვის ან რითი  
უნდა მოეგო ომი?

ვიდრე გადავიდოდე მოვლენათა შემდეგ მსვლელობის აწერაზე, უნ-  
და აღვნიშნო, რომ ტფილისის დატოვების გადაწყვეტილების მიღებისას,  
როგორც მთავარსარდალზე, ისე ჟორდანიასზე, ზეგავლენა უნდა მოეხდინა  
იმ გარემოებას, რომ ჯარების ტფილისში ჩაკეტვით, იმას გარდა რომ იქ  
ომის მოგება საეჭვო იყო, იკარგებოდა საშუალება გამოგვეყენებია მაგა-  
რი, საოპერაციო დასაყრდნობი, დასავლეთი საქართველო, ე. ი. იმერეთს  
ამასობაში დაიჭერდენ ის ძალები, რომლებიც მას, შავიზღვის პირით,  
ვლადიკავკასია, ზემო სვანეთიდან და ოსმალეთიდან აწვებოდენ.

ვნახოთ ბრძოლის შემდეგი მსვლელობა: —

ტფილისის მიდამოებშივე დამხვევ ჯარს დილომისა და ავჭალის მხა-  
რედან ეხახუნებოდენ წვრილ-წვრილი ცხენოსანი რაზმები. ესრივე მხრა-  
დან ტფილისის ზურგს მომდგარი ცხენ. დივიზიები იყვენ; 25 საღამომ-  
დე ჯარი მცხეთაში იყო. 26-დან ჯარმა განაგრძო უკან დახევა კავთის ხევ  
ახალქალაქსა და გორზე. გვარდიას უნდა ევლო მეორე ნაპირით, მუხო-  
ვანსა და ჭალით გორზე — ოღონდ არჩიეს ლიანდაგის პირის-პირ სვლა.

გორში საჭირო შეიქნა ჯარისა და გვარდიის ნაწილების მოწესრი-  
გება. გვარდიამ განაცხადა, რომ აქ მოწესრიგებას ვერ მოახერხებს და  
ითხოვა ხაშურში გაშვება. აქ მართლაც, გარდა მათისა, ვინც ფეხითა და  
მატარებელით გაპარვა მოასწრო, დანარჩენი აღდგენილ იქმნა.

ვინაიდან იმ დროს, ცნობებიდან ირკვეოდა, რომ მტერი აჩქარებით  
და უწესრიგოდ მოადგა ხაშურს, და ვინაიდან ნიადაგის პირობებაც  
ხელსაყრელი იყო, მთავარსარდალმა გადასწყვეტა 3 მარტისათვის იე-  
რიშზე გადასულიყო.

ამისათვის ცენტრში გვარდიელების საგრძნობი ძალა უნდა მდგა-

რიყო ადგილას. კონცენტრიული დაკვრა უნდა ეწარმოებინათ ფრთებს. მარჯვნიდან ჯარს და მარცხნიდან გენ. კონიაშვილის გვარდიას.

ლამის განმავლობაში ჯარები იერიშისათვის დაეწყვენ. მაგრამ, როგორც ამბობს გენ. მაზნიაშვილი, გვარდიელები ლამის ათ საათზე მოიხსნენ პოზიციებიდან. არავის არაფერი არ აცნობეს და დაბრუნდნენ სურამში. ამაზე ჯარს გათენებამდე არა სცოდნია რა. მტერს უსარგებლია სიცალიერით და ჯარს გვერდსა და ზურგში მოჰქცევია. ისეთი კრიტიკული მდგომარეობა შექმნილა, რომ, როგორც ამბობს პოლკ. ვაჩნაძე, აქ მისი პოლკი ძლივს გადარჩენილა მოსპობას ცხადია, ასეთ მდგომარეობაში შეტევის ოცნება გაჰქრა და გვარდიის „ვაჟკაცობის“ გამო, შეტევის ბრძანება დახვევისაზე შეიცვალა.

ჯარები გვარდიელებთან ერთად გადაჯგუფდნენ სურამისაკენ. გვარდიელები აქ მარცხენა ფრთაზე დადგნენ. მოგერებითი ომისათვის სურამზე პირობები საუცხოვო იყო, ოღონდ მოაწვენ ბოლშევიკები გვარდიას და გვარდიამ ჩვეულებისამებრ მათ ზურგი უჩვენა და უღელტეხილის მეორე მხარეზე დაეშვა. ჯარმა, გ. სუმბათაშვილის უფროსობით, მაშველი გაგზავნა. ამან მოასწრო მტრის შეჩერება, მაგრამ გვარდიელები სურამზე ველარაფერმა დააბრუნა. მტერი, გაძლიერებული ძალებით, ხელახლა მოაწვა სუმბათაშვილის მიერ სუსტად დანაჰქერ, გვარდიელებისაგან მოშიშვლებულ ნაკვთს და აიძულა დაეხია; ამნაირად, გვარდიელების „მამულიშვილური“ შეგნების გამო დავკარგეთ სურამიც და მის იქით ახალი ომის მოწყობის და წარმოების შესაძლებლობაც.

ამას შემდეგ დაიწყო უკანდახვევითი ომი, სადგურიდან სადგურამდე, როგორც ამბობს მაზნიაშვილი.

შემდეგ იყო ცნობა, რომ ართმელაძე ველარ უძლებს სოხუმიდან მოწოლილ მეცხრე ლაშქარს, და მტერი გადასჭრის ბათუმის რკინის გზას. მტრის შესაჩერებლად გაიგზავნა გენ. მაზნიაშვილი ჯარებით. მტერი შეკავებულ იქმნა. მაგრამ გათხელებულმა ჯარებმა ველარაფერი გამოასწორეს; ბათუმშიც ახალი მტერი — თურქები — გაჩნდნენ. ყველაფრის იმედი გადასწყდა და ვგონებ მთავრობა და ზოგი ჩვენგანი მასთან ერთად ევროპისაკენ წამოვიდა.

აღბად ჩვენთან მოდიოდა ის ახლად-ახალი 12 იტალიური ჰაერო-პლანი, რომელმაც, ტფილისიდან მოყოლებული, მატარებელით გვსდია და ზეთის უქონლობის გამო ვერც ერთხელ ვერ გაფრინდა...

ასეთი იყო ჩვენი ომის წარსული და როდესაც ადამიანი დაუფიქრდება, მონახავს იქ ბევრ საუცხოვო ოფიცერსაც, გმირულად მებრძოლ პიროვნებებს და ერთეულებსაც, შიგა და შიგ მოგებულ ლამაზ ბრძოლებსაც.

მაგრამ ომი წავაგეთ.

და როდესაც ომის შესწავლის შემდეგ, დაწვრილებითი და კრიტიკული ანალიზის მოხდენის შემდეგ, კითხვა დავსვი: — თუ რად წავაგეთ ჩვენ ომი? — სხვა პასუხი ვერ მოვნახე, გარდა იმისა, რომ ომი ჩვენ წავაგეთ ომის დაწყებამდე. წავაგეთ იგი სამზადისის ხანაში.

წავაგეთ იმიტომ, რომ ჯარის შექმნასა და მომზადებაზე არ ვიფიქრეთ. წავაგეთ იმ დღიდან, რა დღესაც ომის საჭიროებანი არ გავითვალისწინეთ და ომის მომარაგებაზე არ ვიზრუნეთ. წავაგეთ იმიტომ, რომ ხალხში პატრიოტულ შეგნებასა და მამულიშვილურ გრძნობათა აწევას ყურადღება არ მივაქციეთ. წავაგეთ მაშინ, როდესაც გენ. კვინიტაძის მოთხოვნილებას, — აზერბაიჯანიდან ბოლშევიკების გარეკის შესახებ 1920 წელში, — ანგარიში არ გავუწიეთ და ფრონტების შიგნითა მოქმედებისათვის სარბიელი არ გავიხსენით.

ეს უკანასკნელი მაინც რო მოგვემოქმედნა, ხომ სივრცის სიფართოე ძალთა ყიირათის საშუალებას მოგვცემდა. ხომ მტერი ასე მოუშადადებელს თავს ვედარ წამოგვადგეობდა! ხომ მობილიზაციას მოვასწრებდით! იქნებ ხალხში სულსაც გაეღვიჩა! იქნებ მასალისათვის მიგვეგნო ან შემოგვეტანა! იქნებ ამ შემთხვევაშა სომხებსა და თათრებს ჩვენთან ერთად ემოქმედნათ! ჩვენ შიხლინსკისა და თურქების თამაში ვერ გავიგეთ. ჩვენა ვსთქვით: — თუ თვით აზერბაიჯანელებს შეჰყავთ უცხო ძალები თავის ქვეყანაში, მაშინ ამ ხალხის წინააღმდეგ გამოსვლა იქნებოდა მისი უფლებების შელახვა!

ჩვენ ვაგებდით ომს ნელ-ნელა, წვრილ-წვრილად. ხურდათ ვაგებდით საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ დღეს, ყოველ შემდეგ დღეს და უკანასკნელ დღეს...

1921 წლის ომი მხოლოდ სულთმობრძავის აღსასრულის დღე იყო. მაგრამ რა ვისწავლოთ ამ წაგებული ომიდან?

უპირველესად ყოვლისა ამ ჩვენი მაგალითით უნდა დავრწმუნდეთ, რომ თუ ერს აქვს თავისუფალი არსებობის და ცხოვრების სურვილი, მან უნდა შესძლოს, ყოველგვარი დაბრკოლებისა და ვინმეს წინააღმდეგობის მიუხედევადა, ეს სურვილი ფაქტად აქციოს. მუდამ ასე ყოფილა და

დღესაც ძალაშია, რომ ამის განხორციელების საუკეთესო გარანტია არის არა პოლიტიკური ენაწყლიანობა და ტყბილი სიტყვებით აჭრულებული ქაღალდები, არამედ ძალა; ძალა დარაზმული, მომზადებული და შეიარაღებული; რომელეებმა ათასი წლებით გაუსწრეს ამ მხრივ ჩვენ გონება-მახვილობას; ცნობილია მათი ანდაზად ქცეული სიბრძნე — ზავის მსურველი ომისათვის უნდა ემზადოსო; ამ მცნების შეგნება ერთნაირად სავალდებულოა როგორც უბრალო მომაკვდავისათვის, ისე დღევანდელი თუ “მომავალი”, მინისტრებისათვის, თუ კი სურთ მათ ორ კვირაში ხელახლა არ გამოაბრძანონ საქართველოდან.

ეს სამხედრო მომზადების საკითხი ერთნაირად საზრუნავი და საფიქრებელი უნდა გახდეს (ისე როგორც ეს განათლებულ ქვეყნებშია) ყველასათვის, იმის განურჩევლად: სოციალდემოკრატია ის, თეთრგეორგიელი, ფედერალისტი თუ ეროვნულ-დემოკრატია. სამხედრო სამზადისის და ჯარზე ზრუნვის საკითხი უნდა მალა დადგეს ყოველგვარ ვიწრო პარტიულ თუ ჯგუფურ მისწრაფებაზე. ერის მხედრული სიძლიერე — ერის, მთელი ერის თავდაცვის საშუალებაა და როგორც ასეთის, მის ირგვლივ ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ მის შემასუსტებელ ან ყალბად გაგებულ შეხედულებათ. ჯარი არის ძალა ერისავე მიერ საკუთარი თავდაცვისათვის გამოყოფილი. ჯარა თავისი სისხლით სწყვეტავს: იარსებოს და იხაროს ერმა თუ საჯიჯგნად მისცეს თავი ვინმეს? თუ ერს არსებობის სურვილი აქვს, უნდა იზრუნოს თავის ჯარზე და მოუშალოს მას ყველაფერი, რაც მას ომის წარმოებისა და მოგებისათვის სჭირია.

რამდენათაც ვხედავთ, ამ, ქართველების გარდა, ყველასათვის ცხად აქსიომას, ჩვენ ვერ შევიგნებთ, ვიდრე უკანასკნელი ქართველი სულს არ ამოუშვებს.

მაგრამ თუ ბედმა შემოგვხვდა წყალობის თვალით და ამ აშკარა სიმართლის გაგებამდე მივედით, მაშინ ჯარის ანუ ერის დარაზმულობის საჭიროების ცნობასთან, უნდა დავსვათ ის საკითხებიც, რომელთაც ზევით დავარქვით: — „აუცილებელი პირობანი ომის გამარჯვებულად წარმოებისათვის“. ესე იგი: —

1). გამონახვა და ცნობრებაში გატარება ჯარის ორგანიზაციის საუკეთესო ფორმისა ჩვენი პირობებისათვის (აქ ვგულისხმობ იმ აპარატის მოწყობასა და ამუშავებას, რომელიც ეწევა ჯარის ხელმძღვანელობას, მშვიდობიანი დროის მუშაობას, ე. ი. შტაბები).

2). გამოზომვა, გამოყენება და მოწესრიგება მაქსიმუმამდე ყველა იმ საშუალებისა, რომელიც ჯარის საომარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრივ ჩვენ შეგვეძლება.

3). ბრძოლისათვის ხელსაყრელი სივრცის პირობების შექმნა და ამისათვის საჭირო ანალიზის გაკეთება.

4). და ბოლოს: ჯარისა და ხალხის სულიერი მომზადების საკითხი.

ამ ოთხი პირობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, როგორც მოხსენების დასაწყისშივე აღვნიშნე, გამარჯვების სრული გარანტიაა. მაგრამ ამ ოთხ ფრაზაში გამოთქმული მდაბიო და ადვილად გასაგები აზრები როგანხორციელდენ და მართლაც გახდეს საფუძვლად მომავალი ჩვენი გამარჯვებებისათვის და ქართველი ხალხისთვის ახალ სიმწარეთა ასაცდენად, არც ერთი მათგანი არ შეგვიძლია დავამყაროთ ექსპრომტზე და უბრალოდ თითის გაქნევაზე; — ყოველივე მათგანს სჭირდება ცალკე შესწავლა, ღრმა განხილვა და დამუშავება. ყოველივე მათგანი ჩვენთვის და ყველასათვისაც მთელი მეცნიერება და მრავალი, ბეჯითი შრომის საგანია.

გვეპოებოდეს; ვმუშაობთ და ვიმუშავებთ, სიძნელეთა მიუხედავად და იმის მიუხედავადაც, რომ ჩვენი ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელები

ჩვენ, მხედრობა არა ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ დასაკარგი დრო მოდა პარტიები დღემდე ამის საჭიროებას უარყოფენ. პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ, რომ მხედრული საქმე მეტად რთულად ებმის პოლიტიკურ საკითხებს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხშირად სამსჯავროს წინაშე დაყენებული საკითხი: — „რად წააგე ომი?“, ხშირადვე გადაიქცევა ხოლმე კითხვად — „რატომ არ მოუშხადე ჯარს ყველაფერი გამარჯვებისათვის?“

თუ რა კავშირია მხედრულ და პოლიტიკურ საქმიანობის შორის, მოვიყვან ერთ მაგალითს: — საკითხი ასეთია: — „როგორი იყოს მომავალში ქართული ჯარი“? საქართველო იქნება თავის საზღვრებში მარტოკა, თუ ის შევა კონფედერაციაში ან აქონიებს მჭიდრო კავშირს კავკასიის სხვა ერებთან? ამ კითხვებზე დამოკიდებულია პირველი კითხვა. თუ პირველ კითხვაზე მხედრის პასუხი გნებავთ, ჯერ პოლიტიკის მწარმოებლებმა უნდა უპასუხონ მეორე კითხვაზე.

მართალია, ჩვენს ემიგრაციაში შეიქმნა პირობები, რომ უჯაროდაც შესაძლებელია ერის მესვეურობის თამაში, მაგრამ თუ მართლა მესვეურობის მკვიდრი შენარჩუნება გვანტერესებს საქართველოშიაც, თუ



თვით საქართველოს ბედზე მართლა ვფიქრობთ და სახელი — მესვეური — მარტო სახელად არა გვაქვს, მაშინ უნდა ვიზრუნოთ ამ ძალის შექმნაზე, მის შესახებ დღეიდანვე მუშაობაზე და ამისათვის დღესვე საჭირო აპარატის მოწყობაზე, რომ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მხედრებთან თანამუშაობით, ერთი ერთმანეთის დახმარებითა და ხელის შეწყობით ერთად ჩაყარონ დღეიდანვე მკვიდრი საფუძველი მომავალი საქართველოს სიმძლავრისა და მარადისობის.

ჩვენ მხედრები ვუცდით ამას, მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას, მაგრამ ლოდინი რომ არ გაგვიგრძელდეს, ვმუშაობთ დღესვე და ჩვენ სამშობლოსათვის გავაკეთებთ იმ მცირეს მაინც, რაც ასეთ პირობებში შეგვიძლია.

ლევტ. ნ. მათიკაშვილი

### ჩვენი კატასტროფის შესახებ

ნაციონალური ოსმალეთის ბელადმა, როდესაც გაიგო ტფილისის დაცემისა და დედაქალაქის დასაცავად გამოყვანილი ქართული ჯარის რიცხვის შესახებ, მკაცრად მოგვიხსენია. — საქართველომ დაიმსახურა თავისი ზვედრი, — სთქვა ქემალმა, — დიდი ომის დროს მან შესძლო გამოეყვანა ტახტის დასაცავად 200.000 ჯარისკაცი! სამუდამო სირცხვილად დარჩება ქართველი ხალხის ისტორიაში თებერვლის კატასტროფა, როდესაც თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად მან გამოიყვანა მხოლოდ 9.000 მეგრძოლი! —

ეს არის მკაცრი, მაგრამ მართალი სიტყვა — მკაცრი განაჩენი...

სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენენ: — ჯარი — მისი სუვერენობის დასაცავად; პოლიცია — შინაწყობის დასაცავად და ფინანსები — ამ ორგანიზაციათა მოსაწყობად. შეეჩერდებით ჯარზე და დავსვამთ რა კითხვას. — ყავდა თუ არა საქართველოს ჯარი? — სალი მიუდგომელი კრიტიკით ვუპასუხებთ ამ კითხვაზე, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მივწვდეთ, შემოვფარგლოთ და განვსაზღვროთ ქვეშარიტება.

არც პოლიტიკაში და არც სამხედრო დარგში ჩვენ არა გვქონდა სახელმწიფოებრივი გამოცდილება: ამის მიზეზი იყო ჩვენი ასწლიანი მონობა; როგორც პოლიტიკაში, ისე სამხედრო საქმეში ჩვენ მოექმედებდით შინამრეწველებივით, ვინაიდან სამი წლის დამოუკიდებლობის განმავლობაში არსად იყო საღი ეროვნული აზრი და გადაწყვეტილება.

არსებობს შეცდომათა ორი კატეგორია, რომელიც ჩვენ კატასტროფას წინ უსწრებს; პირველი არის **საერთო ხასიათის მიზეზები**, რომელთაც დამოკიდებული არიან; სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილება, მმართველ პირების სახელმწიფოებრივი გამოუცდელობა, საზოგადოებრივი ინდიფერენტობა და უინიციატივობა. მაგრამ აღნუსხულ მიზეზებს, ამ წერილში, რომელიც განკუთვნილია სამხედრო ეურნალისათვის, გვერდს ავუვლი სიჩუმით. მეორე არის, სამხედრო თვალსაზრისით, **დამოუკიდებელი მიზეზები**, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლობის დაკარგვის დროს; აქ შევჩერდები და გავაუშუქებ რა ამ მიზეზებს, ამით გამოვარკვევ ზემო-დასმულ საკითხს — ჰყავდა თუ არა საქართველოს ჯარი? —

თებერვლის კატასტროფა სამი შეცდომის შედეგია, რომელიც დაშვებული იყო ჩვენი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელების მიერ პირველ-ხარისხიდან სახელმწიფოებრივ საკითხების გადაწყვეტის დროს.

პირველი შეცდომა მდებარეობს პირველი მთავარსარდლის არჩევაში;

მეორე შეცდომა იყო დემობილიზაციის გამოცხადება იმ დროს, როცა მტერი ჩვენს თვალ-წინ დღე და ღამე აგროვებდა ძალებს და ძლიერდებოდა;

მესამე შეცდომა — რომ ჩვენ არ გვყავდა საარმიო ცხენოსანი ჯარი, როგორც სტრატეგიული მაშველი, ე. ი. შეცდომა, რომელიც დაშვებულ იყო ჯარის ორგანიზაციის დროს, ვინაიდან ჯარი ვერ იტანს ვერავითარ იმპროვიზაციებს და უნდა ეწყობოდეს მეცნიერულ საფუძველზე და ეყრდნობოდეს ხალხის ხასიათზე, კეოგრაფიაზე, ისტორიაზე, ეკონომიკაზე, მეზობელ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის მხედველობაში მიღებით.

გავზინჯოთ თვითული ცალკე, ზემოდ-დასახელებული შეცდომები; ავიღოთ პირველი, ე. ი. მთავარსარდლის პიროვნების ზეგავლენა სამხედრო ოპერაციების მსვლელობაზე.

ყოველი სახელმწიფო, ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს, არჩევს და გამზადებული ჰყავს ის პირი, რომელმაც უნდა მიიღოს სარულობა ომის შემთხვევაში, და აგრეთვე არჩევს საარმიო დიდი ერთეულების უფროსებს. სამხედრო მინისტრთან ერთად გენერალური შტაბი გულისყურით ირკვევს ხასიათსა და მომზადებას იმ პირთა, რომელნიც განკუთვნილნი არიან უმაღლესი სამსახურისათვის ომის დროს. სწორ და შეუმცდარ არჩევას ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა, ვინაიდან მთავარსარდლის პიროვნებაზე და ერთეულების უფროსებზე არის დამოკიდებული ომის ბედი. როდესაც, მაგალითად, რუსეთის ელჩმა აუწყალორდ კიტჩენერს რუსეთში მთავარსარდლის შეცვლის შესახებ, ინგლისის სამხედრო მინისტრი გაკვირვებული დარჩა და განაცხადა, რომ სჩანს პოლიტიკური წყობილება რუსეთში ისე მაგრად სდგას, რომ შეუძლია აიტანოს თავისი მთავარსარდლის ასე ჩქარა შეცვლა; ინგლისი, — დაუმატა კიტჩენერმა, — ნებას ვერ მისცემს თავის თავს ასეთი რამე ჩაიდინოსო.

შევჩერდეთ ჩვენი პირველი მთავარსარდალის გენერ. ოდიშელიძის პიროვნებაზე.

თეორიული მომზადების და გამოცდილების მიუხედავად გენ. ოდიშელიძე არ იყო ის პიროვნება, რომლისთვისაც ხალხს შეეძლო ჩაებარება თავისი ბედი; სამსახურის მიხედვით იგი მუდამ საზღვარგარედი იმყოფებოდა, სადაც ჩვენს დელეგაციებში შეუდარებელი იყო, როგორც სამხედრო მრჩეველი. ამ პირობათა მიხედვით, ის არ იცნობდა საქართველოში უფროსების შემადგენლობას და ჯარის ნაწილებს; არ იყო პოპულიარული; თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ ჩვენ გენერალურ შტაბს, აშკარა ვახდებთ, რომ ამ პირობებში ქართულ ჯარს გამარჯვებაზე ფიქრი არ შეეძლო.

გენერალური შტაბის მუშაობა არის უდიდესად მნიშვნელოვანა და საპასუხისმგებლო მშვიდობიანობის დროს. ქართულ გენერალურ შტაბს არ აღმოაჩნდა ტფილისის აქეთ მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად შემუშავებული გეგმა.

და აი, იმ დროს, როდესაც ჩვენ საზღვრებთან, მტერი აგროვებდა ძალებს საქართველოზე დასარტყამად, ამ მომენტში ჩვენმა პოლიტიკოსებმა გადასწყვიტეს საკუთარი ძალების დემობილიზაცია; ეს სახელმწიფო კანონის ძალით ბრალსადები გადაწყვეტილება დაამტკიცეს თა-

ვისი სიჩუმით ქართული ჯარის მთავარსარდალმა და გენერალურმა შტაბმა.

ამგვარად, ეს ორი შეცდომა: — უვარგისი მთავარსარდალის არ-ჩევა და გაუმართლებლად ოდროოდ დემობილიზაციის გამოცხადება — შეიქმნა ჩვენი კატასტროფის მიზეზი.

მესამე შეცდომა დაშვებული იყო ჯარის რეორგანიზაციის დროს. ცნობილია, რომ ჩვენ არა გვყავდა საარმიო ცხენოსანი ჯარი.

ტფილისის დაცემის შემდეგ, სოციალდემოკრატების ერთი ჯგუფი, ყოფილი სამხედრო მინისტრის გრ. გიორგაძის მეთაურობით, თავის გაზეთ „სხივ“-ში, ოკუპანტების დასტურით, ვრცელ წერილში შეეხო ჩვენთვის მტკივნეულ საკითხს: — თუ ინტრიგებმა როგორ მოსპეს ქართული ჯარის უძველესი ნაწილი — საცხენოსნო ბატარეა. მე მივიღე წინადადება, რომ უფრო დაწვრილებით განმეხილა ხსენებული გაზეთის ფურცლებზე ეს საკითხი, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, ამ წინადადებაზე არ დავთანხმდი, ხოლო სამხედრო ჟურნალის ფურცლებზე მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს გავაშუქო ეს საკითხი, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევ.

რატომ მოხდა, რომ ქართული ჯარი, რომელმაც დაამარცხა რუსები ტაქტიკურად გენ. კვინტაძის მეთაურობით სოღანლულთან და ტაბახმელაზე, ვერ მივიდა სრულ სტრატეგიულ გამარჯვებამდე? ესე იგი, ვერ გაანადგურა რუსები?

რატომ მოხდა, რომ მიუხედავად გამარჯვებისა, ჯარი იძულებული შეიქმნა დაეტოვებია დედა-ქალაქი?

ამ გულის-დამწუხრავ კითხვაზე საჭიროა პასუხის გაცემა: პასუხი კი უნდა მოიძებნოს ჩვენი ჯარის ორგანიზაციაში და სახელდობრ, ჯარის რეორგანიზაციის დროს დაშვებულ შეცდომაში, როდესაც გაუქმებულ იქმნა ცხენოსანი ჯარი, — და ამაში უპირველესად, ბრალი მიუძღვით ჩვენ გენერლებს.

ცნობილია, რომ ჯარის რეორგანიზაცია გადაწყდა 1919 წელს, მარტში და უნდა გატარებულყო ამავე წლის აგვისტოში. აღნიშნული წლის დამდეგს მთავრობამ სთხოვა ჩვენ გამოჩენილ გენერლებს დაემუშავენათ და წარედგინათ პროექტები ჯარის ორგანიზაციის შესახებ. წარდგენილ პროექტებში ჩვენი გენერლები, ეყრდნობოდნენ რა დიდი ომის მაგალითებზე და გამოცდილებაზე; სრულიად უნიადაგოდ, უნაყოფოდ და უმიზნოდ სთვლიდნენ საარმიო ცხენოსანი ჯარის დანი-

შეუღებას: მისი არსებობა მიაჩნდათ ზედმეტ მორთულობად და მისი შენახვა სიგიჟედ. ამგვარად, მოხსნილ იქმნა საარმიო ცხენოსანი ჯარი და ჩემი საცხენოსნო მთამეხები (სამთო ზარბაზნები) ასეთ პირობებში როგორც უსარგებლო დაქვეითებულ იქმნა.

გენერალური შტაბის ამ ოფიცერთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მთელი ომი კავკასიის ფრონტზე გაატარეს და არ შეიძლება მათ არ სცოდნოდათ, თუ როგორ სუსტდებოდა და იშლებოდა თურქების სარდლობის მიერ ნიჭიერად მოფიქრებული ოპერაციები სწორედ იმიტომ, რომ მათ არ გააჩნდათ ცხენოსანი ჯარი, რომელიც რუსებს გაცილებით მეტი ჰყავდათ ოსმალეებზე. ავიღოთ როგორც მაგალითი, — ხალი ფაშას ოპერაცია ვანთან 1915 წ.

ავგისტოს დამდეგს ხალი ფაშა ამარცხებს გენ. ოგანოვსკის კორპუსს კოპთან და მელორზგეთთან და ერთი მაგარი დარტყმით გადენის რუსებს ვანის იქით; რუსების კატასტროფამდე ერთი ნაბიჯი და რჩება; როგორც ამ ამბების მონაწილე, მახსოვს სურათი: — ვანში დატოვებულია უთვალავი სამხედრო ქონება; რუსები შველიან თავს, მობიან თავრიზისაკენ; და აი, ხდება სასწაული: გენ. ბარათოვის ცხენოსანი ჯარი გამოჩნდება ვლაშკერის ტრიალ ადგილზე და ემუქრება თურქების ძლევამოსილი ჯარის ზურგის გზებს; და კატასტროფა თავიდან აცილებულია.

თურქებს რომ ცხენოსანი ჯარი ყოლოდათ, ხალიფაშა დაიკავებდა კავოზმანს, საიდანაც ადვილად მიიღწევდა ალექსანდროპოლს და ერევანამდე და ამგვარად, დაანგრევდა მთელ კავკასიის ფრონტს.

მეორე მაგალითი: —

იგივე ხალი ფაშა დაამარცხებს რუსებს ხანიკენთან 1916 წელს, ორი კვირის განმავლობაში გაივლის 400 კილომეტრს და დენის რუსებს ხამოდანს იქით, მაგრამ არ შეუძლია გადაყაროს ისინი კასპიის ზღვაში და ამით ხელთ იგდოს სრული სტრატეგიული გამარჯვება, ვინაიდან მას არა ჰყავს ცხენოსანი ჯარი.

ოსმალეების ნაციონალისტებმა, ჯარის შექმნის დროს, მხედველობაში მიიღეს ეს მაგალითები და ანგარიში გაუწიეს წარსულის გაკვეთილებს. თავის არმიაში მათ შეჰქმნეს შესანიშნავი ცხენოსანი ჯარი, რომლის წყალობით შეინარჩუნეს თავისუფლება ზაკარიასთან (სოფელია). ტენიკურად კარგად მოწყობილი ბერძნების ჯარი სრულიად თავისი სარდლობითურთ დატყვევებული იქმნა მას შემდეგ, რაც ოსმალე-

ბის ცხენოსანი ჯარი ერთი გაშლილი მანიოვრით გამოვიდა ფრთაზე, შემოვიდა ზურგში და გადააყარა ბერძნების ფრონტი.

ევროპის ომით გატაცებულმა ქართული ჯარის ავტორებმა დაივიწყეს ეს მაგალითები; ჩვენი ჯარის შექმნის დროს მხედველობაში არ მიიღეს არც ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა, არც კავკასიის ფრონტის გაკვეთილები. არც ჩვენი ტექნიკური ჩამორჩენილობა, არც ჩვენი გზების ცუდი მდგომარეობა და შექმნეს ჯარი, რომელსაც არა ჰქონდა საკუთარი თვალები — ცხენოსანი ჯარი.

იმ დროს მე ვიმყოფებოდი ტფილისში და შეძლება მქონდა გაცნობილი ქართული ჯარის პროექტებს, გარდა გენ. კვინიტაძის პროექტისა, რომელსაც ახალციხედან ელოდენ.. როგორც ჩვენი ჯარის ორგანიზაციისა და წარმოებულ ყველა ბრძოლების მონაწილეს, არ შემიძლო არ აღმენიშნა ამ პროექტების ზემოდ - დასახელებული შეცდომა. დამფუძნებელ კრებასთან არსებულ სამხედრო კომისიის თავჯდომარის სახელზე მიცემულ პატაკში მე ვამბობდი იმ საშიშროებაზე, რომელშიც ჩავარდებოდა ჩვენი ქვეყანა, თუ არ დაარსდებოდა ცხენოსანი ჯარი; აღნიშნავდი ტფილისის დაუფარავ ადგილს ვახიანის მხრივ და ქართული ჯარის აუცილებელ დაღუპვას იმ შემთხვევაში, თუ მტერა ცხენოსანი ჯარით გამოჩნდებოდა ამ მიმართულებით; ამ პატაკის ასლი დღეს ინახება სამქობლოში საიმედო ადგილას. მოვახერგე და მიმიღონო რამიშვილმა. მან ჩემი გამოსვლა „ბავშურ გარობად“ ჩასთვალა, და წინდაწინვე აშკარა იყო, რომ მე თუ მომისმინეს — ცივად მიმიღეს, რის შემდეგ დამრჩენოდა მხოლოდ დასვენებაში გავსულიყავი, რაც შევასრულე.

ამის შემდეგ ვეუბნებოდი ჩემს მეგობრებს: ვალიკო ჯუღელს და გოგი ხიმშიაშვილს, რომ სახალხო გვარდიასთან შეექმნათ საარმიო ცხენოსანი ჯარი, მაგრამ მიპასუხეს, რომ სასურველი არ იყო სამხედრო სამინისტროსთან ისედაც დაჭიმული მდგომარეობის გამწვავება.

სამხედრო საბჭოში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი, რომელიც ამტკიცებდა გენერლების პროექტის შეცდომას და იცავდა ცხენოსანი ჯარის არსებობის აუცილებლობას; ეს პიროვნება იყო ... რუსი ეროვნებით, ცხენოსანი დარგის ოფიცერი, პოლკოვნიკი ვორონოვიჩი, დღეს ემიგრანტი, ცოცხალი მოწმე ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტების.

ამგვარად, მოხსნილ იქმნა ცხენოსანი ჯარი. ეს იყო შეცდომა, რომელსაც თავისი შედეგი ჰქონდა თებერვალში.

მე ვამტკიცებ: სოღანლულთან გენ. კვინიტაძეს რომ ჰყოლოდა ერთი ცხენოსანი დივიზია ენერგიული უფროსის მეთაურობით და ორი საცხენოსნო ბატარეა, რუსების განადგურება იქნებოდა სრული. როდესაც ჩვენმა ქვეითი ჯარმა და ბრწყინვალე არტილერიამ უკუაგდო რუსები, ამ მომენტში რომ ეს ცხენოსანი ჯარი გაჩენილიყო შულავერის მიმართულებით, მარტო თავისი გამოჩენით შეიტანდა არევიდან მტრის ბანაკში და თავზარს დასცემდა მათ: სამშობლო თავიდან აიცილებდა დიდ ისტორიულ უბედურებას...

აღვადგინოთ თებერვლის სურათი. ---

რუსები მოადგენ ტფილისს. გენ. ოდიშელიძე გადაყენებულ იქმნა და მთავარსარდალად დაინიშნა ჯარში პოპულიარული გენერალი კვინიტაძე. უშიშრად გამოვიდა რა ტფილისის წინ, გენ. კვინიტაძემ სასტიკად დაამარცხა რუსები სოღანლულთან და ტაბახმელაზე, მაგრამ მას არ შეეძლო დაძრულიყო ადგილიდან, ვინაიდან მტერზე გაცილებით მცირე-რიცხოვან ქართულ ჯარს ეკავა შესანიშნავად გამაგრებული პოზიციები და მათი დატოვებით ის კარგავდა უპირატესობას. სრული გამარჯვების ხელთგდება კი მან ვერ შესძლო, ვინაიდან არა ჰყავდა ცხენოსანი ჯარი.

იმ შემთხვევაში, რომ გენ. კვინიტაძეს ჰყოლოდა ერთი ცხენოსანი დივიზია, ის დასძრავდა მას შულავერისაკენ ე. ი. მოწინააღმდეგეს ფრთაზე და უკან, მტრის ზურგის ასანგრევად, სადაც უეჭველია, ქართული ცხენოსანი ჯარი შულავერთან მარტო თავისი გამოჩენით, შეიტანდა შიშის ზარს და სიკვდილს მტრის რიგებში. მაგრამ... მოხდა წინაუკმოდ.

როდესაც გენ. ჯიჯიხიას შტაბმა გამოგზავნა ცნობა ჟლობას ცხენოსანი ჯარის ვაზიანის მხრივ მოძრაობის შესახებ, მთავარსარდალის შტაბი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა; გამარჯვებული ერთბაშად დამარცხებულად ხდებოდა!

ღიან, ძვირად ღირს ცხენოსანი ჯარის შენახვა მშვიდობიანობის დროს, მაგრამ ის სინიღისიერად და ნაღდათ იხდის ვალს, როდესაც ერთი გაშლილი მანიოვრით გადააყირავებს მოწინააღმდეგის ფრონტს და სწყვეტს ბრძოლათა ბედს!!

გამოირკვა, რომ ჟლობა მოძრაობდა მცხეთაზე. რომ რუსის სარდლობამ ამოცანა ნიჭიერად ახსნა და გადასჭრა, ეს სიმართლე უნდა ითქვას და მას მიეზღოს კუთვნილი. რუსების ცხენოსანი ჯარი, ერთაზე

და ზურგში მოქმედებით უკანდასახვე გზებს უჭრიდენ ქართულ ჯარს და ანგრევდენ მთელ ჩვენ ფრონტს; ქართულ ჯარი ჩავარდებოდა ტყვედ იმ შემთხვევაში, რომ გვარდიის პოლკის ორ ესკადრონს არ დაეწყო შეტევა რუსის ცხენოსნებზე. იყო ხუთი საათი. საღამო. 24 თებერვალი, როდესაც ამ შეტევის დროს ჩვენ დავეწიეთ რუსის ცხენოსანი ჯარის კუდს, ნორიასთან, ავჭალიდან რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე, და მივიტანეთ მასზე იერიში. აქ ჟღობამ დაუშვა დიდი შეცდომა. მან გამოგზავნა მისაშველებლად ცხენოსნების მთელი მასა და ამით შეაჩერა თავისი ძლევამოსილი მოძრაობა მცხეთის მიმართულებით; სჩანს, მას ეშინოდა ყირიმის ეპიზოდის გამეორების, როდესაც მისი კორპუსი მოსპობილ იქმნა ვრანგელის ცხენოსნებით; ამ სოფელთან ის შეჩერდა დილამდე უნაყოფოდ და ამით საშუალება მისცა ქართულ ჯარს თავისუფლად გაეარა მცხეთაზე. რუსების სარდლობის გეგმა ჩაიფუშა გაბედული იერიშით, რომელიც წარმოებულ იქმნა მთელი რაზმის თვალ-წინ, და ჯარი ვადაჩა ტყვეობას.

ჟღობას მაგალითზე ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ ცხენოსანი ჯარის ისტორია — მისი უფროსის ისტორიაა. რომ ჟღობას ადგილზე სხვა მხედართ-უფროსი ყოფილიყო, ქართული ჯარი ტყვედ ჩავარდებოდა, ვინაიდან ჩვენი ცხენოსანი ჯარი მოწინააღმდეგესთან შედარებით, წვეთი იყო ზღვაში და არ შეეძლო წინ დასდგომოდა მტრის ცხენოსან ჯარს.

აი, სად არის ისტორიული ჭეშმარიტება. ჩვენი სამშობლო დღეს ჩაძირულია წყვედიაღში და არავინ იცის, თუ როდის გათენდება ჩვენი დოღდოთის მესამე დღე. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს მომავალი და ამით ვცოცხლობთ და ამ მომავალისათვის საჭიროა წარსულის გათავალისწინება — რომ ჩვენი სუვერენობის დასაცავად საჭიროა სულითა და ხორციით მავარი ჯარი. შექმნილი და მოწყობილი მეცნიერულ საფუძველზე. საჭიროა ასეთი ჯარი, ვინაიდან ის ქვეყანა, სადაც წარმოიშვა ლენინი და ბატონობს სტალინი, შექმნილ პირობების გამო, მუდამ იქნება ჩვენი სამშობლოს შეურთგებელი და ჯიუტი მტერი. ეს უნდა ახსოვდეს ჩვენ ხელმძღვანელებს და მხედართ-უფროსებს — რომ საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვა მოუხდება ჩვენს ჯარს კასპის და შავი ზღვის ნაპირებთან. ვინაიდან თავისუფალა აზერბაიჯანისა და კავკასიის არსებობა არის პოსტულატი ჩვენი ეროვნული თავისუფლებისა და ცხოვრების.

პოლკ. ირ. ცაჯური



## ცოტა რამ ლენ. ჩხეიძის მოგონებებზე

ლენ. ჩხეიემ მოათავსა „მხედარ“-ში ნამდვილი სურათი ტაბახმელას მიდამოებზე იმ გმირული ბრძოლისა, რომელიც გათამაშდა ერთი მუჟა ქართველ ახალგაზრდათა და საბჭოთა რუსეთის ურდოთა შორის.

ის, ვინც დაფიქრებულად გაერკვევა ბრძოლის პირობებში, შეუძლებელია არ აცრემლდეს. მცირე-რიცხოვანი, სამასიოდე კაცი, ახალგაზრდობა, ოთხი დღის მანძილზე, რვა - კილომეტრიან ვეებერთელა ფრონტზე, რომელსაც ძველ დროში აბარებდენ თუ კორპუსს არა, დივიზიას მაინც, ამ ფრონტზე ლომებივით იგერებდენ გააფთრებული მტრის იერიშებს, თვითონ გადადიოდენ შეტევაზე, ამარცხებდენ და ისევ უბრუნდებოდენ სანგრებს. იგერიებენ წინიდან, იგერიებენ უკანაიდან. მხოლოდ მეოთხე დღეს მიაშველეს დახმარებანი და ფრონტი ცოტა და გამჭიდრდა. იუნკრებს აყენებენ მათველში, მაგრამ აქაც უშინათოდ არასფერი კეთდება: ისევ იერიშები და მტრის მიერ აღებული სანგრების უკან დაბრუნება.

უნებლიედ წარმოგვიდება მათი მამა-პაპათა რაინდული ბრძოლები, სადაც — ერთი ქართველი ეთანაბრებოდა ხუთიდან ათამდე მტერს. გაიდვიდა ჩვენს ახალგაზრდებში წინაპართა სულმა, თითქო მათი სულა მათ თავს დასტრიალებდა და აქეზებდა ომისათვის სატრფო შვილებს. როდესაც ჩვენს ასეთს ამბებს ვკითხულობდი ისტორიის ფურცლებზე, გჭკვი გვეპარებოდა. მიგვაჩნდა გაზვიადებულად. მაგრამ ჩვენ თვალ-წინ განმეორდა ის, რასაც ისტორიკოსები იუწყებოდენ.

დაიხოცენ იუნკრები და ის ახალგაზრდობა, რომელიც მათ გვერდში უღვდა, მაგრამ მტერს ძალიან ძვირად დაუჯდა მათი სიკვდილი. ამჟამად შეგვიძლია აღვიაროთ და ვანუგეშოთ ისინი, ვინც ცოცხალი გადაარჩენ, რომ ისინი არიან ძლევა მოსილნი. ისინი არ დამარცხებულან ამ უსწორო ომში. არა და არა!

არ ვიზიარებ ლენ. ჩხეიძის აზრს, რომ ამ ახალგაზრდათა გმირული მოქცევა იყო შედეგი იმ შრომისა და იმ ღვაწლისა, რომელიც მათ უფროსობამ დაატანა სამხედრო სკოლაში. და აი რატომ.

როგორც მახსოვს, სკოლა გაიხსნა 1919 წელს, სექტემბერში. არავითარი წრთვნა ამ ახალგაზრდებს ჯერ არ ჰქონიათ, როდესაც მე დაიწყო იქ ჩემი ლექციები იმავე წლის ოქტომბერს. რამოდენიმე ლექციის შემდეგ, როდესაც მათ დაეაკვირდი და გავეცანი მათ სულიერ განწყობილებას, განცვიფრებული დავრჩი. მე ვკითხულობდი მათ თვლებში — რაზომ შესტრფოდენ ისინი თავის სამშობლოს დამოუკიდებლობას და ლექციებიდან სრულიად დამშვიდებული გამოვიდიოდი. და ეს იმ ხანად, როდესაც ირგვლივ ყოველივე იყო აფორიაქებული და არავითარი რწმენა მე არა მქონდა, ვინაიდან თვალ-წინ მედგა ქართველი ერი პარტიათა ბრძოლის მიერ გულ-დაღადრული.

მერე რა გულმოდგინედ ითვისებდენ ლექციებს! ეს იყო დაფიქრებული ახალგაზრდობა: ეს იყო ბურჯი ქართველი ერის სასოებისა! ვფიქრობდი, — ოთხი-ხუთი წელიწადი თუ დააცალეს, ეს ახალგაზრდობა არ დაანებებს თავის სამშობლოს დასაქეღავად. მაგრამ არ დააცალეს.

ან ის ახალგაზრდობა, რომელსაც 15 თებერვალს იარაღი დაუბრუნეს და 17 თებერვალს ომში გაიყვანეს! განა ისინი იყვნენ გაწრთვნილნი? საიდან? მერე, მათ განა სირცხვილი სჭამეს? სრულიად არა! ისინი იდგენ გვერდში იუნკრებთან და არსად მათ არ ჩამორჩენიან. განა ეს არის საკვირველი? ეგებ ითქვას, რომ მათ იუნკრებს მიბაძეს? ჭეშმარიტი! ამგვარ პირობებში მიბაძვისათვის საჭირო იყო, რომ მათ ჰქონოდათ რაიმე საკუთარ სულში და გულში, რასაც ისინი წაეჭეზებია ამ მიბაძვისათვის, — ეს რაიმე არის მამულის სიყვარული, რომელიც გადმოეცა მათ მემკვიდრეობით წინაპართაგან.

რასაკვირველია, გაწრთვნასა და სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თუ ადამიანს აკლია ბუნების მიერ მინიჭებული თვისებანი მხედრისა, ამ შემთხვევაში სწავლება მაინც და მაინც დიდ ნაყოფს ვერ გამოიხსამს. ბუნებრივი თვისება, შეტყუებულნი წრთვნასთან. — აი სად არის გამარჯვების საწინდარი! რაც სკოლის უფროსობამ მისცა ახალგაზრდებს, რასაკვირველია, დიდი იყო, მაგრამ უფრო დიდი იყო ის, რაც წინაპრებიდან ჰქონდათ მიღებული.

ლენ. ჩხეიძე სწერს: „თუმცა ყველა გამოცდილი მეომარისათვის აშკარა იყო, რომ ტფილისის საქმე უკვე წაგებულნი“... ეს დაიწერა 16 თებერვლის მდგომარეობის შესახებ. თუ უფრო გავყვებით გარემოებათა სვლას მის სათავემდე, მე უკეთესს ვიტყვი — ტფილისის საქმე წა-

გებული იყო 1917 წლის ოქტომბერს. მაგრამ თანდათანობით, რაც ბრძოლა გრძელდებოდა, ხალხს მეტი გაკაყება ეტკობოდა, სულიერიც და ფიზიკურიც. შეიძლება მე ამაში ვცდებოდე, მაგრამ ამაზე მართალი მსჯელობა იმას შეუძლია, ვინც ძალიან კარგად გაეცნობა ამ ბრძოლის მასალებს. ჩვენთვის კი ეს ამ ჟამად შეუძლებელია.

ჯერჯერობით კი მაქვს ბეჯითი აზრი, რომ ჩვენი ჯარი არ იყო დამარცხებული, არც ტაქტიკურად, არც სტრატეგიულად. აქ დამარცხდა არა ჯარი, არამედ მთელი სისტემა მხედრობისა მისი მეთაურობით. ცუდ საძირკველზე იყო ერის დაცვა აგებული და პირველ შეტაკებაშივე დაიხრჩო. თუ ჩვენ თავს შევეკითხებით — ვის ედება ბრალი, — უნდა ვუპასუხოთ: — უწინარეს ყოვლისა მხედრობას და მერმე მთავრობას.

1919 წელში მთავრობამ უკვე ხელი მოჰკიდა ერის დაცვის საკითხის საღ პრინციპებზე დაყენებას და ეს მიანდო მხედრობას, რომელმაც გამოიჩინა, უდავოდ, უნიჭობა შემოქმედებაში. ძველი პრინციპები ვერ გამოიყენეს და ახლები ვერ შექმნეს. წელიწად-ნახევარში შესაძლებელი იყო ბევრი რამეს გამოკეთება, მაგრამ მას, ვისაც ჰქონდა მინდობილი ქართველი ერისათვის ხმალის ჭედვა, მას არ სცხელოდა ამისათვის. მაშასადამე, დიდი უსამართლობა იქნება ერს დადებრალთ ურჩობა სამშობლოს დაცვაში. რაც გინდა პატრიოტი იყოს ერი, თუ კი მისი ძალები არ იყო სათანადოთ დამზადებული მშვიდობიანობის დროს, თუ არ შეუძლებიათ იგი მაგარი დულაბით, თუ არ გაუფარჯიშებიათ იგი ბრძოლისათვის, მისი ცდა ამოდ ჩაივლის და გამარჯვება სათუთა.

დენ. ჩხეიძე უსაყვედურებს ხალხს — არც კამეჩებს და არც პურს არ გვაძლევდენ მცხოვრებნიო. გავერკვიოთ კარგად ამაში. მიზეზი რომ კამეჩებს არ იძლეოდენ ის არის, რომ ხალხს არ ჰქონდა ნდობა მთავრობის აგენტებისადმი. ბევრი ყოფილა შემთხვევა რეკვიზიციისა, და როგორ შეგვეძლო მისი დარწმუნება, რომ კამეჩებს შევბამდით ზარბაზნებს და მერმე დავუბრუნებდით, რაკი ამოვათრევდით ტალახში ჩაფლულ ზარბაზნებს. კამეჩების ეს დაბრუნება გლეხთათვის საეჭვო იყო; აი რატომ ჯიუტობდენ! პურს არ იძლეოდენ? საკვირველი არაფერია! წარმოიდგინეთ პატარა სოფელი, სადაც უნდა გაიაროს მრავალმა ჯარის ჯგუფებმა. მოვიდა პირველი ჯგუფი და პური მოითხოვა; აჭამეს. მოვიდა მეორე ჯგუფი, პური მოითხოვა; აჭამეს. მოვიდა მესამე ჯგუფი, პური მოითხოვა — უარი უთხრეს. საიდან ექნება ამ პატარა სოფელს იმდენი შეძლება, რომ გამოკვებოს მთელი ჯარი? ასე გულუხვად თუ

დაბნია მან თავისი სარჩო-საბადებელი, ხვალ თვითონ დარჩება უპუ-  
როდ. როგორ შეგვიძლია ის გავამტყუნოდ გამოზოგვაში და სიძუნწე-  
ში? ფულს აძლევდენ პურში! განა ეს ფულია? აძლევდენ დანავსულ ქა-  
ლადის მანეთებს, რასაც არავითარი წონა და ღირებულება არ მინი-  
ჭებია. კიდევ დავუმატებ ამას ერთს ნაამბობს სკოლის მნეს მიერ: —  
„რაც ტფილისიდან გავედით, ჩვენს საინტენდანტოს ჯარისათვის ერთი  
გირვანქა პური არ მიუწოდებია — სულ გლეხები გვაკმევდენ“—ო. ვის  
დაუუჯეროთ? მე ვფიქრობ, ღენ. ჩხეიძეც მართალია და მნეც, მხოლოდ  
ღენ. ჩხეიძე ბოლოში მოხვდა და პურის მოთხოვნაზე გლეხებმა უარი  
უპასუხეს — დაწინებულ იყვნენ — მთლად მშვიერი არ დავრჩეთო!

ყოველ მოწესრიგებულ სახელმწიფოში არსებობს სპეციალური და-  
წესებულება, რომელსაც უწოდებენ მომმარაგებელ დაწესებულებას,  
და რომელსაც ევალება მიაწოდოს ჯარს ყველაფერი, რაც მას კანო-  
ნის ძალით ეკუთვნის, რათა ჯარმა არ შეაწუხოს არამც თუ თანამემა-  
მულენი, არამედ მტრის მიწა-წყლის მცხოვრებნიც კი (როდესაც მო-  
ქმედება ხდება მტრის მიწაზე). ამ ზომის მიზანი არის არა მარტო ის,  
რომ არ შეაწუხონ მტერი სახელმწიფოს მცხოვრებნი, არამედ ისიც,  
რომ ჯარი არ შეეჩვიოს მცხოვრებთა ცარცვა-გლეჯას და „მარადი-  
არებად“ არ გარდაიქმნას, ე. ი. რომ ჯარი დაიცვან გახრწნისაგან. თუ  
კი ვინმემ არ აღასრულა მისი მოვალეობა ჯარისადმი და სამშობლო-  
სადმი, ეს არ გვაძლევს ჩვენ უფლებას ვუსაყვედუროთ ხალხს, რომ  
მან მისი უკანასკნელი ლუკმა ჩვენ არ გვაჭამა. მერე კიდევ ეს არის  
უბრალო საკითხი ხალხის ეკონომიკისა და არა პატრიოტიზმისა!

ჩვენი ხალხის მამულის სიყვარულს ღენ. ჩხეიძე ასე გვისახავს: —  
„მამულის სიყვარული ხალხში სრულებით არ არსებობდა“—ო. ვისი შვი-  
ლები იყვნენ იუნკრები, ორი დღის ნასწავლი სამი გუნდი ახალგაზრდე-  
ბისა და ნახევარი გუნდი მე-10 ათასეულისა, რომელნიც მტერს ლო-  
მებივით ეკვეთენ? განა ქართველნი არ იყვნენ მათი მამანი? „მსგავსი  
ყველაი მსგავსსა შობს, ასე ბრძენთაგან თქმულია“. უსათუოდ მამანი  
უნდა ყოფილიყვენ შვილების მსგავსნი. მხდალს და სამშობლოს მოლა-  
ლატეს არ ეყოლება შვილი გმირი და პატრიოტი. მოვიყვან ერთ ფაქტს,  
რომლის მოწამეც მე გახლდით.

ეს იყო მას შემდეგ, რაც კახეთის მიწაწყალზე დადგა ფეხი ბოლ-  
შევიკების ცხენოსანმა ჯარმა. საზოგადოება „ჩემო“-ს საქმისათვის ერთ  
დღეს გამაგზავნეს შინაგან საქმეთა სამინისტროში: უნდა მომელაპა-

რაკნა დირექტორთან. ვიცდიდი ცოტა ხანს. მოვიდა ზუთიოდე კაცი დირექტორის სანახავად. მე ყურები ვაცქვიტე, ვინაიდან მივხვდი, რომ კახეთიდან იყვნენ. შევეკითხე მათი მოგზაურობის მიზანზე. პასუხი იყო: — „ბატონო, კახეთში კომუნისტების ცხენოსანი ჯარი დანავარდობს. გვინდა ვუთხრათ ჩვენს მთავრობას, რადგანაც ის ვერ ახერხებს ჩვენ დაცვას, დავგვირიგოს იარაღი და ჩვენ თვითონ მოვუვლით ჩვენ თავა. ჩვენ ვართ ხალხის დელეგატები“-ო. არ ვიცი, საუბედუროდ, რა პასუხი გაეცა მათ. ეს არ არის ჩემი ოცნების ნაკარნახევი; ეს არის ფაქტი. გვაქვს ჩვენ უფლება, რომ ვუსაყვედუროთ ჩვენ ხალხს უსიყვარულობა მამულისადმი? ეს იქნება უსამართლობა მის მიმართ.

ჩვენ ჯარს ლიხის მთა ჰქონდა გადალახული უკვე. მე ვიყავი ბათუმში. ოზურგეთიდან ჩამოვიდა ექიმი, ჩემი მეგობარი. მან მიაბო, რომ ოზურგეთში მოიყარა თავი რამოდენიმე ათასმა კაცმა და იარაღს მოითხოვენო. მაგრამ სად არის თოფებიო? ეს არ არის განა მამულის სიყვარული?

მეორე ჩემმა მეგობარმა, ახლად სამეგრელოდან ჩამოსულმა, მიაბო: — ზუგდიდს მოადგა რამოდენიმე ათასი კაცი. ქალაქი სასვე იყო და სამ დღეს ხეტიალობდნენ იქო. არც აჭამეს, არც ასვეს, არც იარაღი დაურიგეს: ესე იგი არავითარი ნასახი რაიმე თადარიგისა! ადგენ და დაზრუნდნენ შინ. ვისი ბრალია ეს? შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ ხალხმა ურჩობა აღმოუჩინა მთავრობას? შეგვიძლია განა ვსთქვათ, რომ ეს ხალხი არ არის მამულის მოყვარე? რომ ის მოლალატეა? 1924 წელმა დაგვიმტკიცა მეგრელთა პატრიოტიზმი და განაქარვა ის ცრუ შემეცნება, რომელიც სუფევდა მაღალ წრეებში მეგრელების ბოლშევიკობის შესახებ.

სტამბოლში აფხაზეთის კომისარმა მიაპხო: — „ჩვენი მთავრობა აფხაზებს, როგორც რუსოფილებს და როგორც საქართველოს მოლალატედ უცქეროდა. ვერ წარმოიდგენთ, რა დახმარებას უწევდნენ ისინი ჩვენს ჯარს კომუნისტებთან ბრძოლაში, და როგორ სწუხდნენ ჩვენ დამარცხებას. მაშ, ერთიანი საქართველოს აზრი მათში არ მომკვდარა. პატრიოტიზმიც აღმოჩნდა. ჩვენ კი გვეგონა, რომ ისინი ზურგში დაგვიწყებდნენ სროლას“-ო.

ჩვენი ხალხის პატრიოტიზმზე მე იმიტომ ვილაპარაკე ასე გრძლად, რომ 1921 წელში ერთ გავლენიან პირს, ქართველს ეთქვას, რომ ჩვენმა ერმა არ გამოიჩინა პატრიოტიზმი და არ ისურვა ბრძოლაო.

ლენ. ჩხეიძე სწერს: — „კრიტიკულ მდგომარეობას 24 თებერვლის საღამო ხანს მიემატა ორი შესანიშნავი ფაქტი: მთავარსარდალის შტაბმა მიიღო ორი ცნობა: ე-ლი: გვარდიამ ორხევის ფრონტზე, 6-7 ვერსის სიგანეზე, დასტოვა მავთულით გამაგრებული სანგრები და დაიხია ტფილისისაკენ. მე-2-ე: მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთაზე ბოლშევიკებმა თელეთის სერი იერიშით აიღეს. სამწუხაროდ, ლენ. ჩხეიძე არ იხსენიებს იმ საბუთებს, რომელზედაც დამყარებულია ეს ცნობა. ასეთი ცნობები მართლაც ნამდვილად იყო მოსული შტაბში. იყო ცნობა, რომ ორხევეში ტანკმა სანგარში ცეცხლით ამოხოცა ერთი ათასეული, მაგრამ ორი საათის შემდეგ ეს სანგარი დაკავებული იქმნა ჩვენების მიერ და ამის შესახებ ცნობა გაიგზავნა კიდევ შტაბში. თელეთის სერიც უკან დაიბრუნეს ჩვენებმა და ესეც ეცნობა შტაბს.

თუ კი ჩვენი სანგრები თელეთის და ორხევის გასწრივ მტერს ქონდა დაკავებული, როგორ მოხდა ის, რომ მტერმა ვერ შენიშნა ჩვენი ჯარის მიერ ბრძოლის ველის დატოვება?

ყველამ იცის დღეს, რომ ბოლშევიკური ჯარი დაიძრა მეორე დღეს მხოლოდ 11 საათზე. ესოდენ გაფრთხილებული იყვნენ, არც კი სჯეროდათ ჩვენი ჯარების პოზიციებიდან მოხსნა. ეშინოდათ, ქართველები რაიმე მახეს არ გვიმზადებდნო. ეს ყველა საბუთი უკვე დამტკიცებულია. ის აზრი, რომ ვითომ იმ დამეს ბოლშევიკები ბატონობდნენ სადმე ჩვენს სანგრებში, ვფიქრობ, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ლენ. ჩხეიძის წერილი ტაბახმელას ომზე ძვირფასი ფაქტიური და ურყევი მასალა მათთვის, ვინც ეძებს ჭეშმარიტებას და სინამდვილეს. ამ წერილით ავტორმა მოჰფინა ნათელი იმ გამირულ საქმეს, რომელიც ჩვენთვის ბურუსით მოცული იყო. მით უფრო ძვირფასია ეს მასალა, რომ ის დაიწერა მის მიერ, ვინც ამ ომის შუაგულში იღვა და ვისაც არ გამოპარვია მტრის არც ერთი მოძრაობა.

დარწმუნებულ ვარ, რომ ყოველი ქართველის გული უზომოდ მადლობით აღივსება, წაიკითხავს რა ლენ. ჩხეიძის მოგონებებს.

ვ. ცხაკაია

ქ. პარიზი.

## ზოგი რამ ისტორიულ ფაქტებზე

ბატონ გენერალ ჩხეიძემ მშვენიერ ქართულ ენაზე დაწერილი მთავონება მოათავსა ჟურნალ „მხედარ“-ში.

ბ. გენერალს უსათუოდ უნდოდა, რომ ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო ჩვენი სახელოვანი სამხედრო სკოლის ცხოვრება და მისი თავგანწირული ბრძოლა დედა-ქალაქის დასაცავად.

უეჭველია, ეს მეტად სიმპატიური მიზანია და ჩვენც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმოდა, რომ ბატონი გენერალი მხოლოდ მაგას შეხებოდა. მაგრამ ის შეეხო ომის ოპერაციებს, შეეხო წარსულის ისეთ საკითხებს, რომლებიც დღეს აღელვებს მთელს საქართველოს.

ამას გარდა ჩვენ არ გვგონია, იუნკრების სახელოვან, თავგანწირულ ბრძოლების აღსანიშნავად და მოსაგონებლად საჭირო იყოს დარიგანი ქართული ჯარების სხვა ნაწილებს გაბიბრება და დაუმსახურებლად ლაფში ამოსვრა და თანაც მკითხველის წინაშე კვებნა: „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ო. იგი სრულიად უსამართლოდ ამცირებს და შეურაცყოფს ტაბახმელას გმირთა ლანდებს და მათ ხელმძღვანელს, სამშობლოსათვის რაინდულად დაღუპულ გენერალ ანდრონიკაშვილს.

ბ. გენერალი სწერს: — „საერთო ისტორიის დაწერა ჩემს გეგმაში არ შედის“-ო, მაგრამ მან თავის გრძელ წერილში დასწერა ყველაფერზე და თანაც გამოიტანა თავისი განაჩენი, რომელზედაც ნება მომეცია არ დავეთანხმო. ბ. გენერალს სამხედრო ოპერაციები 11 თებერვლიდან 16-დე ძლიერ ბუნდოვანად აქვს მოყვანილი.

ამ აღწერიდან სჩანს მხოლოდ ერთი: — „გაიქცა — გაიპარა გვარდია“. არც ერთი სწორი ფაქტი, არც ერთი მიუდგომელი აზრი!

ამიტომ იძულებული ვარ ფეხდაფეხ მივყვეთ ავტორს და გზადაგზა აღვნიშნოთ ნამდვილი სურათი.

გვერდი 29. — ბ. გენერალი ასე აგვიწერს ოპერაციებს: — „11 თებერვალს ღამით ბოლშევიკების ჯარები ქართულ-სომხურ ბრბოებთან ერთად დაესხნენ ჩვენ სანაპირო სადარაჯოებს და რეგულიარულ ნაწი-

ლებს“ (რომელ ნაწილებს?). იგი არაფერს ამბობს, თუ რა წინააღმდეგობა გაუწია მტერს ჩვენმა ჯარმა.

გვერდი 30. — „16 თებერვალს დილითა შიშისაგან დამფრთხალი ხრამზე მდგომარე გვარდია ერთიანად უკან გამოიქცა. 2 საარმიო ბრიგადა განადგურებული იქმნა ხეობებში (სად? როდის?). ამგვარად ფრონტი“... გარღვეული იყო. მკითხველს ებადება შთაბეჭდილება : 16 თებერვალს გვარდია გაიქცა და მისი გაქცევით ხეობებში ნადგურდება მე-2 ქვეითი ბრიგადა. მაგრამ 11 თებერვლიდან 16-მდე რას შერება ჩვენი ჯარი და გვარდია, არსაიდან სჩანს ბ. გენერალის ნაწერიდან.

როგორც ვიცით, 11 თებერვალს ღამით, მტერმა უეცრად შემოუტია მე-2 საარმიო ბრიგადის ნაწილებს სადგურ შავალთან და მის მთლობ მიდამოებს. მე-2 ბრიგადის ნაწილებმა მკირე წინააღმდეგობის შემდეგ, ფრიად დაზიანებულებმა, უკან დაიხიეს სადახლოსა და უზუნღიარის სიმალეებზე. 12-13-14 თებერვალს აქ სწარმოებს ქართველების მიერ მოგერებითი ბრძოლა. ბრძოლას აწარმოებს მე-2 ბრიგადის გადარჩენილი ნაწილები და ორი თუ სამი გვარდიის ათასეული. რამოდენიმე დღის საშინელი ბრძოლის შემდეგ — 14 თებერვალს — მტერმა ღამის იერიშებით აიღო სადახლოს და უზუნღიარას პოზიციები. ჩვენი ჯარი და გვარდია იხვეს უკან. ტფილისზე მტერს გზა ეხსნება... ეს მოხდა ჩვენი არმიის ცენტრში. რა ხდება იმავე დროს ჩვენი არმიის მარჯვენა ფრთაზე? ჩვენი არმიის მარჯვენა ფრთა იყო ს. ვორონცოვკის მიდამოებში. აქ იდგა გვარდიის მოზრდილი კოლონა. ამ კოლონასაც წითლები ესხმიან უეცრად, იმის დამატებით, რომ რუსთა გლეხები — სოფელ ვორონცოვკის — უკანიდან უტეხენ სროლას ჩვენ ჯარს. კოლონამ დასტოვა სოფელი ვორონცოვკა და გამაგრდა მის ახლო-მახლო. 13-14 თებერვალს, არ მახსოვს რიცხვი, გვარდიის კოლონა გადავიდა შეტევაზე ერთ გამოცდილ შტაბ-ოფიცერის ხელმძღვანელობით. მტერმა შეტევას ვერ გაუძლო, ის დამარცხდა, სოფ. ვორონცოვკა და მისი მიდამოები ჩვენებმა უკან დაიბრუნეს.

ჩვენი სარდლობა ვერ იყენებს ამ ტაქტიკურ გამარჯვებას.

შემდეგში, როდესაც სადახლო მტერმა ხელში ჩაიგდო, ამ კოლონას მოუვიდა უკან-დახვეის ბრძანება — ტფილისისაკენ.

16 თებერვალს დილის სამ საათზე წითელ ხილზე მტერმა იერიში მოიტანა. ერთ იქ მდგომ გვარდიის ათასეულმა (გურიის) უთანასწორო ბრძოლის შემდეგ უკან დაიხია.



ამავე დროს ჩვენი არმიის მარცხენა ფრთაზე (კახეთის გამოკლევით) ხდება თავდასხმა.

16თებერვალს დილის სამ საათზე წითლებმა მიიტანეს იერიში ფოილოს ხიდზე — (პირველი იერიში მოიტანა წითელ ბაშკირების ქვეთი პოლკმა) — იერიში მოგერებულ იქმნა მე-2 იმერეთის გვარდიის ათასეულის მიერ, და ხიდი იქმნა აფეთქებული. ხიდზე მყოფი ბაშკირების კოლონა იქმნა განადგურებული. იმავე ადგილას, სოფ. კრაგესმანიდან ფონით გადმოვიდა წითლების ცხენოსანი ბრიგადა კურიშკინის ხელმძღვანელობით და შეუტია იმერლებს. იმერლებმა ორჯერ გადაარეკეს უკან ეს ცხენოსანი ბრიგადა მტკვრის გაღმა და მიაყენეს მნიშვნელოვანი ზარალი. ფოილოს მეზობლად ჯგუფის ზურგიდან შემოსვლელად წითლებმა სოფ. შიხლოდან გადმოსროლეს მტკვარის გაღმა ცხენოსანი ნაწილები. მაგრამ მათ დახვდნენ აქ მეგრელები (ზუგდიდის გვარდია). მეგრელებმა უკუაქციეს მტრის ცხენოსანი რაზმი.

16 თებერვალს 10 საათზე ღამით მთავარსარდალის ბრძანებით ფოილოს კოლონა იხევს უკან ტფილისისაკენ.

აი ასეთი იყო დაახლოვებით ჩვენი მდგომარეობა ფრონტზე 16 თებერვლამდე, ამ დღის ჩათვლით, და არა ისე, როგორც „მოგონების“ ავტორი აგვიწერს.

ბ. გენერალი ჩვენი დამარცხების უბედურებას მხოლოდ და მხოლოდ გვარდიაში ხედავს. ბატონი გენერალი გვარდიას ასე იხსენიებს:

— „დარღვეული და დაშლილი გვარდია საერთო საქმისათვის ღალატს ჰფარავდა ძრო-გამოვარდნილ პატრიოტიზმით“... ეს მეტის მეტია! შეიძლება უკმაყოფილო იყოთ ამ ინსტიტუტით, მაგრამ, (ცხადია, ღალატის დაბრალებას ჯარის ერთი ნაწილისათვის სჭირდება საპუთები. ან როგორ შეიძლება ამა თუ იმ ნაწილის მარცხი ან ნაკლები გამძლეობა, მთელს დააბრალოთ? და განა უკანასკნელ ომში არ იყო შემთხვევები ზოგიერთ რეგულიარულ ნაწილების მიერ სისუსტის გამოჩენისა? აბა, ვინ იტყვის ამას, და მთელ ჯარზე ვინ გაავრცელებს?

მე პირადად გვარდიის დამცველი არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ ღალატის დაბრალება დანაშაულობა იქნებოდა.

თუ გვარდია სუსტად იბრძოდა, ეს მისი სისტემის ბრალია და არა ღალატის.

გვარდია იყო მილიციურ სისტემაზე აგებული. მილიციური ჯარა

დასავლეთ ევროპაშიც არის: მაგალითად: შვეიცარიაში, პოლანდიაში, დანიაში, შვეციაში, ნორვეგიაში და სხვა.

საზოგადოთ მილიციური ჯარი სახელმწიფოს უფრო იაფად უჯდება, ვინემ მუდმივი არმია და ხალხისათვის სამხედრო ბეგარა უფრო მსუბუქია.

მაგრამ მილიციური არმია ვერ შეედრება მუდმივ არმიას ბრძოლის ველზე. ეს მე მგონია ყველასათვის ნათელია.

ამ დიდი ომის დროს შვეიცარიამ მოახდინა მობილიზაცია თავისი არმიის. ამ მობილიზაციამ დაანახვა ყველას უარყოფითი მხარენი. რომლებიც აქვთ ყველა მილიციურ ჯარს: —

- 1) ცული ტენიკური მომზადება მთელი პირადი შემადგენლობის,
- 2) არავითარი შეკავშირება სამხედრო ნაწილებში,
- 3) ნაკლები სამხედრო აღზრდა და დისციპლინა,
- 4) ოფიცრების მოუმზადებლობა,

5) ჯარისკაცების უნდობლობა აფიცრთა გამოცდილება - ცოდნისადმი და აქედან გამომდინარე მეთაურების ავტორიტეტის დაკნინება და ბევრი სხვა.

მაშ, რა გასაკვირია, რომ ჩვენ სახალხო გვარდიას, მილიციურ სისტემაზე აგებულს, რევოლუციის გავლენით დამახინჯებულს, უარყოფითი მხარეები ჰქონოდა?

მაკვირვებს: — რომ ასეთ გამოცდილ მწყობრის ოფიცერს, როგორც არის გენერალი ჩხეიძე — უკვირს, რომ მუდმივი ჯარის ნაწილები უკეთესად იბრძვიანო!

ბატონი გენერალი დიდი ომის დროს კავკასის ფრონტზე ნამსახურია. მან კარგად იცის, რომ პირველი ხაზის ნაწილები ყოველთვის უკეთესად იბრძოდნენ, ვიდრე „ოპოლჩენცების“ მე-2-3-4 ხაზის ნაწილები. მაგრამ გვეყოფა ამაზე. ჩვენ წინაშე სდგას მეტად სერიოზული საკითხი: —

შეგვეძლო ჩვენ ჩვენი რეალური ძალებით ტფილისის პოზიციებზე მტრის მოგერება და შემდეგ შეტევაზე გადასვლა და მტრის განადგურება? —

აი საკითხი, რომელიც სამწუხაროდ ჩვენს დღევანდელ პირობებში არ უნდა დასმულიყო, მაგრამ რადგანაც ბ. გენერალმა ის დასვა, მეც მინდა ამაზე ჩემი აზრი გამოვსთქვა. განვიხილოთ პირველად ტფილისის ოპერაციები.

16 თებერვალს ყველა ჯარის ნაწილები ჩვენი არმიისა იხევენ ტფილისის პოზიციებზე. 17 თებ. — 18-მდე ტფილისის ირგვლივ სიწყნარეა. ამ ორმა დღემ პატარა შეასვენა შედარებით ბრძოლაში დაქანცული ჯარი. სხვა და სხვა კუთხიდან მოდის მაშველი ჯარი. რა ძალა შეგროვდა დაახლოვებით ჩვენი სარდლობის განკარგულებაში 16 თებ. 24 თებერვლამდე?

ტფილისის პოზიციებს იცავდა დაახლოვებით: — ქვეითი ჯარი : 8 საარმიო ათასეულები სამხედრო და უნერ-ოფიცრების სკოლის ჩათვლით; ამაში არ შედიან სანაპირო რაზმის ნაწილები, დაახლოვებით 400 კაცი. სახალხო გვარდიის სარეზერვო ათასეულები, რიცხვით — 17. სულ ქვეითი ჯარი — 25 ათასეული, 12 ბატარეა, 8-9 ესკადრონი კავალერიის, 2 ჯავშნოსანი საავტომობილო გუნდი, 1 მესანგრეთა ათასეული, ტანკი 1, ჯავშნიანი მატარებელი — 3 თუ 4. საჰაერო ფლოტს არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში — გარდა ორი-სამი გადაფრენისა. საზოგადოთ, მომავალში გამოსარკვევია — მოხდენილი მტრის ხელი შეუაზბდა იმ ნაწილში, თუ იყო ჩვეულებრივი ჩვენი გულგრილობა (პაროპლანები ბრძოლის დროს უზეთოდ დარჩა!)

16 თებერვალს უკან დახეული ჯარი გროვდება სოღანლულთან და ემორჩილება გენერალ მაზნიაშვილს. აი, რას ამბობს გენ. მაზნიაშვილი იმ მომენტზე (იხ. გვ. 159, „მოგონებანი“, გ. მაზნიაშვილი):—

„16 თებერვალს დილაზე ჩემს განკარგულებაში იყო უკვე მე-9 ქვეითი ლეგიონი, სადარაჯო ლეგიონი, სახალხო გვარდიის 2 ათასეული და 5 ბატარეა ჯავშნიანი საავტომობილო გუნდი და ჯავშნიანი მატარებელი... 17 თებერვალს საღამოზე მოვიდა კიდევ სამეგრელოს გვარდიის ორი ათასეული და I ქვეითი ლეგიონი, რომლებმაც შეადგინეს ჩემი რეზერვი“...

18 თებერვალს მაზნიაშვილს ჩამოართვეს ეს რეზერვი და გადაიხროლეს ტაბახმელოს რაიონში.

შემდეგ მაზნიაშვილი სწერს: — „18 თებერვალს კი საღამოს 10 საათზე მტრის საკმაო დიდმა კოლონამ შემოუარა იაღლუჯის მაღლობებს ... და წამოვიდა ჩვენსკენ იერიშით ...

„ამ გვარად მტერი შემჩნეულ იქმნა 5 ვერსის მანძილზე ჩვენი პოზიციებიდან...

„ღამის 11 საათზე გორის გვარდიასთან შეერთებული ტელეფონი გაფუჭდა და მათგან ცნობები ვეღარ მივიღე ...

„მინდოდა დავრწმუნებულიყავი სადარაჯო რაზმების ცნობების სინამდვილეში და ამ მიზნით გავემართე გორის გვარდიის ლიუნეტისაკენ ...

„უფროსმა მომახსენა, რომ სადარაჯო რაზმი როგორც კი შემჩნეული იქმნა მტრის წინსვლა. ლიუნეტში დაბრუნდა და ლიუნეტი ბრძოლისათვის მოემზადა. ამ სიტყვების გათავება ვერ მოასწრო, რომ ასტყედა ლიუნეტის ყველა ტყვიისმფრქვეველებიდან სროლა. ბრძოლა გაჩაღდა განსაკუთრებით ლიუნეტის გარშემო (გორის გვარდიის ირვულივ) ...

„ლამის 2 საათზე სადარაჯო ლეგიონის რაიონში ბრძოლა შესწყადა, სამაგიეროდ გორის გვარდიის გარშემო დიდი სიმძაფრით სწარმოებდა, სადარაჯო ლეგიონის სანგარი სროლით დახმარებას უწევდა ლიუნეტს...

„ტფილისში იმ ღამეს შეუწყნარებელი პანიკა იყო . ...

„არავინ არ იცოდა რა ხდებოდა ფრონტზე ...

„არმიის სარდლობიდან ერთი კაციც არ მოვიდა და არ იკითხა რა ხდებოდა პოზიციებზე ... (ხაზი ჩემია, ა. კ.).

„მხოლოდ გათენებისას 3 საათზე მე შევსძელი გამომეგზავნა ქალაქში მოხსენება ქვეითი კაცით ...

„ .. იერიშით მოსულმა ჯარებმა მოახწიეს ძალიან ახლოს ჩვენ სიმაგრეებთან და გაწვევენ სრულიად გაშლილ ადგილზე. რადგან იერიშები მოგერებული იქმნა, გათენებისას სადარაჯო ლეგიონი თავის მხრივ გადადის იერიშზე. გორის გვარდიელებმა დაინახეს რა ლეგიონის იერიშზე გადასვლა, ამოცვივდნენ თხრილებიდან და ეძებენ მტერს. მტერმა ბრძოლა არ მიიღო და ნაწილი ტყვეთა ჩაგვივარდა. ტყვეები რიცხვით 1.600 კაცი, ვაგავზავენ არმიის შტაბში. ... რეზერვში არ მყავდა არც ერთი ნაწილი, რომელსაც კი შეეძლო მტერს დასდევნებოდა ...

„საჭიროთ არ ჩასთავალეს გამოეგზავნათ ჩემთვის კავალერიის ერთი ესკადრონი კი მაინც, ცხენოსანი ჯარი კი იდგა იმ დროს ს. ლილოვთან სრულიად უსაქმოთ. . ...

„მოწინააღმდეგის დევნა იმ ჯარებით, რომელნიც მთელი ღამის განმავლობაში განუწყვეტელ ბრძოლაში იყვნენ, მე, არ შემიძლო ... ჩვენი გამარჯვების შემდეგ მტერმა მიანება თავი ამ მებრძოლ უბანს და აღარ შეუწყუხებივარ სანამ ჩვენი სამარცხვინოთ არ მივატოვეთ თბილისი“ ...

21 თებერვლიდან მტერმა მთელი თავისი ძალებით იწყო შეტევა ტაბახმელა-კოჯორის რაიონზე. მიუხედავად იმისა, რომ გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს მეტად ნაკლები ჯარები ჰყავდა 21-22 თებერვალს, არამც თუ მოიგერია რამოდენჯერმე განმეორებული იერიშები იუნკრების და უნტერ-ოფიცრების საშუალებით, არამედ თვითონ გადავიდა შეტევაზე და გადარეკა წითლები დაბლობებში...

ასეთია მდგომარეობა ჩვენი არმიის ცენტრში და მარჯვენა ფრთაზე.

ჩვენთვის დღეს ნათელია, რომ საქართველოს ჯარის სარდლობამ ვერ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება კახეთის მიმართულებას და ამით მტერს მისცა საშუალება ჩაეგდო ხელში მთელი კახეთი და უვნებლად მოედწია ტფილისის მიდამოებზე.

18-19 თებერვალს მტერი გამოჩნდა ვაზიანის რაიონში.

ჩვენი პოზიციები იყო პავლიას შიიდან დაწყებული ს. არაჭანამდი, მისი ჩათვლით, და შეადგენდა მარცხენა ფრთას ჩვენი არმიისას — და სახელი ამ რაიონს ჰქონდა ორხევის მეზობლი რაიონი.

ბ. გენ. ჩხეიძეს რუქაზე № 3 მთავარი პოზიციები ამ რაიონის აქვს ნაჩვენები ორხევთან; ეს შეცდომაა. იქ იდგა მხოლოდ გენ. ჯიჯიხიას შტაბი, პოზიციები კი 2-3 კილომეტრის წინ იყო. ამოდენა მანძილზე პიზიციები (დაახლოვებით 7-8 კილომეტრი) ეჭირა ორ გვარდიის ათასეულს (იმერულის და ზუგდიდის). ერთი ათასეული რეზერვში იყო. (დუშეთის). სოფ. ლილოსთან იდგა ჩვენი ცხენოსანი ჯარი. ამ ორხევის რაიონში 19-21-ს იყო საარტილერიო ბრძოლა. მტრის ქვეითი ჯარი იდგა ძლიერ მოშორებით. ვაზიანის ველზე თარეშობდა მტრის ცხენოსანი ჯარი.

22 თებერვალს მთავარსარდალმა დააგროვა 5-6 გვარდიის ათასეული და დილით ს. ლილოდან გვარდია გადავიდა შეტევაზე.

გვარდიამ შემოუარა მტრის მარჯვენა ფრთას; მტერმა იწყო უკან დახევა. შეამჩნიეს თუ არა ეს სანგრებში მდგომ გვარდიის ათასეულებმა, ამოკვივდენ სანგრებიდან და იერიში მიიტანეს მტერზე. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ მტერმა დაიწყო უკან დახევა, პირველად წესრიგით, მერმე სრულ უწყესრიგოდ. მტერი გარბოდა ქუდმოგლეჯილი ამ გაშლილ მინდორზე. ამ მომენტში ცხენოსანი ჯარი რომ დასდევებოდა მტერს, შესაძლებელია ტფილისის ბედი სხვანაირად წასულიყო. მაგრამ როგორც მაზნიაშვილს არ აღმოაჩნდა ერთი ცხენოსანი თავისი ვა-

მარჯვების შემდეგ, ისე ორხევის ჯგუფსაც არ ჰყავდა ერთი კაცი. სად იყო ჩვენი ცხენოსანი ჯარი ამ დროს? მე დარწმუნებული ვარ, ეს იყო ახლო-მახლო ორხევის პოზიციებთან, მაგრამ ჩვენმა ხელმძღვანელობამ ვერ გამოიყენა ჩვენი ცხენოსანი ჯარი ამ ბრძოლის მომენტში.

გვარდიელები მისდევდნენ მტერს ფეხდაფეხ, სანამ არ დაბნელდა. ლამემ შეაჩერა წინსვლა. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სადგ. ვაზიანის იქით მდებარე სიმაღლეები და ბაქოს რკინისგზაზე სადგ. აგ-ტიავლა. ჩვენი ჯარი ამ დღეს წაიწია დაახლოვებით 9-10 კილომეტრით წინ. 23 თებერვალს ჯარი მომზადებული იყო, რომ დილით განეგრძო დამის გამო შეჩერებული შეტევა. ჩვენ მებრძოლ ნაწილებში შეტევილი სული იყო. მე მგონია, არასოდეს არ ყოფილა მორალურად ჩვენი ნაწილები ასე გამაგრებული, როგორც იმ ხანებში.

რა ჯარის ბრალაა, თუ მისი ხელმძღვანელობა ვერ სარგებლობს მისი სულიერი სიმტკიცით! მაგრამ 23 თებერვალს შეტევა გადადებულ იქნა. მოგვივიდა ბრძანება თავის ადგილას დარჩითო; ხოლო 23 თებერვალს ღამით მოგვივიდა ბრძანება: დაიხიეთ უკან თქვენ სანგრებშიო. ჯარმა ბრძანების თანახმად უკან დაიხია და დაიკავა თავისი ძველი სანგრები. მე პირადათ ჩემი ათასეულით მოვხვდი ორხევეში — რეზერვში.

ასეთი მდგომარეობა იყო ყველა მებრძოლ რაიონებში 24 თებერვლამდე.

მე პირადათ დიდ შეცდომად მიმაჩნია, რომ ხელმძღვანელობამ არ გააღრმავა ვაზიანის მიმართულებით შეტევა.

საზოგადოთ, ჩვენ ოპერაციებს ტფილისთან, სარდლობის მიერ რალაც გაუბედულება ეტყობა; სულ იმას უყურებს და დევნებს თვალს, რა უნდა მტერს და იმის ფიქრშია, რამენაირად დაუშალოს მტერს მისაგეგმები. ამის გამო ჩვენ სარდლობას ეკარგება ინიციატივა.

ბატონი ჩხეიძე სწერს: (გვ. 54): — „ .. 24 თებერვალს ... მთავარმა შტაბმა მიიღო ორი ცნობა: 1) გვარდიამ ორხევის ფრონტზე 6-7 ვერსის სიგანეზე დასტოვა მავთულით გამაგრებული სანგრები და დაიხია ტფილისისაკენ, 2) მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთაზე ბოლშევიკებმა თელეთის სერი იერიშით აიღეს“-ო.

ბატონ გენერალს ეს ორი ფაქტი არ აქვს სწორად გაშუქებული. პირველი ფაქტის მოწამე მე ვარ. მეორესი გენერალი მაზნიაშვილი.

მართლაც, 24 თებერვალს მოხდა ასეთი შემთხვევა: — შე ჩემი ათასეულით (2იმერეთის) ორხევეში ვიდექ რეზერვში. ძალაუნებურად მთე-

ლი დღე შტაბის ოთახში ვიყავი. იმავე დღეს დილით ადრიანად ავტომობილით მოვიდენ ტფილისიდან ბ. გენ. კვინიტაძე, პოლკოვნიკი ნიკ. გედევანიშვილი და ვალიკო ჯულელი. ისინი შემოვიდენ შტაბის ოთახში. დაიწყო ლაპარაკი შეტევაზე. ბ. გენ. კვინიტაძემ ჩააბარა პოლკოვ. გედევანიშვილს ლილოს მიმართულებით მდგომი ნაწილები იმ ამოცანით, რომ იმავე დღეს დილით 10 საათზე დაეწყო მას შეტევა. შემდეგ ბ. გენ. კვინიტაძემ უბრძანა გენ. ჯიჯიხიას, რომ მასაც დაეწყო შეტევა და სხვა. ბ. გენ. კვინიტაძემ აუხსნა ვალიკო ჯულელს ქალაქზე დახაზვით ამ შეტვის დადებითი მხარეები. პატარა ხანის შემდეგ ყველა წავიდა. ორხვეის გარნიზონს მიეცა ბრძანება შეტევისათვის მომზადებულიყო. მეც გავამზადე ათასეული. გავიდა 12 საათი. გავიდა 1 საათი. ბრძანება არ მოდის. შევედი შტაბში, ვინახულე გენერალი ჯიჯიხია და ვკითხე, რაშია საქმე! მან მითხრა — შეტევა გადადებულია, და მიზეზი ამის არის შემდეგი: — დილით გედევანიშვილი უნდა გადასულიყო „შეტევაზე“; მას დაუნახავს „დიდ-ძალი ცხენოსანი ჯარი, დაახლოვებით ერთი დივიზია“, გედევანიშვილს დაუხვევია უკან. მთავარსარდალისათვის შეუტყობინებია: — არიქა, ჩვენ მარცხენა ფრთას უვლის „ერთი დივიზია ცხენოსნები“-ო და სხვა პანიკური ამბავი. სინამდვილეში ეს ცხენოსანი „დივიზია“ იყო ერთი ბრიგადა კუროჩინის (თვით კუროჩინი მოჰკლეს ქართველებმა დედოფლის წყაროსთან), — რიცხვით 700-800 კაცი, ჯახრიკა ცხენებზე. (მერმე, გასაბჭოების შემდეგ, მე თვითონ ვნახე ჩემი თვალით ეს „ბრიგადა“ და მათ ბევრი რამ გამოვკითხე).

ამ ბრიგადის, ფოილოს ხიდთან, არ შეშინებია მე-2 იმერეთის ათასეულს — ორჯერ უკან გარეკა ის, ზიანი მიაყენა, 40 ცხენი წაართვა და სხვა, და როგორ „დაუბნელდა თვალი“ ამ „ბრწყინვალე“ გენერალური შტაბის ოფიცერს, რომ დაიხია უბრძოლველად თავისი დიდი რაზმით (3-4 ათასეულით) და მთავარსარდალს მისცა არა სწორი ცნობები მტრის რაოდენობაზე! განზრახ ხომ არ ყოფილა?

იმ დღეს, დაახლოვებით 3-4 საათზე, კახეთის და ბაქოს რკინისგზების შუა სანგრებიდან გაჩაღდა საშინელი სროლა. ამ დროს ბურუსი მოედო მიდამოს. გენერალი ჯიჯიხია ტელეფონით შეეკითხა უბნებს — რაშია საქმეო? პავლიას მთამ უბასუხა: — ჩვენ წინ არავინ არ არის, მაგრამ ჩვენ მარჯვნივ რაღაც ხდებოა. ზუგდიდის და სენაკის ათასეულებიდან ტელეფონი არ მუშაობდა. ჯიჯიხიამ აფრინა ცხენოსანი მეგრელების უბანზე. სროლა გრძელდებოდა. ამ დროს ბურუსი გაიფან-

ტა და ჩვენ წინ გადაიშალა ასეთი სურათი: — კარგა მოზრდილი ტანკა ჩვენ სანგრებში დასეირნობდა, ტყვიამფრქვეველების და ზარბაზნების ცეცხლით ამოყარა სანგრებიდან მეგრელები. ეს უკანასკნელნი მარტო თოფით იყვნენ შეიარაღებული. მათ ტანკი რო დაუნახავთ, აუტეხიათ სროლა ტყვიისმფრქვევეთაგან და თოფებიდან. ჩვენ არტილერიას ტანკის შემოპარვა ვერ დაუნახავს ბურუსის გამო. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მეგრელებმა არ მიანებეს თავი სანგრებს, სანამ ტანკი თვით სანგრებში არ ამოძვრა და უკანიდან არ მოსცხო მათ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ სრულებით მოუმზადებელი ვიყავით მაშინ ამისთანა მანქანებთან საბრძოლველად. სენაკის ათასეულმა და ზუგდიდის ასეულმა დასტოვა თავისი სანგარი უწესრიგოდ. მაგრამ პავლიას მთაზე მდგომ ახალციხის ათასეულმა საშინელი ცეცხლი გაუჩინა ფრთიდან რუსის ნაწილს, რომელიც მოსდევდა ტანკს უკანიდან. და შეაჩერა მისი წინსვლა. ამ ტრალიკულ მომენტებში მივიღე ბრძანება, რაც არ უნდა დაგიჯდეს, ტანკი უკან გასდევნე და ჩვენი სანგრებიდან რუსები ამოდევენო. თანაც ჩემ განკარგულებაში მომცეს ორი სამთო ზარბაზანი სანგრებში ჩასადგმელად — „თუ ვინიციბაა კიდევ გესტუმროთ ტანკი, ამ ზარბაზნებით ან გაანადგურეთ ან განდევენო“—ო. ათასეული მოვაწყვე საომარ წესრიგზე და ვიწყე წინსვლა მიტოვებული სანგრებისაკენ. მტრის 3 ბატარეა და თანაც ტანკის არტილერიამ საშინელი ცეცხლი გაგვიჩინა. მაგრამ ჩვენი წინსვლა ვერ შეაჩერეს. სანგრებს რო მივუახლოვდით, უკვე სიძნელე იდგა. არაფერი არ სჩანდა, მხოლოდ ჩვენ ყოველი სანგრიდან შეშინებული რუსები გვესროდნენ ტყვიამფრქვევეთაგან და თოფებიდან. მტრის ცეცხლს არავითარი ზიანი არ მოუყენებია ჩვენთვის. სანგრებს თოფ-გაუსროლელად მივუახლოვდით. და „ვაშას“ ძახილით შევარდით სანგრებში. რუსები გაიქცენ. სრულ 8 და 1/2 სათზე ყველა სანგარი ჩვენ ზელში იყო. ეს ვაცნობე გენ. ჯიჯიხიას. გენერალი თვით მოვარდა სანგრებში და თავისი თვლით რომ დარწმუნდა სინამდვილეში, გახარებული გაექანა შტაბისაკენ, რომ მოეხსენებია მთავარსარდლისათვის: — წინანდელი მდგომარეობა აღდგენილიაო. როგორც ვიცით, გენ. ჯიჯიხიამ თავის დროზე აცნობა ეს შტაბს.

ეხლა რა ხდება ამავე დროს გენ. მაზნიაშვილის უბანში? ცალკე რაკოთ თვით გენ. მაზნიაშვილი (გვ. 171, „მოგონებანი“): —

„დაახლოვებით (24 თებ.) საღამოს 6 საათზე, ჩემს რაიონში მოწი-



ნალმდეგემ წამოიწია სოფ. თელეთ მუხრანიდან, გაარღვია ჩემი პოზიცია და დაიკავა ტრიგონომეტრიული პუნქტი.

„ეს მაცნობა მე-9 ქვეითი ლეგიონის უფროსმა პოლკოვნიკ ვაჩნაძემ. როგორც ზევით ვსთქვი, I ქვ. ლეგიონი, რომელიც მე რეზერვალ მყავდა, დილით გაიგზავნა გენ. ანდრონიკაშვილის განკარგულებაში. ისე რომ რეზერვში ერთი კაცი აღარ მყავდა. ...“

„ტელეფონით ვსთხოვე გენ. ანდრონიკაშვილს დაებრუნებია I ლეგიონის ერთი ათასეული გარღვეულ პოზიციის აღსადგენად. გენ. ანდრონიკაშვილმა დაუყონებლივ გამოაგზავნა ორი ასეული (ხაზი ჩემია. ა.კ.) და პოლკ. ვაჩნაძემ საღამოს 6 საათზე და 40 წუთზე აღადგინა წინანდელი მდგომარეობა ე. ი. მოწინააღმდეგე გადევნა და პუნქტი კვლავ დაიკავა. როგორც პიზიციის გარღვევა, ისე მისი ლიკვიდაციის შესახებ, თავის დროზე ვაცნობე მთავარ შტაბს“.

შემდეგ, გენერალი მაზნიაშვილი ასე აფასებს ჩვენ საერთო მდგომარეობას 24 თებერვალს (უკან-დახვეის წიხ) (გვერდი 162) : —

„მტრის იერიშები ყველა რაიონებში მოგერიებულ იქმნენ და დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელი დღის ბრძოლით დაქანცული მოწინააღმდეგე ღამის იერიშებს არ მოახდენდა, ხოლო დილით, რადგანაც მოწინააღმდეგე იღდა მთის გაშლილ ფერდობზე და ხეებში, ჩვენ კარგად მოწყობილი პოზიციების პირდაპირ, იძულებული გახდებოდა ან იარაღი აეყარა ან და თუ ვინიცობაა უკან დაიხევდა, მთლად გაწყდებოდა“ . ...

მაშ, გენერალ ჩხეიძეს ცნობა ორხვეის პოზიციების გარღვევისა და მაზნიაშვილის უბანზე თელეთის სერის აღება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და არ შეიძლება გამოდგეს ტფილისის დატოვების გასამართლებელ საბუთად.

ბ. გენერალ ჩხეიძეს რჩება მხოლოდ ერთი „საბუთი“ — ეს არის „რკინის ქაშარი“ — ვითომ ჩვენ არმიას შემოუარა ორივე ფრთიდან მტრის ცხენოსანმა ორმა „ღივიზიამ.“

მაშინ წითელ არმიაში „ღივიზიებს“ მართლა ეძახოდნენ, მაგრამ სინამდვილეში 1/10 ჯარისკაცი შიგ არ ყოფილა.

ბ. გენ. ჩხეიძეს „რკინის ქაშარში“ შედიოდა ორი ცხენოსანი „ღივიზია“, მაგრამ სინამდვილეში მარცხენა ფრთას ჩვენი არმიისას უვლიდა ერთი ბრიგადა 700-800 ცხენოსან კაცისაგან შემდგარი. მარჯვენა ფრთას უვლიდა დაახლოებით 1.200 ცხენოსანი კაცი. ეს არის ორა

„დივიზია“? ეს ცნობები მივიღეთ თვით წითლებისაგან საქართველოა გასაბჭოების შემდეგ.

თვით ცხენოსანი ჯარების უფროსი ქობია სწერს თავის მოგონებაში. რომ მათი მდგომარეობა ტფილისთან აუტანელი იყო; ასე რომ გაგრძელებულიყო ორი-სამი დღე, ჩვენ (წითლებს) საშინელი კატასტროფა მოგველოდაო და სხვა..

ტფილისის ოპერაციებში კი ვხედავთ. რომ ჩვენი ხელმძღვანელობა ველგან ტაქტიკურ გამარჯვებას, მაგრამ ყველა ჩვენი გამარჯვება ბოლოს და ბოლოს ხდება პიროსის გამარჯვებით; სარდლობა ვერ სარგებლობს ამ გამარჯვებით.

ჩვენ სარდლობას არ აქვს ინიციატივა.. არის გაუბედაობა და შიში და უყურებენ იმას, თუ მტერს რა უნდა და ამის მიხედვით მოქმედებენ (აი ნამდვილი რუსული გენერალური შტაბის სკოლა!)

რაში იყო შიში? სარდლობას ეშინია, რომ მტრის ცხენოსანი ჯარი გამოვა რკინის გზაზე. მას აშინებს რკინის გზის გაფუჭების შედეგები!

24 თებერვალს ღამით 12 საათზე სარდლობა აძლევს განკარგულებას ჯარებს — ტფილისი დასტოვებთო და „მცხეთის პოზიციებზე“ გამაგრდითო. სწორედ ამ საათიდან საქართველოს არმიამ დაჰკარგა ბრძოლის უნარი. არც ერთი მებრძოლი რაიონის უფროსი არ მოიწვია მთავარსარდალმა სამხედრო საბჭოზე. არავის შეეკითხა, ვინც იცნობდა ნამდვილ მდგომარეობას ფრონტზე.

რომ ჩვენ სარდლობას იმავე ღამეს გადაეწყვიტა შეტევა მდებარე (ამავე დროს სარდალმა კარვად იცოდა, რომ სომხეთში და აზერბაიჯანში იწყებოდა აჯანყება წითელი არმიის ზურგში, და რომელიც მართლა მოხდა), მე დარწმუნებული ვარ, რომ მე-11 არმიას სასტიკად დავამარცხებდით და მისი პატარა ცხენოსანი პარტიზანული რაზმები და არა „დივიზიები“ ჩვენ ზურგში ვერაფერ საგრძნობ ზიანს ვერ მოგვყენებდა, გარდა რამოდენიმე რელსის აყრისა, და მტრის რაზმებს შემდეგში გაანადგურებდა ბორჯომის ხეობიდან მომავალი მე-11 და მე-12 ქვეითი ლეგიონები.

ჩვენ სარდლობას დაავიწყდა ფელდმარშალ მოლტკეს მეთოდი: —

1). პირველად გადაწყვიტე საკითხი: „რა მინდა მე“.

2). შემდეგში კი გადაწყვიტე — „როგორ შეუძლია მტერს შემოშალოს ხელი მასში, რაც მე მინდა“.

ტფილისთან ოპერაციებს რომ ჩაუკვირდეთ, ხედავთ მართლაც ყო-

იმის ძიებაშია, თუ „რა უნდა მტერს“ და ამის მიხედვით მოქმედებს. სა-  
უბედუროდ, ამის შედეგად ის დარჩა, რომ ჩვენ ომი წავაგეთ და დღეს  
სამშობლოს რუსის ჩეჰმა თელავს.

ერთი სამხედრო ავტორიტეტი სწერს: —

„თანამედროვე სარდალის მთელი ხელოვნება იქითკენ კი არ უნდა  
იყოს მიმართული, რომ მტერს შეუქმნას მხოლოდ კატასტროფიული  
მდგომარეობა, არამედ თავისი ჯარის მდგომარეობისა და ნაკლის სა-  
ხეში მიღებით მიაღწიოს გამარჯვებას“-ო.

2 იმერეთის ბაზალიონის ყოფილი უფროსი

ა. კვიციანი

10 აპრილი, 1933 წ.

პარიზი.

1922 წლის აჯანყება \*)

(მოგონებათა რვეულიდან)

ამ შემოდგომას შესრულდა ერთი დიდი დრამატიული ქართული  
ამბის ათი წლის თავი. მეტროპოლ საქართველოს პანთეონში იგი ცალკე  
ქეგლადაა აღმართული, თავისი საკუთარი წარწერითა: —

1922 წელი. აჯანყება ხევსურეთში.

ეს ხანა და ეს მისი ამბავი ჩვენს წრეებში ჯერ ნაკლებად არის  
ვარკვეული და შეფასებული. ამ ნაკლის შესავსებად შემომაქვს მცირე  
წვლილი და ჩემი მოგონების რვეულიდან დღეს ვაქვეყნებ რამოდენიმე  
ფურცელს, რომელიც ეხება იმ დროს და აშუქებენ იმ დიდი ამბის ზოგი-  
ერთ მნიშვნელოვან მხარეს.

\*) მოხსენებად წაკითხული 1932 წ. „საფრანგეთში მყოფ ქართ-  
ველთა ასოციაციის“ საჯარო სხდომაზე.

ამასთანავე ერთად ვუსრულებ დანაპირს იმ აჯანყების მონაწილეს და მისთვის შეწირულს ჩემს მეგობარს პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილს, რომელმაც ჩამომართვა სიტყვა — რომ მისი დაღუპვის შემთხვევაში „თავის დროზე მოვუთხორო ქართველებს მისი ცდა ჩაგრულ ქართველ ხალხის განთავისუფლებისათვის“.

ათმა წელიწადმა უკვე გაიარა და შესაძლებლად ვცნობ მეგობრის ანდერძი შევასრულო. ეს ჩემი მოთხოვნა ვნებით ველარავის ავნებს, რადგან ხევსურეთის აჯანყების მონაწილეთა უმრავლესობა დღეს საქართველოს დიდების აკლდამაში განისვენებს.

„თავის დროზე“ თქმა მართლისა სიმართლისა ჯერ კიდევ ცოცხალ ქართულ საქმეს კი იქნებ გამოადგეს.

ამ მოგონებაში არაფერი შემითხზავს, არაფერი შემიღებნია. შემოკლებით ავსწერ მხოლოდ მართალ ამბებს, რის მონაწილე ან მოწმე ვიყავი იმ დროს და დამოწმებული მაქვს შესაფერი საბუთებითაც.

1922 წელს, იენისის თავში, სალამო ჟამს, ჩემს თბილისის ბინაზე მეწვია პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, წითელი ქართული დივიზიის შტაბის უფროსი.

მაღალი ტანის, ლამაზმა და მოლიმარე სახის კაცმა ხელი გამიწოდა. წელიწადი შესრულდა. რაც მეტეხმა და სხვა არა ჩვეულებრივმა ამბებმა დაგვაშორეს ერთმანეთი. ამიტომ დიდის სიხარულით მივესალმე ჩემს მოულოდნელ „წითელ“ სტუმარს.

— მომიყვანა თქვენთან განსაკუთრებულმა საქმემ — მითხრა მუსხელიშვილმა. — სად არის ეხლა ჩოლოყაშვილი? რა ამბები მოვდიო მისგან? რას აპირობს? —

— ჩოლოყაშვილი, დღიდგან გასვლისა, კახეთშია. მაისში მისგან ვრცელი წერილი მივიღეთ. გვატყობინებს, რომ კახეთში და მთიულეთში ბოლშევიკთა წესებით ხალხი იმდენათაა აღშფოთებული, რომ ადვილი შესაძლებელია ამ მხარეში აჯანყებამ უცაბედათ სადმე იფეთქოს და მეც ჩამითრიოს თავის ბრძოლის ტალღებშიო. ამასთანავე იწერება თავის გაჭირვებაზე. მას არა აქვს სურსათის შესაძენი ფული, ტანსაცმელი და საკმაო ვაზნები. მოითხოვს საჩქარო შევლას და პასუხსაც: „როგორ მოვიქცე, თუ ხალხი გამოვიდაო“?

— ეს მართალია — სთქვა პოლკოვნიკმა როსტომმა. ასეთივე ცნობები მოსდის კავკასიის წითელი ჯარის შტაბსაც. ამ პროვინციების მღუ-

ღვარება რუსებს ძალიან აწუხებს. ეშინიათ, აქედან მღელვარება ჩრდი-  
 ლო კავკასიას არ მოედოს. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ნიჭიერ და მამაც  
 პარტიზანად სთვლიან. „ჩოლოყაშვილი ძვირად დაუჯდება მოსკოვსო“,  
 მეუბნებოდა გუშინ კავკასიის შტაბის უფროსი პუგაჩევი. ჩემის აზრით  
 — მითხრა მუსხელიშვილმა — თუ ამ ხანად აჯანყებამ იფეთქა და  
 აჯანყებულებმა წესიერად წაიყვანეს თავისი საქმე, ადვილი მოსალოდ-  
 ნელია, მათი გამარჯვება თბილისის აღებით დამთავრდეს. ამიტომ აუ-  
 ცილებელია ჩოლოყაშვილისათვის ყოველი დახმარების აღმოჩენა და  
 მასთან მუდმივი კავშირის გაწყობა. რას ფიქრობს ამაზე ჩვენი პოლი-  
 ტიკური ცენტრი? —

— ინტერპარტიული კომიტეტის უმრავლესობა თავიდანვე წინა  
 აღმდგეია ჩოლოყაშვილის შეიარაღებულ გამოსვლებისა. ჩვენს წარ-  
 მომადგენელს იასონ ჯავახიშვილს ამ ნიადაგზე მათთან მუდმივი დეა  
 უხდება. ამ ცენტრში ხომ ყველა საკითხი შეთანხმებით სწყდება და ამ  
 საკითხის გარშემო ჯერ არაა მიღწეული თანხმობა. ამიტომ, ამ უამად,  
 არცაა მოსალოდნელი, რომ მან დასტური მისცეს აჯანყების მზადებას  
 და არც დახმარებას აღმოუჩინს ჩოლოყაშვილს. —

— საზღვარგარედ მყოფი მთავრობა, არც ის ეხმარება განა? —

— არა. —

— მაშ ვინ შევლის ჩოლოყაშვილს? —

— ადგილობრივად მას თვით ხალხი ეშველება. თბილისიდან კი  
 მთელი ქართული საზოგადოება და ის პოლიტიკური ქართველობა,  
 რომელიც არ იზიარებს პოლიტიკური მეთაურობის ამ გაუბედავ პოზი-  
 ციას. ეს მაშველი ქართული წრეები, თვით საკმაოდ გატყავებულნი, შე-  
 ძლების და გვარად შევლიან ქაქუცას პარტიზანებს ფულით, ტანთსაცმე-  
 ლითა და სხვა... მაგრამ, რასაკვირველია, ეს წვეთია მოთხოვნილებათა  
 ზღვაში —

თავ-ჩაღუნული, დაღვრემილი ისმენდა ამ პასუხს როსტომ მუს-  
 ხელიშვილი. კარგა ხანის დუმოლის შემდეგ სთქვა: —

— ეს ძალიან სამწუხაროა... უნდა დაარწმუნო ქართული პოლი-  
 ტიკური მეთაური ხალხი, რომ შეიარაღებულ ბრძოლის ხვედრს ვერ  
 გაექცევიან. აჯანყება მაინც მოხდება და თუ აქედანვე ყველანი ერთად  
 სამზადისს შევუდგებით, გავიმარჯვებთ. პირობებიც ხელსაყრელია  
 გვაქვს. საბჭოთა ჯარი კავკასიაში დღეს მცირეა და სუსტი. ამიერკავ-  
 კასიაში — 19.000. ამდენივე ჩრდილო კავკასიაში. თავის წითელ ჯარს

კავკასიაში მოსკოვი დღეს ვერ დაეხმარება ვერც ერთი ზედმეტი წითელი არმიელთ. მან უნდა „გაიმარჯვოს ან გასწყდეს“ როგორც სწორედ აქაურ ჯარის უფროსს მოსკოვიდან. უკანასკნელ შემთხვევაში, წარმოიდგინეთ, მოსკოვი მზადაა საქართველოზე სრულებით აიღოს ხელიც. თქვენ იცით ჩემი პირადი ამბავი. თავიდან თუ ვიკისრე მტრის ბანაკში შტაბის უფროსობის თანამდებობა, მხოლოდ ერთი მიზნისათვის — ჩემი სამშობლოს რუსეთისაგან საბოლოო განთავისუფლებისათვის. ამ ხნის განმავლობაში რუსები ვერ მიუხვდენ ამ ჩემ ზრახვას. პირიქით, მათ სამხედრო წრეებში ისეთი ნდობა დავიმსახურე, რომ მოსკოვის ყველა სამხედრო და პოლიტიკური საიდუმლოების მონაწილე გავხდი. და ვიცი დანამდვილებით, რომ წესიერი აჯანყების წარმოების შემთხვევაში, კავკასიის წითელი ჯარი განწირულია. და თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ მე მბარია ამ ჯარის დისლოკაცია და ჩემს ხელშია ჯარების გადაწევა-გადმოწევის აპარატი ამიერკავკასიის ფარგლებში, მიხვდებით, რომ უანგარიშოდ არ გელაპარაკებით. ენდეთ ამ ჩემს ცნობებს და საქმის ცოდნას. ეცადეთ მხოლოდ დაითანხმოთ პარტიათა კომიტეტი, დაარწმუნოთ და სთხოვოთ, რომ ნუ გაუშვებენ ხელიდან ხელსაყრელ დროს და პირობებს, თორემ მერე გვიან იქნება. რამოდენიმე წელში ბოლშევიკური რუსეთი გაძლიერდება კავკასიაში და მის მორევას საქართველო და კავკასია დიდ ხანს ვეღარ ელირსება. —

— არ დაგიმალავთ — მივუგე პასუხად რ. მუსხელიშვილს — ამის იმედი არა მაქვს. კარგ შემთხვევაში მის დაჯერებას დიდი დრო მოუწდება. აჯანყების ჟამი კი, როგორც სჩანს, მოახლოვებულია. თქვენის ცნობებით, როდისაა ეს მოსალოდნელი? —

— ამ შემოდგომას ან გაზაფხულს! — მიპასუხა როსტომმა.

— იციან ეს რუსებმა? —

— მე ვუმაღავ ბევრ ამბავს პუგაჩოვს, ვამწვიდებ, მაგრამ როდემდის? თელავიდან, თუქურშიშიდან, ლაგოდეხიდან წითელი არმიელების უფროსები, ეს რამოდენიმე თვეა, დაჟინებით თხოულობენ ადგილობრივი გარნიზონების გაძლიერებას... მაგრამ მაინც ეს იმდენად საშიში არ არის... საშიშია მხოლოდ, ჩვენს მოახლოვებულ აშკარა გამარჯვების საქმეში, ქართული პოლიტიკური წრეების შეუთანხმებლობა. —

როსტომ მუსხელიშვილი წამოდგა ფეხზე და გამოთხოვებისას კიდევ გაიმეორა: —

— თქვენი მეგობრებით ეცადეთ, რაც შეიძლება მალე მიაღწიოთ შეთანხმებას. დრო არ იცდის. —

— თუ ამ შეთანხმებას ვერ მივალწევთ, მაშინ? — დავეკითხე მუსხელიშვილს.

— მაშინ ყველანი ისინი უნდა შევთანხმდეთ, ვისაც თვალები ახილული აქვს და ჩახედულია სინამდვილეში. გვინდა, არ გვინდა, გვერდში უნდა ამოვუდგეთ მეზობელ ქართველ ხალხს. თუ დავმარცხდებით, ქართულ ისტორიას პატიოსანი ეროვნული ბრძოლის კვალს ხომ დავუტოვებთ? მე მზადა მაქვს გვგმა წესიერ მოქმედებისათვის და ამ დღეებში ვაგაცნობთ მის შინაარსს. ნახვამდის. —

— გამარჯვებით ბრძანდებოდეთ! —


როსტომ მუსხელიშვილმა დაავლო ხელი სქელ პორთფელს და გაჰქრა გასავალ კარებში.

იმ ხანებში საბჭოთა ქვეყნების მთელს სივრცეზე ბოლშევიკურა წითელი ჯარის ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იყო სათანადოთ დამთავრებული და დალაგებული. დაქანცულს სამოქალაქო ბრძოლებში, დამარცხებულს პოლონეთთან ომში, განახევრებულს ბოლშევიკურ ჯარს სჭირდებოდა საკმაო დრო თავის რეორგანიზაციას მოხდენისათვის. ახალი მნიშვნელოვანი გართულებანი ამ პირობებში ძალიან გაუძნელებდა მას გამარჯვების საქმეს, მით უფრო აჯანყებულ კავკასიაში, სადაც მოსკოვის ძალაუფლება პოლიტიკურად და მხედრულად ჯერ არ იყო ვამაგრებული. მაგალითად, საქართველოში შედარებით თავისუფლება არსებობდა. ქართული ეროვნული ჯარის გაწითლება ჯერ არ მომხდარა. არც ტერორის სეზონი დაწყებულა.

კავკასიის წითელი ჯარის შტაბის უფროსის „მარჯვენა ხელს“ — პოლკოვნიკ მუსხელიშვილს ყველაფერი ეს აწონილ-დაწონილი ჰქონდა და წინდაწინვე დამზადებული შესაფერი ქართული საბრძოლელი გეგმები. მათ რიგში მისი უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო საქართველოში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით დაწყებული პარტიზანული ასპარეზის გაფართოება-გაძლიერებისათვის. მაგრამ მუსხელიშვილის ანგარიშებს ვერ გამოეპარებოდა, რომ მტერსაც არ ეძინა და იგი განსაკუთრებული ზომების მიღებით ეცდებოდა ქართველი პარტიზანები შეეკვეცა. ამასთანავე იგი ითვალისწინებდა იმასაც, რომ კომუნისტური პოლიტიკით ყელში წაჭერილი ქართველი გლეხობა, მოთმი-

ებიდან გამოსული, ყოველგვარი გეგმის გარეშე, უცაბედათ იარაღს ხელს მოკიდებდა და აჯანყდებოდა. ყველაზე სწორ ანგარიშად ეს უკანასკნელი გამოდგა... წინა წელს სვანეთში მომხდარ გამოსვლების ჯანყის სულისკვეთება ეხლა აღმოსავლეთს მოედო. და მართლაც, 1922 წ., ზაფხულში, ქართლ-კახეთის ყველა კუთხეში ამშობების სუნი დატრიალდა. ამ შემთხვევისათვისაც წინდახედულა. ნიჭიერი ქართველი მხედარი, როსტომ მუსხელიშვილი მზად იყო და მან შეამზადა ამისათვის განსაკუთრებული გეგმა. იგი ძალიან მარტივი იყო.

როსტომ მუსხელიშვილის გეგმით, აღმოსავლეთ საქართველოს აჯანყება უნდა დაჰყრდნობოდა თავის ისტორიულ ბაზას — ხევსურეთს მაგარ მთა-სიმაგრეებს.



დაახლოებულს თბილისთან, მოდარაჯეს საქართველოს სამხედრო გზისა, ამავე დროს, ხევსურეთს ეჭირა შუაგული კავკასიისა და იჭრებოდა კავკასიის უღელტეხილის პირიქით მხარეს და საქართველო — ჩრდილო კავკასიის მთიელთა შორის საკავშირო ხიდათ იყო გადებული. უკვე ძველი დროიდან ხევსურეთის მდებარეობა იშვიათ მომგები-



ან პოზიციად ითვლებოდა და ამიტომ საქართველოს მცველნი და აჯანყებულნი მუდამ თავის მთავარ ბურჟუაზ სთვლიდნენ. ჯერ კიდევ მეფეთა რუსეთის შემოსევის ხანაში ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ხევსურეთმა და იქ, ქართლ-კახეთიდან, თავმოყრილმა აჯანყებულებმა გაუწია.. „სანამ ხევსურეთის ციხეს არ დავანგრევთ, თბილისში არხეინად ვერ დავიძინებო“, — სწერდა მაშინდელი ერთი რუსი გენერალა თავისიანებს პეტერბურღში. 1804 წელს, პატარა ხევსურეთის აღებას რუსეთმა 70.000 ჯარისკაცი და 50 ზარბაზანი მოანდომა.


ქართველი მეფეების მხედრობაში ხევსურები მუდამ პირველ რიგში ითვლებოდნენ და არა მხოლოდ თავისი მხედრული გაწრთვნილობით და მამაცობით. არამედ იმიტომ, რომ მეომრების დაძახებისათანავე ხევსურები პირველნი „ჩამოგორდებოდნენ“ მთებიდან და თბილისის შესავალ ბჰეებს იჭერდნენ და ამაგრებდნენ.

1917 წელს, ოქტომბერში პირველი მაშველი რაზმი გაჭირვებულ თბილისს ტრადიციულად ხევსურეთმა გამოუგზავნა. 80 ხევსურმა, ზევის ბერის გოგოთურ ჭინჭარაულის მეთაურობით, დაიჭირა თბილისის რკინისგზის მაგისტრალი, ავჭალიდან ნავთლულამდე, და დაუყონებლივ აღადგინა წესიერება თბილისის ამ უტუმნიშვნელოვანეს შესავალ „რკინის კარებთან“.

ეხლაც, პოლკოვნიკ მუსხელიშვილმა ივარაუდა ხევსურეთის მდებარეობის ყველა ეს განსაკუთრებული თვისებანი და გადასწყვიტა მათი სრული გამოყენება თავის საოპერაციო გეგმაში.

ხევსურეთის „ასაღებად“ მუსხელიშვილი თავს აყრევინებდა კავკასიის შტაბს ამიერკავკასიაში მობინადრე ყველა რუსის ჯარებს და დღუმეთ-თიანეთის მაზრათა მთების ძირში და ხეებში ამწყვდევედა. ამავე დროს, ამ ჯარის ზურგში მუსხელიშვილის გეგმა მაგარ დამკვრელ რაზმს უსაფრებდა. დანიშნულ დღეს, როდესაც რუსის ჯარი შეტევაზე გადავიდოდა და ჩაებმებოდა რთულ და მძიმე მთიან ბრძოლებში, ჩოლოყაშვილის მეამბოხეებთან, ეს ჩასაფრებული ქართული რაზმი მას ზურგიდან უნდა დასცემოდა. ზურგ-გატეხილ. პანიკაში გადავარდნილ და დაშლილ ბოლშევიკურ ნაწილებს, კონტრ-იერიშებზე გადმოსული ჩოლოყაშვილი ადვილად მოერეოდა, მათს მხრებზე დაეშვებოდა მთებიდან და ერთის სწრაფი დაკვრით აიღებდა უძალო თბილისს.

# ხევსურეთი



თბილისის ადებსა და რუსეთის ჯარის განადგურებას, მუსხელიშვილის გეგმით, საქართველოს და მთელ უკვე უჯარო ამიერკავკასიის ერთდროული განთავისუფლება თან მოჰყვებოდა. ზურგ-გამაგრებული ჩრდილო-კავკასიის მთიელებიც ადვილად და სწრაფად იხსნიდნენ თავს მოსკოვის უღელისაგან და ამ გვარად შესაძლებელი ხდებოდა მთელი კავკასიის განთავისუფლებისაც ფაქტად გადაქცევა.

კოტე აბხაზმა და ალ. ანდრონიკაშვილმა მოიწონეს მუსხელიშვილის გეგმა. აბხაზმა ურჩია მუსხელიშვილს, დაუყონებლივ ეცნობებინა ეს გეგმა ჩოლოყაშვილისათვის. როსტომმა ვაუმეორა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავჯდომარეს, აბხაზს, რომ გეგმის შესრულება დამოკიდებულია „ზურგის დამკვრელ რაზმის“ მოწყობის საქმეზე, რომელიც საჭიროებს ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების სრულ თანხმობას.

— მე დანამდვილებით ვიცი, — გვითხრა მუსხელიშვილმა, — რომ

დღეშეთის მაზრაში პოლიტიკური პარტიების გავლენა დიდია და ვში-  
შობ, რომ მათმა უთანხმოებამ ხელი არ შეუშალოს ამ რაზმის ორგანი-  
ზაციას. გთხოვთ სათანადო გავლენა მოახდინოთ თბილისის პოლიტი-  
კურ წრეებზე ამის თავიდან ასაცილებლად. —

კოტე აბხაზმა მოიწვია ეროვნულ-დემოკრატიული ცენტრალური  
კომიტეტის საგანგებო კრება.

სწორედ იმ დროს კახეთიდან დაბრუნებულმა გიორგი წინამძღვრი-  
შვილმა ჩამოიტანა მრავალი დამარწმუნებელი ცნობა აჯანყების დღის  
მოახლოვების შესახებ.

— ხალხი ღელავს. ნამეტნავად მთიულები. მოსთხოვენ ჩოლოყა-  
შვილს: მოთმინების ფიალა აგვევსო. ბოლშევიკების სიმხეცეს ვეღარ  
ვიტანთ. შენს შენახვასაც დღითი-დღე გვიძნელებენ. გაგვიძნით და  
მტერს შევეუტიოთო. ქაქუცას მდგომარეობა ღია კახეთში ხომ მეტად  
გაძნელდა. იგი იძულებული გახდება მალე მთიან თიანეთ-დღეშეთისაკენ  
ბინა გადაინაცვლოს. იქ, მის გარშემო, ბუნებრივად მთიელების თავის  
მოყრა დაიწყება. ეს კ' ბრძოლის დაწყების მომასწავებელია. ჩემის უა-  
კვირვებით, აჯანყება ერთ თვეში იგრიალეხს, — დაასკვნა თავისი მო-  
ხსენება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში  
გიორგი წინამძღვრიშვილმა.

კოტა აბხაზი ეკითხება იასონ ჯავახიშვილს (წარმომადგენელს ინ-  
ტერპარტიულ ცენტრში) — იცის თუ არა ეს ამბები პოლიტიკურმა  
ცენტრმა? —

იასონ ჯავახიშვილი: — დიახ, იცის... მაგრამ შეიარაღებული ვა-  
მოსვლის წინააღმდეგია. —

კ. აბხაზი: — დალოცვილები!.. სულ იმას გაიძახიან: ხალხი, ხალ-  
ხზეო, ხალხთანაო... ერთობა... ბრძოლაო... და ეხლა ნამდვილ ხალხურ  
ბრძოლას კი გაუბრძიან!.. —

მიხეილ იშხნელი: — თქვენ, ბატონო იასონ, ამ საკითხში რა პოზი-  
ციას იცავთ ცენტრში? —

ი. ჯავახიშვილი: — ვიბრძვი შეთანხმებისათვის. ჩვენი სეპარატი-  
ული მოქმედება დაანგრევს ქართულ ძალთა პოლიტიკურ ერთობას და  
ზიანს მიაყენებს მთელ ქართულ საქმეს. ესაა ჩვენთვის საანგარიშო. —

გიორგი წინამძღვრიშვილი: — ამ ანგარიშის მოლოდინში ქართუ-  
ლი ბრძოლის საქმე რომ ნაღდათ დაინგრეს, მაშინ რაღასი და ვიღასათ-

ვის იქნება ეს დაგვიანებული, კბილებ-ჩაღეწილი ერთობა პოლიტიკურ პარტიებისა? —

**ი. ჯავახიშვილი:** — თუ ყველანი ამ აზრის ბრძანდებით, ნება მიბოძეთ ჩემი თანამდებობიდან გადავდგე, რადგან სხვა პოზიციას საერთო ცენტრში მე ვერ დავიცავ. —

**კ. აბხაზი:** — თქვენი გადადგომა საჭირო არ არის. მხოლოდ კი გთხოვთ გადასცეთ ცენტრს გ. წინამძღვარიშვილის მოხსენებასთან ერთად ჩვენი ნალაპარაკევი და სურვილიც შეთანხმებისა, კარზე მომდგარ ბრძოლის საქმის წესიერ გაძღოლისათვის. ჩვენ დავუცდით თქვენი მოხსენების შედეგებს. —

მაგრამ, საუბედუროდ, დრო აღარ იცდიდა. ახალი მოვლენები სწრაფად ვითარდებოდენ. ყაზბეგიდან შიკრიკი ჩამოვიდა: ხალხი ირაზმება; სამხედრო გზაზე შეიარაღებულ მთიულთა ჯგუფები გაჩნდნო. ჩოლოყაშვილი თიანეთისაკენ მოდისო. ხევსურეთი ფეხზე დგებაო. ეს ხმები მოსდიოდა თბილისს ყოველი მხრიდან.

ამ დღეებში, ერთ დილას, ქუჩაზე საჩქაროდ მიმავალს, თავს წამადგა მეგობარი კაცი:

— დაგეძებთ ყველგან... ყოვლად სამღვდელო ამბროსისაგან თქვენთან დაბარება მაქვს. გთხოვთ მომისმინოთ! —

შევედით იქვე მახლობლად ღვინის სარდაფში. ნაცნობმა მეღუქნემ გაგვატარა მიყრუებულ პატარა ოთახში და კარები ჩაგვიკეტა.

— ბრძანეთ! — მივუგე მეგობარს.

— ყოვლად სამღვდელო გიგზავნით თავის ლოცვა-კურთხევას და გატყობინებთ შემდეგს: თელავიდან საგანგებო კაცის პირით კათოლიკოსს მოუვიდა ამბავი, რომ ხალხი დღე-დღეზე გამოსვლას აპირებს; რომ ჩოლოყაშვილი გადავიდა კახეთიდან ხევსურეთში. კათოლიკოსს ამბროსის გადაწყვეტილი აქვს ხალხის ამ გამოსვლაში მონაწილეობა მიიღოს. ამიტომ გთხოვთ, როგორმე აცნობოთ ბატონ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, თუ ეს შესაძლებელია, გამოსვლის დღე ალავერდობის დღეობას შეუფარდოს. (27 ენკენისთვის ახალი სტილით). ამ დღეს კათოლიკოსი იქნება ალავერდში და წმ. ნინოს-ჯვრით დალოცავს და აკურთხებს მებრძოლ ქართულ რაზმებს... და თვით გაჰყვება მათ ბრძოლაში. —

— ეს ნაბიჯი მართლაც გადაწყვეტილი აქვს კატოლიკოსს? — ვაკერებით გადავკითხე მის გამოგზავნილ კაცს.

— დიახ, ნაფიქრი და გადაწყვეტილი. —

— მაშ, გადაეცით ყოველად სამღვდელოს ჩემი მადლობა ლოცვა-კურთხევისათვის და აცნობეთ, რომ ყოველ ღონეს ვიღონებთ, და შევატყობინებთ ჩოლოყაშვილს მის სურვილს. —

განშორებისას მესაუბრემ მითხრა: — უკანასკნელ დროს კატოლიკოსი ძალიან აღელვებულია. მუდამ იმეორებს: — რჯულისა და ერისათვის სიკვდილი მწყურია. ველარ ვიტან ამ შეგინებულ, ნაძრახ ქართულ სიცოცხლეს-ო. —

ხმები გამართლდა. აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით გაჩნდა ქ. დუშეთის მიდამოებში. ბოლშევიკური ძალა-უფლება შეინძრა. ამოძრავდა ჯერ მისი პარტიული აპარატი. თბილისიდან საბარგო ავტომობილებით საჩქაროდ გაიგზავნა დუშეთისაკენ 150 კაცისაგან შემდგარი კომსომოლის რაზმი. ამოძრავდა როსტომ მუსხელიშვილიც.

— რა ვქნათ! თუმცა მზად არა ვართ, არც პოლიტიკურ ქართველთა შეთანხმება გვაქვს ხელში, თანაც ჩოლოყაშვილიც ნაადრევად ითრევა ბრძოლაში, მაინც უნდა სასწრაფოდ ვიმოქმედოთ. პუგაჩოვის განკარგულებას ჯარების დაგროვების შესახებ თბილისის ბაზაზე ხელოვნურად ვაჩერებ. მივიღე სანუგეშო ცნობები, რომ შალვა ფავლენიშვილი, სვიმონ ჭიაბრიშვილი და სხ. დუშეთის ტყეებში რაზმს აგროვებენ. უნდა ვეცადოთ, რომ იგი რაც შეიძლება მალე გავზარდოთ. ჩოლოყაშვილს ჯერ არ გაუჭირდება. გაუწრთენელ კომუნისტურ რაზმს ადვილად მოერევა. სანამ წითელი ჯარები თავს მოიყრიან დუშეთ-თიანეთის ხაზზე, ჩვენი ზურგის დამკვრელი რაზმიც მზად იქნება. გეთავა, უბატრონეთ ამ ჩვენ მხსნელ მუშტს... არ დაგვეშალოს... — შეჩურჩულებოდა ქუჩიდან როსტომი, მიბჯენილი ჩემი ბინის ღია ფანჯარის ჩარჩობზე.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ნაშუადღევს, ვერის აღმართზე რაზმ-რაზით, ზედი-ზედ აცოცდნენ დიდი საბარგო ავტომობილები, გადაფარებულნი სქელი ბრეზენტებით. უკანასკნელი ავტომობილის აწეული ბრეზენტის ქვემოდან თბილისელებმა დაინახეს მკვდარ ადამიანთა ფე-

ხები. ეს იყო ოთხმოცი კომსომოლი, დახოცილი ჩოლოყაშვილის მის მიერ სოფელ ყინვანთან. ომი დაიწყო...

კომუნისტურ თბილისს მოედო პანიკა. დაიწყო დენა ჯარებისა დუშეთ-თიანეთისაკენ. მათ უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი.

— მივდივარ ფრონტზე, — შემომივარდა როსტომი დანიშნულ ბინაზე — დუშეთის ახლოს ზურგის რაზმის დაგროვება წესიერად მიმდინარეობს. ქართლიდანაც მიეხმარებიან. გავაბი მათთან მჭიდრო კავშირი. ეხლა კი იმედი მაქვს ჩემი გეგმა სავსებით განვახორციელო... ან გამარჯვება, ან სიკვდილი... უკანასკნელ შემთხვევაში, თქვენ, თავის დროზე უამბობთ ქართველებს როსტომ მუსხელიშვილის „მოღალატეობის“ ნამდვილ ამბავს და მის ცდას ჩვენი ჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის. მივდივარ. მაშ, გამარჯვებამდის! —

გადავებვით ერთმანეთს. აჩქარებული ნაბიჯით როსტომ მუსხელიშვილი დაეშვა ქუჩის დაღმართს. ეს იყო უკანასკნელი ჩვენი შეხვედრა. რა მოხდა ამის შემდეგ?

ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით აჯანყებულნი გამაგრდენ ხევსურეთის მთებში. მისი მოწინააღმდეგე წითელი რუსი ჯარი ლავდებოდა მუსხელიშვილის გეგმით თიანეთ-დუშეთის მისავალ ხეობებში.

მალე ჩოლოყაშვილის რაზმელები ჩაებნენ ბრძოლაში რუსების მოწინავე ნაწილებთან. თბილისელები დღე-დღეზე ელოდენ დამზადებულ ყუმბარის გავარდნას... გაიარა კვირამ. არავითარი ამბავი ფრონტიდან! გარდა წითლების ოფიციალური ცნობისა — „ნელ-ნელა წინ ვიწვეთ“—ო... კიდევ რამოდენიმე ხანი მზაკვრულ სიჩუმისა... უეცრივ ხმა გავარდა: — დუშეთის რაზმი დაიშალა! დუშეთიდან რბენით ჩამოვარდნილმა ჭიაბრიშვილმა დაადასტურა ეს ხმა: —

— რაზმი დაგვიშალეს!

— ვინ? —

— თბილისიდან მოსულმა კაცებმა! —

იმვე დღეს თბილისში გაჩნდა ფრონტიდან ჩამოსული პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი („რუს-მაჭავარიანი“). საღამო ეამს შევხვდით ერთმანეთს.

— რა ამბავია ბატონო პოლკოვნიკო? რა მოხდა? — მივარდი კითხვით შეტად ალელვებულ მაჭავარიანს.

— ჰე! ყველაფერი დაღუპულია! ჩვენი მთავარი იმედი, დუშეთის დამკვრელი რაზმი გაიფანტა. ეხლა პუგაჩოვი ვაგვიჩნდა ფრონტზე, თავს ადგია მუსხელიშვილს და მოსთხოვს მას ენერგიულ შეტევას. ქ. გროზნოდან დაიძრა ჯარი ჩოლოყაშვილისათვის დახვევის გზების ჩაეტევისათვის. მუსხელიშვილის გეგმა დაინგრა. ქაქუცას ბრძოლაც აწ განწირულია... მართალია, მას ბოლშევიკებს ხელში არ ჩაეუვდებთ და საშვიდობო გზას გაეუხსნით... მაგრამ დიდი გამარჯვების საქმე წაგვიხდა, ძალიან დიდი... — მწუხარებით მოსთქვამდა მორიგი ქართული მარცხის ამბავს შეთქმული, გამოჩენილი ქართველი მხედარი...

სვიმონ ჭიაბრიშვილის და ალექსანდრე მაჭავარიანის ნაამბობი საცხებით დამტკიცდა. ენკენისთვის ბოლო რიცხვებში შალვა ფავლენიშვილის მეთაურობით დუშეთის ახლოს შემდგარი რაზმი უკვე მზადა იყო. ქართლიდან მასთან მიეშურებოდა ლაშქარაშვილის პატარა რაზმი სვიმონ ბაგრატიონ მუხრანელის მეთაურობით. ფავლენიშვილი ელოდებოდა მხოლოდ მუსხელიშვილის ბრძანებას ფრონტიდან. ამ დროს, თბილისიდან ჩამოვიდა სამი კაცი და მიმართა რაზმელებს შემდეგი სიტყვებით: —

— ჩვენ გამოგვაგზავნეს თბილისის პოლიტიკურ ორგანიზაციებმა, რომ შეგაჩეროთ საშინელი ავანტიურისაგან. სად მიდიხართ? რისთვის? საერთო გამოსვლის დღე ჯერ არ არის დანიშნული. ჩოლოყაშვილის მოქმედება — კერძოა! მას ქართველი ხალხი არ გაჰყვება... ამიტომ იგი უსათუოდ დამარცხდება. დაბრუნდით შინ და ელოდეთ იმ დღეს, როდესაც თბილისიდან მოვივით წინადადება ისეთ გამოსვლისათვის, რომელშიაც მთელი ხალხი მიიღებს მონაწილეობას. გირჩევთ ეხლაც დაიშალოთ, რომ ტყუილ-უბრალოდ არ დაიღუპოთ და არ დაღუპოთ თქვენი ცოლშვილნიც. —

ამ აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო. სამი დღის განმავლობაში, დუშეთის რაზმი განახევრდა. დანარჩენებიც ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდნენ. პოლკოვნიკ მუსხელიშვილის შიკრიკს დუშეთის ტყეში თავდადებული შალვა ფავლენიშვილი რამოდენიმე კაცით-ღა დახვდა.

დასასრული ამ საბედისწერო ბრძოლისა ასეთი იყო: — გარშემორტყმულმა რუსის ჯარებით, გმირმა ქაქუცამ გაარღვია მტრის რკალი და საშვიდობოს გამოვიდა. შალვა ფავლენიშვილმა თბილისში, გუნიბის ქუჩაზე, თავის ბინაზე, ავადმყოფმა, ლოგინში მწოლარემ თა-

ვი მტრებს ხელში არ ჩაუვდო და თავი მოიკლა. აკლებული ხევსურეთი მიწყნარდა. 1922 წლის აჯანყება დამარცხდა.

ახლა საქმეს შეუდგა „საგანგებო კომისია“ (ჩეკა) და დაამთავრა თავისი გამოძიება 1923 წ. მარტში 15 გამოჩენილ ქართველ სამხედრო მოღვაწის დატუსაღებით. მათ შორის იყო პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილიც.

მტრის ოფიციალურ დასაბუთებას (საგანგებო კომისიის განაჩენი. გაზეთი „კომუნისტი“, №115, 25 მაისი) არ გამოეპარა დასახული გეგმა და მიზეზი ამ აჯანყების დამარცხებისა.

თავის განაჩენის განმარტებაში იგი ამბობს: —

„საქართველოს საყოველთაო აჯანყების გეგმა მოკლედ გამოიხატებოდა შემდეგში: ჩოლოყაშვილი აწყობს აჯანყებას დუშეთის მაზრაში და ხევსურეთში. ფავლენიშვილი და ლაშქარაშვილი კი ზურგიდან ესხმიან ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარს“.

მტერი ახდილად იხსენიებს აჯანყების მარცხის მთავარ მიზეზსაც.

— „გამოაშკარავდა, რომ პარტიათა შორის საბოლოო შეთანხმება არ არსებობდა. პირიქით — პარტიათა შორის შუღლი მივიდა იქამდის, რომ მენშევიკურ და ერ.-დემ.- პარტიის სამხედრო ორგანიზაციები მუშაობენ ცალ-ცალკე თავის ცენტრალურ კომიტეტების დირექტივების მიხედვით. ეს უთანხმოება დიდ აქტიურ ძალას ართმევდა მათ საქმეს და მით საერთოდ ასუსტებდა ანტისაბჭოთა ფრონტს“.

შალვა ფავლენიშვილის „ზურგის დამკვრელ რაზმის“ დაშლის ამბავსაც ბოლშევიკური გამოძიების დოკუმენტი ასე აღნიშნავს: —

„ენკენისთვის მიწურულში ფავლენიშვილთან შესაერთებლად ქართლიდან მიმავალი ლაშქარაშვილის პატარა რაზმმა (სვიმონ ბაგრატიონის მეთაურობით) მიიღო გზაში წერილი თბილისიდან, რომელშიაც მას მოკლედ აუწყებდენ, რომ ფავლენიშვილის რაზმის ლიკვიდაცია მოხდა და ამიტომ ლაშქარაშვილის რაზმიც უნდა დაიშალოს“.

1923 წელს, 25 მაისს ქ. თბილისში მოსკოვის ჯალათებმა დახოცეს მარტში დატუსაღებული ქართველ მხედრობის გამოჩენილი მეთაურება. სერგო ორჯონიკიძის პირადი ბრძანებით თავში დაიხვრიტა ქართული დივიზიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი.

სიკვდილის განაჩენში ასეა მოხსენებული როსტომის დანაშაული:

**მუსხელიშვილი როსტომ ილიას ძე, 35 წ.** ყოფილი აწნაური, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, საქართველოს დივიზიის შტაბის უფ-



როსი. იგი იყო ამ თანამდებობაზე, როდესაც შევიდა სამხედრო ცენტრის შემდგენლობაში და მუშაობდა მენშევიკებისა და ნაც.-დემოკრატიების კარნახით. აწვდიდა მათ სამხედრო საიდუმლო ცნობებს და დუშეთის ამბოხების დროს რაზმის შტაბის უფროსობის თანამდებობაზე კავშირი ჰქონდა ბანდიტებთან და ხელმძღვანელობდა მათ.

დაიხურა კიდევ ერთი ტრადიული ფურცელი საქართველოს ეროვნული ბრძოლის ისტორიისა. გამართლდა როსტომ მუსხელიშვილის წინასწარმეტყველება: —

ქართული პოლიტიკური წრეების შეუთანხმებლობით გამოწვეულ 1922 წლის აჯანყების მარცხს უმძიმესი შედეგი მოჰყვა: — მებრძოლმა საქართველომ დაჰკარგა თავისი გამარჯვების ხელსაყრელი დრო და მისმა მხედართა ბანაკმა თავისი დიდი მეთაურობა.

და მიუხედავად იმისა, რომ ორი წლის შემდეგ, უკვე შეთანხმებული ქართული პოლიტიკური ძალები გვერდში ამოუდგენ ერთსულოვანად აჯანყებულ ქართველ ხალხს — ამბოხება 1924 წლისა მტერმა ადვილად სძლია. რადგან გვიან იყო! კავკასიაში გაძლიერებულმა წითელმა რუსეთმა მემამბოხე საქართველოს გაუძნელა გზა მეზობლებთან საბრძოლელ კავშირის ვაწყობისათვის.

განმარტოებული ქართველი ხალხი დამარცხდა.

1922 წლის მარცხმა გადასწყვიტა ბედი 1924 წლისა.

**დავით ვაჩნაძე**

პარიზი, ოქტომბერი, 1932 წ.

## ქართველ ყოფილ მეომართა ცხომკრებიდან

ამა წლის ივლისის 7-ს, ენევის ახლოს. (საფრანგეთის ტერიტორიაზე) გაიმართა საფრანგეთის ყოფილ მეომართა წლიური ნაციონალური კონგრესი. საფრანგეთში მყოფ ქართველ ყოფილ მეომართა საზოგადოება, როგორც სრულ-უფლებიანი წევრი ფრანგ „კომბატანტების“ კავშირისა, მიწვეულ იქნა ამ კონგრესზე. ქართული საზოგადოება წარმოადგინა ბ-ნ ილამაზ დადეშკელიანმა. თანაც წარიგზავნა საზოგადოების ქართული დროშა.

კონგრესის ყველა წევრს დაურიგდა შემდეგი შინაარსის მემორანდუმი: —

### **ბატონებო და ძვირფასო ამხანაგებო!**

ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მეძლევა საფრანგეთში მყოფ ყოფილ ქართველ მეომართა სახელით მიუძღვნა უგულთადაესი სალამი: საფრანგეთის ფედერაციის დასახიჩრებულთა, ომის მსხვერპლთა და ყოფილ მეომართა საზოგადოების მე-16 წლიურ კონგრესს.

ქართველი ყოფილი მეომრები აღფრთოვანებით ადევნებენ თვალყურს იმ ღონისძიებათ, რასაც ხმარობდენ და ეხლაც ხმარობენ ჩვენი ფრანგი ამხანაგები, დიდი ომის შემდეგ წლებში, მათი სამშობლოს აღორძინებისათვის და იმ დიდ ღვაწლს, საბოლოო მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის რომ გასწიეს; საერთოდ იმ დიდ მუშაობისათვის, რომელმაც უნდა ააცდინოს მათ სამშობლოს, აგრეთვე სხვა ქვეყნებსაც, იმ ომის საშინელებანი და გამანადგურებელი შედეგები, რომელშიაც თვით მიიღეს უშუალო მონაწილეობა და განიცადეს.

ჩვენ, ქართველ ყოფილ მეომართ, შეძლება გვქონდა გვემუშავნა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობისა და აღორძინებისათვის მხოლოდ მოკლე ხანის განმავლობაში (1918—1921 წწ.). ჩვენ ვიყენებდით დიდ

ომში აქტიური მონაწილეობით მიღებულ გამოცდილებას და ვცდილობდით საქმისადმი ფრთხილი მოპყრობით თავიდან აგვეცდინა მომავალ ომთა საშინელებანი.

საფრანგეთის მიწა-წყალზე შეხიზნულთ, როგორ შეგვიძლია უკეთესად ვემსახუროთ მშვიდობიანობას, საერთოდ, და განსაკუთრებით ფრანგ ამხანაგთა პაციფისტურ მუშაობას, თუ არა ჩვენი ქვეყნის ისტორიის მოკლედ გახსენებით; იმ ქვეყნის, რომლის დამოუკიდებლობა იყო ცნობილი ოფიციალურად დიდი სახელმწიფოების მიერ; რომელსაც შეესია და დაიკავა იგი მრავალრიცხოვანმა ჯარმა, ომის გამოუცხადებლივ და იმ ხელშეკრულების დარღვევით, რომელიც დიდი ზემოთ იყო ხელმოწერილი და გაცვლილი.

საქართველოს ისტორია ეს არის ორი ათასი წელიწადზე მეტი დამოუკიდებელი არსებობა.

1783 წ. საქართველოს მეფე ერეკლე II ჰკრავს ტრაქტატს რუსეთის იმპერიასთან, რომლის მიხედვითაც რუსეთმა თავს იდვა, მრავალი უპირატესობის მიღებით, საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის გარანტია და დაცვა უცხოთა შემოსევისაგან. 1801 წ. რუსეთი არღვევს, ცალმხრივად, ამ ტრაქტატს და ახდენს საქართველოს ანექსიას.

დიდი ომის დაწყებისათანავე საქართველომ, გადადო რა დროებით თავისი ეროვნული საკითხის მოწესრიგება, გაიყვანა 200.000-მდე მებრძოლი სიმართლისა და თავისუფლების დასაცავად. ქართველი ჯარისკაცი იბრძვიან გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის და სათათრეთის ფრონტებზე ძველი რუსეთის იმპერიის არმიაში ან ჯარის ნაწილებში ან და წმინდა ეროვნულ სამხედრო ფორმაციებში.

1917 წლის რევოლუციის მსვლელობაში საქართველომ, ისე, როგორც სხვა ერებმა (პოლონეთი, ფინლანდია და სხ.) მოიპოვა დამოუკიდებლობა, რაიც გამოცხადდა 1918 წლის მაისის 26-სს.

საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო იურიდიულად: საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, გერმანიამ, არგენტინამ, ბელგიამ, იაპონიამ, ბოლშევიკურმა რუსეთმა და სხ.

1920 წლის მაისის 7-ს საქართველო ხელს აწერს ტრაქტატს ბოლშევიკურ რუსეთთან (მშვიდობიანობისა და „არა-აგრესივობის“). ამ ტრაქტატის შელახვით, ომის გამოუცხადებლად, დიპლომატიური კავ-

შირის შეუწყვეტლადაც კი, ბოლშევიკური რუსეთის ჯარები გადალახვენ საქართველოს ტერიტორიას 1921 წლის თებერვალში. საქართველოს მთავრობა და საყოველთაო არჩევნებით შემდგარი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, თავგანწირული ბრძოლების შემდეგ, გადადის საფრანგეთის მიწა-წყალზე, სადაც ისინი მიღებულ იქმნენ დიდა სტუმარ-მოყვარეობით.

ბოლშევიკურმა რუსეთმა დაამყარა საქართველოში სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი, უნახული ბარბაროსული (ათასობით დაიხვრიტა ყველა წრის ქართველი, გაუსამართლებლად) ყოველივე შუამავლობის მორიგების უარყოფით (მე-2 ინტერნაციონალის შუამავლობამ საქმის მშვიდობიანად მორიგებისათვის არ გამოიღო ნაყოფი).

ერთა ლიგამ, აღელვებულმა მომხდარი ამბებით, რასაც შეეძლო მშვიდობიანობის დარღვევა, მრავალჯერ გამოიტანა რეზოლუციები დაპყრობილ საქართველოსათვის დიდი სიმპატიებისა.

მთელ რიგ აჯანყებებს აქვს ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე 1921, 1922 და 1924 წლებში.

1924 წლის აგვისტოში აკუპაციისადმი წინააღმდეგობა იღებს საერთო ეროვნულ ხასიათს. ეს აჯანყება გრძელდება 3 თვე. ერთა ლიგა ერევა საქმეში, მაგრამ უშედეგოდ. ბოლშევიკური რუსეთი აღრჩობს აჯანყებას სისხლში და ცეცხლში. (7.000 დახვრეტილი).

ქართული უნივერსიტეტი განიცდის სისტემატიურ დევნას (სტუდენტების დაჭერა და დახვრეტა, პროფესორების გადაყენება) და ეს დევნა უფრო გამწვავდა ამ ბოლო დროს, რაც მიმართულია ქართული ენისა და კულტურის კერის წინააღმდეგ.

აი ტრალიული ფაქტები, მნიშვნელოვანი და გამაფრთხილებელი კაცობრიობის ამ არა მყარე ხანაში; ჩვენი, ნამსხვერპლთა, მოვალეობა არის გაუშუქება და გახსენება; მთელი ქვეყნიერების საქმეა აქედან სათანადო დასკვნების გაკეთება.

საფრანგეთში მყოფ ქართველ ყოფილ მეომართა  
სახოვადოების თავჯდომარე

პოლკ. ცხაკაია

„მხედარი“

რვაეული 14 — 15

შინაარსი: —

	გვერდი
იუნკერთა კავშირის განცხადება —	3
ქართველ მხედართა საყურადღებოდ — ლეო კერესელიძე —	6
ქიმიური მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა საქართველოში — ბი—ნა ქუ—ლაძე —	8
სამხედრო სასამართლოს შესახებ — ა. ჩხეიძე —	19
ჯარისკაცთა ინდივიდუალური აღზრდა — ლ. კერესელიძე —	26
არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება თანამედროვე ბრძოლაში. — კავშირი — ლ. მ. —	34
ზოგი რამ ნილაბმოსხმის შესახებ — ლ. მ. —	43
1921 წლის ქართულ-ბოლშევიკური ომი — ნ. მათიკაშვილი —	50
ჩვენი კატასტროფის შესახებ — ირ. ცაგურია —	82
ცოტა რამ ლენ. ჩხეიძის მოგონებებზე — ვ. ცხაკაია —	90
ზოგი რამ ისტორიულ ფაქტებზე — ა. კვიციანიშვილი —	96
1922 წლის აჯანყება — დავით ვაჩნაძე —	108
ქართველ ყოფილ მეომართა ცხოვრებიდან —	123

„მხედარი“-ს მისამართი: —

MKEDARI

11, rue du Chemin Vert, Courbevoie. (S.)

---

Imp. BASILE. 1, villa Chauvelot — Paris 15°